დამოუკიდებელი და ზეპარტიული
WWW.ASAVALI.COM
# ასავალ დასავალი
2024 წლის 8 - 14 აპრილი
N 16 1534
ფასი 3 ლარი და 90 თეთრი

# ლაზარეებს
2-4

## ვინ ნერვიულობს და ვის ეშლება კუჭი ე.წ. აგენტების კანონზე?

# ქუდი ეწვით!

## დაასრულეთ ძღვენიჭამიების დიქტატურა!



15



**ბერიას** დაბადებიდან 125 წლისთავზე საქართველოს დაზვერვის სამსახურის უფროსად **ბერაია** დაინიშნა!

*მაყვალა ბერიანიძე:*

**მოვუწოდებ ირაკლი ღარიბაშვილს, დაარღვიოს დუმილი და თქვას სიმართლე!**

5

*იგორ კვესელავა:*

**ირაკლი ღარიბაშვილს პირველი პრეზიდენტის მკვლელობა არ გაახსნევინეს!**

19



## პოლიტიკური ქალთაბანდობის შესახებ

ქართულ პოლიტიკაში შხამიან **ქალთა ბანდების** ადგილი აღარ უნდა იყოს!

6

# ლაზარეებს ქუდი ეწვით!

***„ქართული ოცნების“ გადაწყვეტილებამ, პარლამენტში განსახილველად დააბრუნოს და დაამტკიცოს კანონი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“, კვლავ ერთიანად აშალა პოლიტიკური კრაზანების ბუდე, ანუ კოლექტიური ლაზარე გრიგორიადისების ბანდა, რომელიც შარშანდელი მარტის მოვლენების გასამეორებლად ემზადება.***

როგორც კი საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა **მამუკა მდინარაძემ** საგანგებო ბრიფინგზე გამოაცხადა — **„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“** კანონპროექტს თავიდან ვაინიცირებთო, **კოლექტიურმა ლაზარეებმა** მაშინვე საჯდომზე იბწკინეს და ტელეეთერიდან თუ სოციალური ქსელიდან რადიკალური მოწოდებები გაახმიანეს. მაგალითად, უცხოური „მეხუთე კოლონისა“ და **კოლექტიური ლაზარეების** ერთ-ერთმა წარმომადგენელმა, მოძრაობა „სირცხვილიას“ უსტაბაშმა **ბიგამ (იგივე ლაზარე მაქარაშვილმა)**, რომელიც უახლოეს წარსულში ქართული წარმოშობის რუსი ბიზნესმენის **მინდია გულუას** პრორუსული პარტიის პიარსამსახურს ხელმძღვანელობდა, თავის ფეისბუქგვერდზე დაწერა — ***„რევოლუცია“.***

კიდევ ერთმა **ლაზარეთაგანმა** — პარლამენტარმა **რომანმა (იგივე ლაზარე გოცირიძემ)**, რომელიც დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტის წინააღმდეგ კრემლის მიერ ორგანიზებული და ხელშეწყობილი პუტჩის ერთ-ერთი მონაწილე გახლდათ, შემდეგ კი პრორუსი პუტჩისტებით დაკომპლექტებული ე.წ. სახელმწიფო საბჭოს წევრი იყო, სოციალურ ქსელში დაწერა — ***„ქუჩაში გამოსვლის დროა!“***

ცალკე ყურადღების ღირსია კოლექტიური ლაზარეების ისეთი ეგზოტიკური წარმომადგენელი, როგორიც გახლავთ საქართველოს პარლამენტის წევრი და ძლევამოსილი მეომარი **ალეკო (იგივე ლაზარე ელისაშვილი)**, რომელიც უკრაინაში რუსეთის წინააღმდეგ მთელი 4 დღის განმავლობაში იბრძოდა და შემდეგ განაცხადა — **ვნანობ, რომ იმ 4 დღის განმავლობაში უფრო მეტი რუსი არ დავხოცეო.** მაშასადამე, ამოცანა გვეკითხება — **რამდენი რუსი დახოცა ელისაშვილმა 4 დღის განმავლობაში და რამდენ ქართველ სპეცრაზმელს ან პოლიციელს გაუსწორდება „მოლოტოვის კოქტეილით“ მას შემდეგ, რაც სხვა ლაზარეებთან ერთად აბჯარასხმული დადგება „რუსული კანონის“ საწინააღმდეგო აქციაზე?** კი, სწორედ რომ აბჯარასხმული, რადგან **ელისაშვილმა** უკვე დასცხო საბრძოლო ყიჟინა და სხვა ლაზარეებს ტელევიზორიდან მოუწოდა: ***„აბჯარი აისხით, მოემზადეთ, დიდი ვნებათაღელვა და ცემა-ტყეპა გველის“.***

მოგეხსენებათ, **კოლექტიური ლაზარე გრიგორიადისები** არამხოლოდ საქართველოში, არამედ საქართველოს გარეთაც არიან და იქიდან ესვრიან ქართულ სახელმწიფოს პოლიტიკურ **„მოლოტოვის კოქტეილებს“...** ჰოდა, ეს ევროპარლამენტარი **ლაზარე** ფოტიგები, **ლაზარე** კუბილიუსები, **ლაზარე** ფონ კრამონები, **ლაზარე** იუკნევიჩიენეები, **ლაზარე** ლექსმანები და **ლაზარე** მიქსერები, ასევე ოკეანის გაღმელი **ლაზარე** რიშები და **ლაზარე** შაჰინები კვლავ ძველ ნოტებზე ამღერდნენ — **საქართველოს ხელისუფლება „რუსული კანონის“ დაბრუნებით ანტიდასავლურ გზას ადგება და ევროატლანტიკური ინტეგრაციის შანსს კარგავსო!**

მოკლედ, შფოთავენ და დრტვინავენ **კოლექტიური ლაზარეები** შინ და გარეთ!

იმ ქართული ანდაზისა არ იყოს — ქურდს ქუდი ეწვისო, **შინაურ და გარეულ ლაზარეებს „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“** კანონის გამო ქუდი ეწვით!

არადა, ფრიად საინტერესოა, რატომ ეწვით ქუდი, რატომ ნერვიულობენ და რატომ ეშლებათ კუჭი **კოლექტიურ ლაზარეებს** უცხოური გავლენის გამჭვირვალობის გამო, როცა ასეთი ტიპის კანონი, თანაც, უფრო მკაცრი და რადიკალური, ამერიკის შეერთებულ შტატებშიც მოქმედებს და ევროკავშირის ქვეყნებშიც?

აბა, მოდით, კარგად ვნახოთ, რას გულისხმობს, რა ვალდებულებებს აწესებს და ვის შეეხება კანონი, რომლის დამტკიცებაზეც ხელისუფლებამ შარშან უკან დაიხია, ახლა კი ისევ აპირებს მიღებას?

ჯერ ის ვთქვათ, რომ **„ქართული ოცნების“ მიერ ხელახლა ინიცირებულ კანონპროექტში ერთადერთი ცვლილებაა შეტანილი - „უცხოური გავლენის აგენტის“ მაგივრად „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაცია“ წერია.**

კანონპროექტის მიხედვით, არასამეწარმეო იურიდიული პირები — არასამთავრობო და მედიაორგანიზაციები, რომელთა შემოსავლის 20 პროცენტზე მეტს უცხოეთიდან მიღებული დაფინანსება შეადგენს, ვალდებული იქნებიან, ყოველი წლის იანვარში იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრში განათავსონ დეკლარაცია წინა წელს მიღებული შემოსავლებისა და გაწეული ხარჯების შესახებ.

საგანგებოდ მიაქციეთ ყურადღება: **არასამთავრობო და მედიაორგანიზაციებმა შემოსავლები და ხარჯები დეკლარაციაში უნდა ასახონ არა უცხოეთიდან დაფინანსების მიღებისთანავე, არამედ მას შემდეგ, რაც მიღებულ დაფინანსებას აითვისებენ და სხვადასხვა პროექტსა თუ ღონისძიებას მოახმარენ.** ვთქვათ, კონკრეტულმა არასამთავრობო ორგანიზაციამ კონკრეტული უცხოური დონორისაგან კონკრეტული რაოდენობის დაფინანსება მიიღო, რათა საქართველოში აწარმოოს **ლგბტ პროპაგანდა ან საინფორმაციო კამპანია მართლმადიდებელი ეკლესიის დისკრედიტაციის მიზნით...** ეს არასამთავრობო ორგანიზაცია ვალდებული არ იქნება, საჯარო რეესტრში წინასწარ წარადგინოს დეკლარაცია — უცხოეთიდან ამდენი და ამდენი დაფინანსება მივიღე,





კოლექტიურ ლაზარეთა „მშვიდობიანი“ პროტესტის გამოვლინება თბილისში, რუსთაველის გამზირზე. 2023 წლის 8-9 მარტი.

**ლაზარეების ქუდი ბოლომდე დაიწვება, „მოლოტოვის კოქტეილით“ კი საქართველოს არცერთი მოქალაქე აღარ დაიწვება!**

## კვირგვინოსნები

**ირაკლი კობახიძე**
*საქართველოს პრემიერ-მინისტრი*



უკიდურესად არაევროპულია, როცა **გამჭვირვალობის მინიმალურ სტანდარტს გაურბიხარ,** ასეთ დროს აშკარაა, რომ რაღაცას აფუჩეებ და გაქვს დასამალი.

„საქართველოს რესპუბლიკა“

**ირაკლი ღარიბაშვილი**
*„ქართული ოცნების“ თავმჯდომარე*



**ხაზარაძე** არის გასამართლებული, **კრიმინალი, დამნაშავე და თაღლითი — სააკაშვილის პირადი ბანკირი და „რეკეტიორი“ იყო.**

„ინტერპრესნიუსი“

**ანრი ოხანაშვილი**
*პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე*



საზოგადოებას ლეგიტიმური უფლება აქვს, იცოდეს, **ვინ რისთვის ფინანსდება,** ეს არის გამჭვირვალობის ელემენტარული სტანდარტი.

„ინტერპრესნიუსი“

**მამუკა მდინარაძე**
*საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი*



სანამ **„ვეტინგზე“** თითს დაგვიქნევენ, მანამ **ადეიშვილი გადასცენ საკუთარ ქვეყანას,** რომელიც ამ კაცმა გააუბედურა — **გადმოგვცენ და მერე ვილაპარაკოთ,** რა დავხუროთ და რა — არა.

„რეზონანსი“

**მაკა ბოჭორიშვილი**
*პარლამენტის ევროინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე*



**რატომ არის უცხოელობა ის ერთადერთი კრიტერიუმი,** რომელიც ვინმეს უფლებას აძლევს, **ქართველ მოსამართლეს დაუწუნოს კეთილსინდისიერება?**

„პირველი არხი“

**გია ვოლსკი**
*პარლამენტარი*



თუკი დღეს **გამჭვირვალობის შესახებ კანონპროექტს** ვინმე გააფთრებით ეწინააღმდეგება, ეს ნიშნავს, რომ **რევოლუციური გეგმის არსებობას ადასტურებს.**

„იმედინიუსი“

# ვინ ნერვიულობს და ვის ეშლება კუჭი ე.წ. აგენტების კანონზე?

რის დახარჯვასაც ამა და ამ პროექტში ვაპირებო, არამედ დეკლარაციას შეავსებს მხოლოდ მომდევნო წლის იანვარში, როცა ესა თუ ის პროექტი უკვე განხორციელებული ექნება. შესაბამისად, **იმის თეორიული შესაძლებლობაც კი გამოირიცხება, რომ სახელმწიფო რომელიმე არასამთავრობო ან მედიაორგანიზაციას უცხოეთიდან დაფინანსებას დაუბლოკავს და რაიმე პროექტისა თუ კამპანიის განხორციელების უფლებას არ მისცემს.**

კანონპროექტის მიხედვით, არასამეწარმეო იურიდიული პირი — არასამთავრობო და მედიაორგანიზაცია, რომელიც საჯარო რეესტრში არ წარადგენს დეკლარაციას უცხოეთიდან მიღებული დაფინანსებისა და მისი ხარჯვის შესახებ, **25 000 ლარით** დაჯარიმდება, ხოლო, თუ კანონის დარღვევას კვლავ გააგრძელებს, ყოველ თვეში ერთხელ **20 000-ლარიანი ჯარიმის** გადახდა მოუწევს.

ეს არის და ეს, **„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“** კანონი სხვა არავითარ სანქციასა და სასჯელს არ ითვალისწინებს, ანუ უცხოეთიდან დაფინანსებულ არასამთავრობო და მედიაორგანიზაციებს საქმიანობის აკრძალვისა და არსებობის შეწყვეტის საფრთხე არ ემუქრებათ!

მაშ, კიდევ ერთხელ დავსვათ ლეგიტიმური კითხვა — **რატომ ეწვით ქუდი კოლექტიურ ლაზარეებსა და მათ უცხოელ დონორებს, რატომ ნერვიულობენ და რატომ ემართებათ პოლიტიკური მუცლის გვრემა?**

საქმე მარტივადაა: **უცხოეთის სახელმწიფო თუ კერძო ფონდებიდან მსუყედ დაფინანსებულ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებად შენიღბულ პოლიტიკურ ჯგუფებს არ სურთ, ოფიციალურად და საკანონმდებლო დონეზე დაერქვათ ის სახელი, რაც ქართველი ხალხის უდიდესი ნაწილის თვალში ისედაც დიდი ხანია, ჰქვიათ — უცხო ძალის ინტერესების გამტარებლები!**

ე.ი. **კოლექტიურ ლაზარეებს,** ანუ **კოლექტიურ ლომჯარია-გიგაურებსა და ხოშტარია-მაქარაშვილებს** უნდათ, უცხოეთიდან მიღებული დაფინანსებით ქართული სახელმწიფოსა და მისი უსაფრთხოების წინააღმდეგ იმოქმედონ, ლგბტ პროპაგანდა და მართლმადიდებელი ეკლესიის დისკრედიტაციის კამპანია აწარმოონ, საქართველოს ომში ჩათრევის ლობირება გასწიონ, ყველა ანტიეროვნული და ანტისახელმწიფოებრივი საქმის ავანგარდში დადგნენ და უცხო ძალის ინტერესების გამტარებლები კი არა, პროგრესული ძალები, დემოკრატიის მებაირახტრეები და ქართველი პატრიოტები ერქვათ!

იგივე ინტერესი ამოძრავებთ ევროპელ და ამერიკელ ლაზარეებსაც —

**კოლექტიურ ფოტიგა-კუბილიუსებსა და რიში-შაჰინებს სურთ, მათ მიერ დაფინანსებული არასამთავრობო და მედია-ორგანიზაციების საშუალებით საქართველოში თავიანთი პოლიტიკური გავლენები გაიმყარონ, ქართული სახელმწიფოს სუვერენიტეტი გათელონ, ლგბტ ნარატივებისა და სხვა ნეოლიბერალურ სიბილწეთა კულტივირება მოახდინონ, მაგრამ, ამ ყველაფრის მიუხედავად, საქართველოს მეგობრები და კეთილ-მოსურნეები ერქვათ!**

ამიტომაც არის ატეხილი მთელი ეს გნიასი და ალიაქოთი!

ამიტომაც ილაშქრებენ **კოლექტიური ლაზარეები და მათი უცხოელი პატრონები** უცხოური გავლენის გამჭვირვალობის წინააღმდეგ და კიდევ ერთხელ ცდილობენ ქართველი საზოგადოების ერთი ნაწილის, განსაკუთრებით კი, ახალგაზრდების გაბრიყვებას — თქვენი ხელისუფლება „რუსულ კანონს“ იღებს და ევროკავშირის ნაცვლად საბჭოთა კავშირში გაბრუნებთო!

სხვათაშორის, „ქართული ოცნების“ ლიდერები დღეს უკვე საჯაროდ აღიარებენ, რომ შარშან **კოლექტიურ ლაზარეებთან** საინფორმაციო ომში პირწმინდად დამარცხდნენ და საზოგადოების დიდი ნაწილისათვის იმის ახსნაც კი ვერ შეძლეს, კონკრეტულად რას გულისხმობდა და ვის ეხებოდა კანონი **„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“.**

მაგალითად, ნაცლიბერალურმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა და მათთან დაკავშირებულმა მედიასაშუალებებმა გასულ წელს წარმატებით მოახერხეს, ახალგაზრდობის ნაწილისათვის დაეჯერებინათ, რომ, თუ ისინი უცხოეთიდან მიღებული გრანტით რაიმე საგანმანათლებლო პროგრამასა თუ პროექტში ჩაერთვებოდნენ ან რომელიმე უცხოური ფონდის დაფინანსებით საზღვარგარეთ წავიდოდნენ სასწავლებლად, ხელისუფლების მიერ მიღებული „რუსული კანონის“ მიხედვით, აგენტებად შეირაცხებოდნენ. უფრო მეტიც, საზოგადოების ნაწილი დაარწმუნეს, თითქოს ემიგრაციაში მყოფი ოჯახის წევრისა თუ ნათესავის მიერ უცხოეთიდან გადმორიცხული თანხის დეკლარაციაში ასახვა მოუწევდათ, რის შემდეგაც უცხო ქვეყნის აგენტის იარლიყს აიკრავდნენ.

ასეთი აბსურდული ტყუილების ბევრს უკვე აღარ სჯერა და, მათ შორის, ბევრი ახალგაზრდაც, რომელიც 2023 წლის მარტში რუსთაველის გამზირზე „რუსულ კანონს“ აპროტესტებდა, მალევე მიხვდა, რომ **კოლექტიურმა ლაზარეებმა** ბრმა იარაღად გამოიყენეს, მაგრამ ხელისუფლებას მაინც განსაკუთრებული ძალისხმევა მართებს, რათა ნაცლიბერალურ პროპაგანდასთან საინფორმაციო ომი ისევ არ წააგოს.

ვფიქრობთ, აუცილებელია, საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლებმა **„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტი** საერთო-სახალხო განხილვის საგნად აქციონ და საზოგადოებასთან კომუნიკაცია მხოლოდ ტელეეთერიდან და სოციალური ქსელიდან კი არა, უშუალოდ და პირდაპირ დაამყარონ. მათ შორის, კანონპროექტის განსახილველად პარლამენტში მიიწვიონ სტუდენტები თუ სხვა ახალგაზრდული ჯგუფები ან მათთან სასაუბროდ თავად მივიდნენ უმაღლეს სასწავლებლებში, რათა კარგად აუხსნან და დაუსაბუთონ, რომ **„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“** კანონი არ ეხება არცერთ ფიზიკურ პირს, არცერთ სტუდენტს, არცერთ პროფესორ-მასწავლებელს, არცერთ მეცნიერსა და არცერთ მოქალაქეს, რომელსაც ემიგრანტი ნათესავები უცხოეთიდან ფულს ურიცხავენ.

მხოლოდ ასე იქნება მიღებული **„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“** კანონი, რომელიც ქართული სახელმწიფოს უსაფრთხოებისა და სუვერენიტეტის დასაცავად არის საჭირო!

მხოლოდ ასე ჩაეფუშებათ დესტრუქციული გეგმები **კოლექტიურ ლაზარეებს,** რომლებსაც ქუდი ეწვით და კვლავ **„მოლოტოვის კოქტეილებით“** იმუქრებიან!

მხოლოდ ასე დაიწვება ბოლომდე **ლაზარეების ქუდი,** ლაზარეების მიერ ნასროლი „მოლოტოვის კოქტეილით“ კი საქართველოს **არცერთი მოქალაქე აღარ დაიწვება!**

**ჯაბა ხუბუა**




## კვირგვინოსნები

**კახა კალაძე**
*თბილისის მერი*



**საქართველო არ არის რომელიმე ქვეყნის გუბერნია ან შტატი.** ჩვენ ვართ დამოუკიდებელი ქვეყანა, გვაქვს კონსტიტუცია და **ყველამ კეთილი ინებოს და პატივი სცეს ჩვენს სახელმწიფოებრიობასა და ქართველ ხალხს.**

სამარცხვინოა, რომ კონკრეტული **კრიმინალი ზურაბ ადეიშვილი** დადის ევროპის სხვადასხვა ინსტიტუციაში. ეს არის უმძიმესი თემა, რადგან **ის არის ადამიანი, რომელსაც უმძიმესი დანაშაული აქვს ჩადენილი კანონისა და ხალხის წინაშე.** ევროპა ერთგვარ თავშესაფრად იქცა კრიმინალებისთვის.

„საქართველოს რესპუბლიკა“

**თეა წულუკიანი**
*კულტურის მინისტრი*



დღეს კვლავ ბრძოლის რეჟიმში ვართ, **ვიცავთ თავს, მშვიდობას და სტაბილურობას,** მადლობა იმ ერთადერთ ადამიანს — **ბიძინა ივანიშვილს,** რომელიც უკვე მერამდენე წელია, **მშვიდობის, სტაბილურობის გარანტია.**

„პირველი არხი“

**ირაკლი ზარქუა**
*პარლამენტარი*



ამ **უსამშობლოებმა და ხელმოცარულებმა** ხალხი შეცდომაში რომ არ შეიყვანონ, ვაკონკრეტებ — **კანონპროექტი არ ეხება სტუდენტების დაფინანსებას, სოფლის მეურნეობაში ჩართულ პროგრამას, შშმ პირებს და არცერთ ფიზიკურ პირს.**

„ინტერპრესნიუსი“

**არჩილ თალაკვაძე**
*პარლამენტარი*



„ქართული ოცნება“ და **ბიძინა ივანიშვილი** რომ არა, საქართველო იქნებოდა კოშმარში, **ნაციონალურმა მოძრაობამ გაწირა მოქალაქეები**.

„პირველი არხი“



### გიგლა ბარამიძე:

# არა – ოცდაათ ვერცხლს და დაფინანსებულ ღალატს!

## „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ კანონი ყოველმიზეზგარეშე უნდა იქნას მიღებული!“

*„არა — 30 ვერცხლს! არა — აგენტურულ პარპაშს! უცხოური გრანტები — მხოლოდ ქვეყნის სასიკეთოდ და არა — დაფინანსებული ღალატისათვის! საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს სრული უფლება აქვს, იცოდეს, რომელი არასამთავრობო ორგანიზაცია საიდან, როგორ, რა რაოდენობითა და რა მიზნით იღებს უცხოურ დაფინანსებას!“ —* ***ასე ეხმაურება უპარტიო პოლიტიკოსი, დიპლომატი და აღმოსავლეთმცოდნე გიგლა ბარამიძე „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონს, რომლის მიღებასაც საქართველოს ხელისუფლება გეგმავს:***

— ევროპული ღირებულებები სწორედ **გამჭვირვალობაზე** დგას და საქართველოს ხელისუფლებაც შესაბამისი კანონის მიღებას აპირებს. ამდენად, **ყველა, ვინც გამჭვირვალობის კანონს ეწინააღმდეგება და ხალხის ქუჩაში გამოყვანას ესწრაფვის, რეალურად, ევროპული ფასეულობების წინააღმდეგ ილაშქრებს.** პირდაპირ ვაცხადებ: ვისაც არ სურს, არასამთავრობო ორგანიზაციების უცხოური დაფინანსება ღია და გამჭვირვალე იყოს, ან აბსოლუტური უვიცია, ან კორუფციულ სქემებშია ჩართული და შერცხვენას იმსახურებს, რადგან ქართველი ხალხისა და საქართველოს ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ იბრძვის.

**— კი მაგრამ, ის ევროპარლამენტარები და ამერიკელი სენატორებიც, რომლებიც საქართველოში უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ კანონის მიღებას ეწინააღმდეგებიან, ქართულ სახელმწიფოსა და ქართველი ხალხის ინტერესებს ებრძვიან?**

— რა თქმა უნდა, ასეა! საერთოდ, უნდა ვიცოდეთ, რომ ევროპაც და ამერიკაც მრავალვექტორულია და ის ცალკეული ევროდეპუტატები თუ კონგრესმენები, რომლებიც საქართველოში გამჭვირვალობის კანონის მიღებას ეწინააღმდეგებიან, სულაც არ გამოხატავენ მთელი ევროპული და ამერიკული პოლიტელიტის აზრს. **ეს სწორედ ის ხალხია, ვინც ევროპულ სტრუქტურებში ტაშფანდურითა და ფიანდაზებით ხვდება საქართველოს ამომგდები ნაცრეჟიმის ერთ-ერთ მამამთავარს — ზურაბ ადეიშვილს!**

### ცალსახაა, რომ ფოტიგა-კრამონ-იუკნევიჩიენეებს საქართველოში ევროპული ფასეულობების განმტკიცება კი არა, სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმის დაბრუნება უნდათ!

და კიდევ: **ცალკეული ევროპელი თუ ამერიკელი პოლიტიკოსები უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ კანონის მიღებას იმიტომ ეწინააღმდეგებიან, რომ არ სურთ, საქართველოში გამოაშკარავდნენ მათი დასაყრდენი ძალები, რომლებიც ძალიან ჰგვანან უცხოური სპეცსამსახურების რეზიდენტურებს და ყველანაირად ცდილობენ ქართული სახელმწიფოს დასუსტებას, რათა ხელისუფლებაში სააკაშვილ-ადეიშვილმეგისქარდავები დააბრუნონ!**

**— ნაცლიბერალური ტელევიზიები წლებია, ცდილობენ, დაამკვიდრონ ტერმინი „გავლენიანი არასამთავრობო ორგანიზაციები“... როგორ ფიქრობთ, რამდენად დიდი გავლენა აქვთ ქართველ საზოგადოებაზე კოლექტიურ ლომჯარია-გიგაურებს და შეძლებენ თუ არა, კიდევ ერთხელ არ დაანებონ ხელისუფლებას უცხოური დაფინანსების გამჭვირვალობასთან დაკავშირებული კანონის მიღება?**

— როგორ შეიძლება, გავლენიანები იყვნენ ის არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის უნდობლობას და ზიზღს იმსახურებენ? ესენი გავლენიანი კი არა, გაზულუქებული არასამთავრობო ორგანიზაციები არიან, რომლებიც არა დასავლური ფასეულობების, არამედ თავიანთი ბიზნესის სადარაჯოზე დგანან!

**— ბიზნესში რას გულისხმობთ?**

— ათწლეულებია, ერთი და იგივე ადამიანები რამდენიმე გაზულუქებულ არასამთავრობო ორგანიზაციას არიან ჩაფრენილი და ცხოვრება მოიწყვეს. ისინი მუდმივად გაჰკივიან ხელისუფლებასა თუ სასამართლო სისტემაში კლანების არსებობის შესახებ, არადა, დღეს საქართველოში კლანი სადმე თუ არსებობს, სწორედ — არასამთავრობო სექტორში. დიახ, საქართველოში არასამთავრობო სექტორი გადაქცეულია ნამდვილ კლანურ სისტემად, სადაც უცხოეთიდან მრავალმილიონიანი დაფინანსების მიმღები 5-6 ორგანიზაცია საკუთარ ბიზნესს იცავს!

წარმოიდგინეთ — **არასამთავრობო სექტორში მოვიდნენ ჯიბეცარიელი ახალგაზრდები, რომლებსაც უცბად გაუჩნდათ ავტომობილები, მძღოლები, დაცვა, სახლები, აგარაკები, მოურავები, ძიძები და საქართველოს ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ ბრძოლის ხარჯზე გამდიდრდნენ.** აი, სწორედ ეს არის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, თუ რატომ არ სურთ გამჭვირვალობის კანონის მიღება და თავიანთი ფინანსების გასაჯაროება.

**— და მაინც, ხელისუფლებას, რომელმაც ერთხელ უკვე დაიხია უკან ამ კანონის მიღებაზე, რა გარანტია აქვს, რომ არ განმეორდება ის, რაც გასული წლის მარტში მოხდა?**

— პირდაპირ ვთქვათ, რომ **შარშან ხელისუფლებამ აბსოლუტურად მოუმზადებლად დააპირა ამ კანონის მიღება და საზოგადოებას ვერ აუხსნა, რაში მდგომარეობს მისი არსი.** იმედი მაქვს, „ქართული ოცნება“ ახლა იმავე შეცდომას აღარ დაუშვებს და საზოგადოებას, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობას საფუძვლიანად აუხსნის, რატომ არის აუცილებელი **გამჭვირვალობის კანონის** მიღება საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და ეროვნული ინტერესებისათვის.

მოკლედ,

### ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ გაზულუქებულმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა ახალგაზრდები შეცდომაში ვეღარ შეიყვანონ და „მოლოტოვის კოქტეილების“ სასროლად ქუჩაში ვეღარ გამოიყვანონ!

**თუ საქართველო სუვერენული და თავმოყვარე სახელმწიფოა, უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ კანონი ყოველმიზეზგარეშე უნდა იქნას მიღებული!**

*ესაუბრა*

***გიორგი ძაძამია***



**სააკაშვილის მხარდამჭერი აქცია ევროპარლამენტში, ფოტიგა-კრამონ-კუბილიუსების მონაწილეობით**




*2024 წლის 5 აპრილს, პარასკევს, 12:08 საათზე, სააკაშვილის ტელეკანალიზაცია „მთავარი არხის“ ეთერში გაკრთა ასეთი კადრი — ვინმე ნანა მალაშხიას, რომელსაც, ეტყობა, პოლიციელებთან და სპეცრაზმელებთან ბევრი აქვს ნაჭიდავები, ქვემოთ ასეთი ტიტული მიეწერა — მარტის პროტესტის მონაწილე.*

# მიიღეთ „რუსული კანონი“ და დაასრულეთ ძლევენი-ჭამიების დიქტატურა!

ამის შემდეგ გამოიყვანეს ცნობილი ლგბტ პროპაგანდისტები და გრანტიჭამიები, ანუ როგორც ცხონებული **თამაზ წივწივაძე** იტყოდა, **„ძლვენიჭამიები“,** რომლებმაც ხელისუფლება და კანონპროექტი **უცხოელი აგენტების შესახებ** ერთ ხმაში ლანძღეს.

მოკლედ, როცა ჩვენი დროის თენგიზ კიტოვანები, დევი ჭანკოტაძეები და აკია ბარბაქაძეები 2023 წლის 7-9 მარტის ღამეს ქართველ პოლიციელებს ცოცხლად დაწვას უპირებდნენ, **ნანა მალაშხია წყეული ლაზარე გრიგორიადისის** გვერდით იდგა და საქართველოს მოლოტოვის კოქტეილებს ესროდა, რაც მისთვის საამაყოა... სწორედ ამიტომაც მიაწერეს სააკაშვილის მიერ პირში ლაგამამოდებულმა ტელეკანალიზაციელებმა ნანა მალაშხიას კადრს **მარტის პროტესტის მონაწილე...**

თუ ნანა მალაშხია იმით იამაყებს, აქაოდა, **მარტის პროტესტის მონაწილე** ვარო, მაშინ **ანა ნაცვლიშვილსაც** იმავე სიამაყით შეუძლია, გამოგვიცხადოს, რომ **პარლამენტარი** კი არა, **ქუთაისის ავტოქარხნის შემჭმელის შვილია, მამუკა ხაზარაძე პოეტური უბორნიის მეპატრონეა, ლაშა ბუღაძე — გაურკვეველ ვითარებაში გაუპატიურებული, რატი ამაღლობელი — ფეხსალაგის ტრუბადური, ალეკო ელისაშვილი — კინტო, ხოლო თინა ხიდაშელი — ჩან კაიშის აგენტი!**

საქართველოს უახლესი ისტორია ასე თუ ისე იცნობს ერთ **მალაშხიას,** რომელმაც ისედაც დაქსაქსულ-დაჩეხილი ზვიადისტური მოძრაობა საბოლოოდ სააკაშვილ-ჟვანიას პოლიტიკურ გეი-კლუბში დამარხა... რაც შეეხება **მარტის პროტესტის მონაწილე ნანა მალაშხიას,**



**თუ ნანა მალაშხია იმით იამაყებს, აქაოდა, მარტის პროტესტის მონაწილე ვარო, მაშინ ანა ნაცვლიშვილსაც იმავე სიამაყით შეუძლია გამოგვიცხადოს, რომ პარლამენტარი კი არა, ქუთაისის ავტოქარხნის შემჭმელის შვილია, მამუკა ხაზარაძე პოეტური უბორნიის მეპატრონეა, ლაშა ბუღაძე — გაურკვეველ ვითარებაში გაუპატიურებული, რატი ამაღლობელი — ფეხსალაგის ტრუბადური, ალეკო ელისაშვილი — კინტო, ხოლო თინა ხიდაშელი — ჩან კაიშის აგენტი!**

მის შესახებ მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ **ნანა და ყველა ის კიტოვანელი, ადამიანების ცოცხლად დასაწვავად რომ ირჯებოდნენ, ქართულ მართლმსაჯულებას იქ რომ გაეგზავნა, სადაც ჯერ არს, დარწმუნებული ვარ, ტელეკანალიზაცია „მთავარი არხის“ ეთერში ასე ყინჩად ვერავინ მოიღერებდა ყელს**. მაგრამ საქართველოს უბედურება ის არის, რომ ჩვენი კანონმდებლობა ისევე, როგორც ყველა სახელმწიფო ინსტიტუცია და თავად საზოგადოებაც, ბევრ რამეში უსუსური და უმწეოა.

აი, მაგალითად, **ნანა მალაშხია და მისთანა ძლევენიჭამიები**, რომლებმაც უცხოეთიდან გადმორიცხული ე.წ. გრანტებით **მოლოტოვის კოქტეილები დაამზადეს და რუსთაველის პროსპექტზე პოლიციელების ცოცხლად დაწვა სცადეს**, ჩემთვის **სამშობლოს მოღალატეები** არიან, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ცნება **სამშობლოს ღალატი და სამშობლოს მოღალატე** საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსისთვის უცხოა. ავადსახსენებელი **გიგა ბოკერიას** ინიციატივით, როცა საქართველოს სწორედ სამშობლოს მოღალატეები მართავდნენ, ეს დეფინიცია კოდექსიდან გააქრეს. აქედან გამომდინარე, ქვეყანა რომ დააქციო და საქართველოს ეროვნული ინტერესები ზუსტად ისე გაყიდო, როგორც ამას დღეს, ჩვენი ღრმა რწმენით, თურქეთის სპეცსამსახურებთან დაკავშირებული ყიზილბაში, ბოკერიას გველის წიწილი **ტარიელ ნაკაიძე** და მისი ხელისბიჭი **მერაბ მიქელაძე** ადიგენში ცდილობენ, **სამშობლოს ღალატის** მუხლით კაციშვილი ვერ გაგასამართლებს!

უფრო მეტიც, ვერ ვხვდები, რა საჭიროა **უცხოელი აგენტების** კანონპროექტის ინიცირება, როცა ამ მართლაცდა აგენტებს, რომლებიც ფულის სანაცვლოდ საქართველოს მტრობენ, ვერც **სამშობლოს ღალატის** მუხლით გაასამართლებ და ვერც სანქციებს დაუწესებ?!

როგორც ცნობილია, **ამ კანონპროექტის თანახმად, თუ ქართველი ძლვენიჭამიები დეკლარაციის შევსებაზე უარს იტყვიან და მიღებული ფულის დანიშნულებას ბოლომდე გაასაიდუმლოებენ, დაეკისრებათ 25-ათასლარიანი ჯარიმა. 25 ათას ლარს ძლვენიჭამია ეკა გიგაური სეზონზე ნიფხვებსა და ლიფებში ხარჯავს, იმდენ შესათქვლეფსა და სახრავს ღებულობს ევროპიდან თუ ამერიკიდან. ეკა გიგაური, ნინო ლომჯარია, ბაბუცა პატარაია, ანა დოლიძე და თამთა მიქელაძე** — ბუხრიდან ჩამოვარდნილი ქალი, წლის განმავლობაში ათეულობით მილიონ დოლარს აბურთავებენ... ასე რომ, **25 ათასი ლარით დაჯარიმება ქართველი ძლვენიჭამიებისთვის დაახლოებით იმას ნიშნავს, საროსკიპოს დირექტორმა რომელიმე მეძავს წელიწადში ერთხელ დღეში ათი კაცის ნაცვლად 9 კაცის მომსახურება დაავალოს!**

არადა, რუსეთში **უცხო ქვეყნის აგენტების** კანონით ენჯეოშნიკებს ეკრძალებათ საჯარო მიმართვებისა და მოსაზრებების გავრცელება; ენჯეოშნიკებმა რეესტრში უნდა დაარეგისტრირონ თავიანთი ქვეკონტრაქტორებიც კი; მათი ანგარიშები ექვემდებარება სავალდებულო აუდიტს; ექვს თვეში ერთხელ სხვადასხვა საინფორმაციო ქსელში უნდა წარადგინონ მოხსენება მათი გეგმებისა და საქმიანობის შესახებ; ენჯეოშნიკი ფიზიკური პირები ვერ დაინიშნებიან საჯარო სამსახურებში; მათ უფლება არა აქვთ, ჩაერიონ საარჩევნო პროცესში; ეკრძალებათ ქონების გადაცემა ან მიღება, შემოწირულობების გაკეთება და პედაგოგიური საქმიანობა; ამ კანონის განმეორებითი დარღვევა იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას; 6 წლამდე ციხით ისჯება თუ ენჯეოშნიკი მოქალაქეებს წააქეზებს, უარი თქვან თავიანთი სამოქალაქო უფლებების შესრულებაზე; რუსეთში ენჯეოშნიკები ვერ სარგებლობენ სახელმწიფო სუბსიდიებით, პროგრამებითა და გრანტებით!

ეს ყველაფერი **მამუკა მდინარაძემ** წაუკითხა ქართველ ჟურნალისტებს და მერე რიტორიკულად იკითხა — **ჩვენს კანონპროექტში ასეთი რამ ხდება?**

ჩვენს კანონპროექტში ასეთი რამ რომ არ ხდება, სწორედ ეგ არის საქართველოს უბედურება!

**თუ ჩემი აზრი გაინტერესებთ, რუსული კანონი ძალიან მომწონს... განსაკუთრებით ის მომწონს, ძლვენიჭამიებს პედაგოგიური საქმიანობა, ანუ ბავშვებთან ლექციასა და გაკვეთილზე შესვლა რომ ეკრძალებათ. ისიც ძალიან კარგია, თუ რუსეთში ენჯეოშნიკი კანონს განმეორებით დაარღვევს, ვირის აბანოში მოუწევს გაგრიალება!**

აი, ეს არის სისხლსავსე და სუვერენული ქვეყნის კანონი, ხოლო ის კანონპროექტი, რომელიც ხელისუფლებამ ისევ უკან შემოატრიალა, ისეთივე შეშინებული და თავში ჩარტყმულია, როგორც „ქართული ოცნების“ ზოგიერთი წარმომადგენელი 2023 წლის 7-9 მარტის აქციების დროს!

აქედან გამომდინარე, ჩვენი რჩევა ასეთია — **მიიღეთ მართლა „რუსული კანონი“ და დაასრულეთ ძლვენიჭამიების დიქტატურა!**

***დიტო ჩუბინიძე***







# სამასი მილიონი ბარელი ნავთობი კახეთში?

## მაყვალა ბერიანიძე:

# მოვუწოდებ ირაკლი ღარიბაშვილს, დაარღვიოს დუმილი და თქვას სიმართლე!

***ჟურნალისტი მაყვალა ბერიანიძე საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესების ანალიზს განაგრძობს და აცხადებს, რომ, თუ უახლოეს მომავალში აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ბედი საქართველოს სასარგებლოდ არ გადაწყდა, მაშინ როგორც ტაო-კლარჯეთი გვაქვს საბოლოოდ დაკარგული, სწორედ ის ბედი ეწევა სოხუმსაც და ცხინვალსაც:***

— წინა ინტერვიუებში არაერთხელ გვიხსენებია ის 200 ახალგაზრდა, რომელიც 1998 წელს შევარდნაძემ უცხოეთში სასწავლებლად გაგზავნა. მაშინ „მოქალაქეთა კავშირის“ ლიდერმა მიხეილ სააკაშვილმა თქვა, რომ ეს ბავშვები მოახდებოდნენ საქართველოს! შეგახსენებთ — ის დრო იყო, როცა ქვეყანაში 85-პროცენტიანი კორუფცია მძვინვარებდა და პენსია 3 დოლარს არ აღემატებოდა. აი, ასეთ პირობებში ხელისუფლებამ 200 ბავშვი საგანგებოდ ამოარჩია და უცხოეთში სასწავლებლად გაგზავნა. რაც შეეხება სააკაშვილს, ის უფრო ადრე გაგზავნეს უცხოეთში და მისი რეკომენდატორები დღესაც საკმაოდ გავლენიანი პირები არიან.

საერთოდ, თუ გინდათ, საქართველოს გაუბედურებისა და დაცემის საიდუმლო გახსნათ, ნახეთ „მოქალაქეთა კავშირის“ 1995 და 1999 წლების საპარლამენტო არჩევნების სიები! სააკაშვილი იმ სიაში მე შევიყვანე? ზურაბ ჟვანია და გიორგი ბარამიძე მე აღვაზევე? **თუ ქვეყნის დაღუპვა მიზნად დაისახე, უპირველეს ყოვლისა, მისი ახალგაზრდობა უნდა გარყვნა.** სწორედ ამ ტაქტიკით იმოქმედა **ჯორჯ სოროსმა** და როცა საქართველოში ჩამოვიდა, თავის წიწილებს 17 დავალება მისცა! სწორედ ამ დავალების შედეგი იყო ის, რასაც **თინა ხიდაშელი** ამბობდა — **„ჯორჯმა იცის ჩემი წუხილებიო!“**

**— „უცხოელი აგენტების შესახებ კანონპროექტი“ ხელისუფლებამ ისევ წარმოადგინა დასამტკიცებლად. როგორია თქვენი პროგნოზი?**

— ევროპარლამენტარმა **ვიოლა ფონ კრამონმა** ჩვენი პარლამენტის თავმჯდომარე **შალვა პაპუაშვილს** დააყვედრა — სირცხვილი მაგას, „გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებას“ კანონის უზენაესობის პროექტებზე ჰყავდა დასაქმებული და ასეთ კანონს მხარს როგორ უჭერსო? ანუ, ეგენი, თუ ვინმე სადმე ჰყავდათ დასაქმებული, ყველას მონად და ბრძანების აღმსრულებლად განიხილავენ. რაც შეეხება ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელ **მეთიუ მილერს**, რომელიც ცეცხლზე ნავთს ასხამს და საქართველოში დაძაბულობას აღვივებს, თუ **ეს კანონპროექტი ჩვენთვის საზიანოა, მაშინ კეთილი ინებოს და გააუქმოს „ფარას“ კანონი ამერიკაში!** რატომ არ აუქმებენ?

ახლა მინდა, ძალიან სერიოზული განცხადება გავაკეთო და მოვუწოდებ საქართველოს ხელისუფლებას: **მე თქვენ არ გეთამაშებით! კეთილი ინებეთ და სასწრაფოდ დაიწყეთ გამოძიება, თუ რა მოხდა თბილისში 2007 წლის 7 ნოემბერს, როცა ამერიკელების ბრძანებით, მოსახლეობაზე ფსიქოტრონული და აკუსტიკური იარაღი გამოსცადეს!** ამ დღეებში სცადეს, გადაეფარათ ის სიმართლე, რაც წინა ინტერვიუში თბილისში 2007 წლის 7 ნოემბერს გამოყენებული მიკროტალღური იარაღის შესახებ ვთქვით და გამოაგდეს ინფორმაცია, თითქოს რუსებმა ვიღაც ამერიკელ დიპლომატებს ეს იარაღი მიუშვირეს, რომლებსაც ყურებში შუილი და თავის ტკივილი დაეწყოთ! **ეს იარაღი ამერიკელებმა ჯერ — ავღანეთში და მერე საქართველოში გამოსცადეს. სააკაშვილი, მერაბიშვილი და ადეიშვილი ამ საშინელი იარაღის გამოყენებაზე ამერიკელებმა უპრობლემოდ დაითანხმეს და მერე საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსს, გენერალ ზაზა გოგავას დაავალეს მომიტინგეების წინააღმდეგ ჯარის გამოყვანა!**

**— 2007 წლის 7 ნოემბერს დარბეული ხალხის წინააღმდეგ ჯარის გამოყვანა რაში დასჭირდათ?**

— 7 ნოემბერს ზაზა გოგავას ჯარი იმიტომ გამოაყვანინეს, რომ ამერიკელებმა არ იცოდნენ, რა შედეგებს გამოიღებდა აკუსტიკური იარაღის გამოყენება! არადა, ჰქონდათ მოლოდინი, რომ იარაღის ზემოქმედების შედეგად შესაძლოა, ხალხი გაგიჟებულიყო და ამიტომ მის შესაკავებლად რჩებოდა ერთადერთი გზა — არმია!

**გენერალურ პროკურატურაში წამოწოლილი რომ ხართ და გძინავთ, ზაზა გოგავა მიიყვანეთ და ჰკითხეთ — ვისი ბრძანებით გამოიყვანა ჯარი და ვინ გასცა ბრძანება 2007 წლის 7 ნოემბერს აკუსტიკური იარაღის გამოყენების შესახებ!**

პარლამენტის თავმჯდომარემ განაცხადა — „ფეისბუქის“ საშუალებით გავიგე, რომ **ელენე ხოშტარიას** „დროას“ უცხოელები აფინანსებენო! კი მაგრამ, სუს-ს სძინავს? **გრიგოლ ვაშაძემ** რომ სპეცრაზმელს თავში ჩაარტყა, ხოლო **ხოშტარიამ** პოლიციელს წითელი საღებავი შეასხა, ეს ხალხი პასუხისგებაში რატომ არ არის მიცემული? **ლაზარე გრიგორიადისი** რომ დაიჭირეთ, რატომ არ მიეცით პასუხისგებაში ის ორი ახალგაზრდა, რომლებიც კადრებში კარგად ჩანან და „მოლოტოვის კოქტეილებს“ ამზადებენ? არ იცით, ის ბინები და ოთახები, სადაც „მოლოტოვის კოქტეილები“ დაამზადეს და მერე რუსთაველის პროსპექტზე მიიტანეს? **რატომ არყევთ და ანგრევთ სახელმწიფო ინსტიტუტებს? თავში ჩარტყმული სპეცრაზმელი და საღებავშესხმული პოლიციელი**

***გაგრძელება მე-6 გვერდზე***



**„გენერალურ პროკურატურაში წამოწოლილი რომ ხართ და გძინავთ, ზაზა გოგავა მიიყვანეთ და ჰკითხეთ, ვინ გასცა ბრძანება 2007 წლის 7 ნოემბერს აკუსტიკური იარაღის გამოყენების შესახებ!“**

*დასაწყისი მე-5 გვერდზე*






# მაყვალა ბერიანიძე:

# ტრიუკი, რომლის თანახმადაც შევარდნაძე თითქოსდა ბადენ-ბადენში უნდა გაქცეულიყო და მერე სახლში წავიდა, ხომ არ მეორდება?

**საჩელმწიფოს დაიცავს?**

**— რა გიკვირთ? თვეების წინათ დიდი ამბით გამოგვიცხადეს — არიქა, ელისტრაკო კილაძესა და „ჭიჭე“ ვაშაძეს „ქოლცენტრები“ აქვთო! — და დღემდე, მგონი, ამ საქმეზე არც კი დაუკითხავთ ვინმე!**

— ეგ კი არა, 2003 წელს გამოსული ჩემი წიგნი — **„უცნაური ტერაქტის საიდუმლო“** უბედურებად მექცა. სწორედ მაგ წიგნმა მავნო ყველაზე მეტად. საცოდავი ჩემი მეგობრის შვილი, რომელიც შემთხვევით შევიდა ლიფტში და ფულის გადაცემის პროცესს შეესწრო, მოიშორეს. იმ დღეს ნაძირალა **ბერეზოვსკი** იყო სააკაშვილთან ჩამოთრეული და ჰქონდათ დიდი აღებ-მიცემობა... ათი წელი მოვუნდით მკვლელის დადგენას და მოსამართლემ, რომელიც დღეს ზენიტშია აყვანილი, დამნაშავე დარბაზიდან გაუშვა. იმას ღმერთმა გადაუხადა სამაგიერო, მაგრამ არ იცის ამის შესახებ უშიშროებამ? არ იციან, ვინ არის **პაატა მანჯგალაძე?**

**— ვინ არის?**

— სააკაშვილის დროს აუდიტის სამსახურის უფროსი **ნათია მოგელაძე** ხომ გახსოვთ, ყველას რომ ყველაფერს უყადაღებდა და ხალხს წინდებს ხდიდა? აი, სწორედ იმ **ნათია მოგელაძესთან** მუშაობდა **პაატა მანჯგალაძე.** ნახეთ **მანჯგალაძის** ბიოგრაფია და ყველაფერს მიხვდებით! **ნათია მოგელაძეს,** რომელმაც უამრავი უბედურება დაატრიალა და ასობით ოჯახი გაამწარა, ყველაფერი აპატიეს, შესაბამისად, ყველაფერი აპატიეს **პაატა მანჯგალაძესაც.** რაც შეეხება **ალეკო ელისაშვილს,** ვინც ეს ორკაციანი პარტია პარლამენტში შეათრია, იმან აგოს პასუხი ამ პირზე, რომელიც ხალხს მოუწოდებს, აბჯარი ავისხათ და ქვეყანა დავაქციოთო!

**— დიდი ამბებია ატეხილი ზურაბ ადეიშვილის გარშემო, რომელიც ჰააგაში უკრაინელებმა გადამალეს!**

— ამასწინათ **გოგა ხაინდრავა** გამოვიდა და **„კაპიტან გიგაურზე“** ილაპარაკა — 16 მილიონი გადმოურიცხესო! რომ დარბიან და გაიძახიან — „რუსო, რუსო!“ — **ეკა გიგაურს დედა რუსი ჰყავს და რა ვქნათ?** მე დავნიშნე ეკა გიგაური საზღვრის დაცვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილედ? მე ჩავუტენე დოლარები ჯიბეში, სანამ ამერიკელები „ენჯეოს“ შეუქმნიდნენ? **ნინო ლომჯარია** სახალხო დამცველად მე დავნიშნე? მთელი „ქართული ოცნების“ ხმები სჭირდებოდა მის სახალხო დამცველად დანიშვნას, არადა, ვინ არის ნინო ლომჯარია? სააკაშვილის მდივნის — **ცაცა ლომჯარიას** ძმისშვილი არ არის? არ იცოდნენ ამის შესახებ „ქართულ ოცნებაში“? ასე რომ, ტრიუკებს თავი გაანებეთ და ჭკუაზე მოდით! რაც შეეხება **ადეიშვილს,** ამ არსებას თავისი გაჭირვება ყოფნის, მაგრამ ერთი კია, როგორც ადეიშვილი აკონტროლებდა საქართველოში ყოველი თეთრის მოძრაობას და დიდ მონიტორზე ყველაფერს უყურებდა, სწორედ ისე უნდა მოიქცეს დღევანდელი ხელისუფლებაც!

**— პრივატულ საუბარში ბრძანეთ, რომ აფხაზეთის მიმართულებით რაღაც სასიამოვნო სიახლეებია!**

— 1993 წლის 19 ივნისს დევნილობაში მყოფმა **ზვიად გამსახურდიამ** გამოაქვეყნა ცნობილი წერილი — **„კიდევ რას უმზადებენ საქართველოს?“** ამ წერილის გამოქვეყნებიდან ზუსტად სამ კვირაში **თამაზ ნადარეიშვილმა** გული აიტკივა და **შევარდნაძემ ჟიული შარტავა** სრულიად მოულოდნელად აფხაზეთში გაგზავნა.

სულ მალე, შევარდნაძის ბრძანებით, ქართული ფორმირებები განაიარაღეს და სოხუმი ჩააბარეს. ცხონებული **ჟიული შარტავა** გაიძახოდა — **„ღალატია, გვიღალატეს!“** ჟიული შარტავა სწორედ ამ სიტყვებს შეეწირეს...

**თამაზ ნადარეიშვილი,** რომელმაც 1991 წლის აგვისტოში სოხუმში ამერიკელების მიერ **ბინ ლადენის** ჩამოყვანის ფაქტი დამალა, დააწინაურეს და თბილისში, თბილ ადგილზე გადმოიყვანეს! **ავთო იოსელიანიც,** რომელიც აფხაზეთის უშიშროების მინისტრი იყო და, ცხადია, ბევრი რამ იცოდა, **შევარდნაძემ** ასევე თბილისში გადმოიყვანა და აფხაზეთს მოაცილა.

**ზვიად გამსახურდია** იმ წერილში წერდა — *„დასავლეთის ძალები ცდილობენ ეროვნული სახელმწიფოს განადგურებას და ერთიანი ევროპის შექმნას!“* **გამოაქვეყნეთ ზვიად გამსახურდიას ეს წერილი და მიხვდებით, თუ რატომ არის საქართველოში გაჩაღებული ასეთი აღვირახსნილი ლგბტ პროპაგანდა!**

არ მინდა, საგანგებოდ ვისაუბრო იმის შესახებ, თუ რა ბრწყინვალე ურთიერთობები ყალიბდება ქართველ და აფხაზ ახალგაზრდებს შორის, მაგრამ ერთი დაიმახსოვრეთ — **თუ უახლოეს მომავალში აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ბედი საქართველოს სასარგებლოდ არ გადაწყდა და ეს საქმე ჩაიშალა, იცოდეთ, როგორც ტაო-კლარჯეთი გვაქვს საბოლოოდ დაკარგული, სწორედ ის ბედი ეწევა სოხუმსაც და ცხინვალსაც!**

ერთ რამეს გაგახსენებთ: ე.წ. „ვარდების რევოლუციის“ დღეებში, როცა შევარდნაძეს გადადგომას უკვე არავინ სთხოვდა და **იგორ ივანოვი** მაგიდას თამადასავით უჯდა, „რუსთავი-2“-ზე გავიდა ცრუ სიუჟეტი, სადაც თბილისის აეროპორტში, რომელიღაც თვითმფრინავთან მდგომმა კორესპონდენტმა განაცხადა — **შევარდნაძე ბარგს ალაგებს და ბადენ-ბადენში გარბისო!** ეს იყო ტყუილი, რამაც შევარდნაძის მეუღლეზე ძალიან იმოქმედა და ედუარდ ამბროსოვიჩი გადადგა. ზუსტად ასეთი სიუჟეტი ვნახე ამ დღეებში ნაცების სატელევიზიო არხებზე, სადაც ითქვა — **ბიძინა ივანიშვილი ბრაზილიაში უნდა გაიქცეს და ბარგს ალაგებსო!**

**— თქვენ ამ პროცესებს შორის მსგავსებას ხედავთ?**

— ვეკითხები ყველას: **ტრიუკი, რომლის თანახმადაც შევარდნაძე თითქოსდა ბადენ-ბადენში უნდა გაქცეულიყო და მერე სახლში წავიდა, ხომ არ მეორდება?** ხალხს ვაფრთხილებ: არ დაუშვან ეს ტრიუკი, თორემ იცოდეთ, საქართველოში სამოქალაქო ომი იქნება!

**დასასრულ, მოვუწოდებ ირაკლი ღარიბაშვილს, დაარღვიოს დუმილი და თქვას სიმართლე იმის შესახებ, თუ რატომ ებრძვიან განსაკუთრებით მას და რა ხდება დედოფლისწყაროში, სადაც 1998 წელს უცხოელ ექსპერტებზე დაყრდნობით, შევარდნაძემ მთელი მსოფლიოს გასაგონად ოფიციალურად განაცხადა, რომ იქ 300 მილიონი ბარელი ნავთობის მარაგია და უკვე ათამდე ამერიკულ კომპანიასთან ამ საკითხზე ვთანამშრომლობთო!**

რა იცის ხელისუფლებამ ამ საკითხზე და რას აკეთებს? სხვათაშორის, მაშინ შევარდნაძემ ესეც თქვა — **ქვეყანაში ბანკებს გარეთ 700 მილიონი დოლარი ტრიალებსო!** მაშინ ხელფასი 2-3 დოლარი იყო.




**„თუ გინდათ, საქართველოს გაუბედურებისა და დაცემის საიდუმლო გახსნათ, ნახეთ „მოქალაქეთა კავშირის“ 1995 და 1999 წლების საპარლამენტო არჩევნების სიები!“**

**საინტერესოა, ახლა რა თანხა ტრიალებს საქართველოში ბანკებს გარეთ და რატომ ხდება, რომ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტს ოთხჯერ აღემატება კაზინოების შემოსავალი?**

რატომ არის ნარკოტიკების ასეთი ბუმი, რატომ არის მთელი ქალაქი გადაჯღაბნილი და ვინ დაგეგმა საქართველოს ქართველების გარეშე დატოვება? **გამოვიდეს ირაკლი ღარიბაშვილი და თქვას სიმართლე!**

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***

## კვირგვინოსნები

**გიორგი გამსახურდია**
*ზვიად გამსახურდიას შვილი*



გლობალური ომის პარტია **ბიძინა ივანიშვილის სწორ და პრაგმატულ პოლიტიკას** ვერ ინელებს. ნაცგანწტოებებმა **კვლავ მოიმარჯვეს ზვიადის სურათი ხელში და ცდილობენ ქულების მოგროვებას საშემოდგომოდ.** აბა, მანამდე და ისეც, **ნატო ჩხეიძეს** სულ არ აინტერესებდა ზვიადი.

„იმედინიუსი“

**ბექა ოდიშარია**
*პარლამენტარი*



**ძებნილი ადამიანი** სამართლიანობის აღდგენაზე ჰააგაში მუშაობდეს, პირველად ვნახე, 40-მილიონიან ქვეყანას რა გაუჭირდა, რომ **ძებნილი ადამიანი** არ იყოს მათი მთავარი კონსულტანტი. **ადეიშვილმა სამართლიანობა დააქცია და დაანგრია საკუთარ სამშობლოში** და უკრაინაში როგორ უნდა აღადგინოს, ეს წარმოუდგენელია.

„პირველი არხი“

**ლევან ალაფიშვილი**
*კონსტიტუციონალისტი*



თუ სამოქალაქო აქტივობა დაიწყება და ხალხი ქუჩაში გამოვა, **არ გამოვრიცხავ პროვოკაციებს, დესტაბილიზაციას. ამას შეიძლება საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებაც მოჰყვეს.** ასეთ დროს კი არჩევნები არ ტარდება.

„ახალი თაობა“

**მიხეილ ყაველაშვილი**
*„ხალხის ძალის“ პოლიტიკური მდივანი*



შეიძლება თოფები ხელში არ გვიჭირავს და ტანკზე არ ვსხედვართ, მაგრამ **ეს ბრძოლაა დამოუკიდებლობისთვის და არ უნდა დავთმოთ.** ამ ნაძირალებს არ უნდა მიეცეთ საშუალება, რასაც ჩასძახებენ — **„ვეტინგი“ იქნება თუ სხვა საკითხი,** ის გაიტანონ, **არ უნდა მივცეთ საშუალება, განახორციელონ თავიანთი აგენტურული ჩანაფიქრები.** როდემდე უნდა ვეფეროთ ამათ?

„აიპრესი“

*1625 წლის 25 მარტს, ახალი სტილით 7 აპრილს, ხარება დღეს, საქართველოში, სოფელ მარტყოფთან, მოხდა ბრძოლა, რომელმაც ქართველობა ფიზიკურ განადგურებასა და გადაჯიშებას გადაარჩინა!*

## რატომღაც მგონია, ამ ერთ წელიწადში საქართველოში ისეთი გარდატეხა მოხდება, რომ ყიზილბაშებზე მაშინდელივით გავიმარჯვებთ!



*პოსტერი ფილმისათვის „გიორგი სააკაძე“. აკაკი ხორავა გიორგი სააკაძის როლში*

# მარტყოფის ტრიუმფის 400 წლისთავამდე 1 წელი დარჩა!

მარტყოფში რომ დავმარცხებულიყავით, დღეს ქართულად ვერ ვილაპარაკებდით, რადგან **შერაბი შაჰ-აბასი** ირანში მთელი ქართლ-კახეთის მოსახლეობის გადასახლებას აპირებდა. ის კი არა, **1614-1617 წლების ოთხგზის გამანადგურებელი შემოსევის შედეგად ქართლისა და კახეთის სოფლებში ხმლის გამჭედიც აღარ იყო,** რადგან ოსტატები და ხელოსნები ფერეიდანსა და მაზანდარანში გადაასახლეს. ამიტომაც სამარტყოფე ხმლები იმერეთში, მეფე გიორგი მესამის დაქცეულ და გაუბედურებულ დასავლეთქართულ სამეფოში, გაიჭედა და ლიხის მთის გავლით ურმებით გადმოიტანეს ქართლში.

მარტყოფთან კიდევ ერთხელ გაიბრწყინა **გიორგი სააკაძის** სამხედრო გენიამ და ირანელთა სარდალი შაჰის ყურმოჭრილი მონა **ყარჩიხა-ხანი** მოკლა. იმ დღეს მისმა ვაჟმა **ავთანდილ სააკაძემ ელია დიასამიძესთან, პაპუნა ვაშაყაშვილთან** და **პაატა ხერხეულიძესთან** ერთად ირანელთა ბანაკში ნამდვილი სასაკლაო მოაწყო და ურჯულოთა მთელი გენერალიტეტი ამოწყვიტა.

### მარტყოფამდელი საქართველო ძალიან ჰგავს დღევანდელ ჩვენს სამშობლოს, როცა ირანის შაჰის ქართველი აგენტები თავიანთ აგენტობას არც მალავდნენ და მაშინდელ სპარსულ ენჯეოში – შაჰისევანში იყვნენ გაწევრიანებული!

როგორც ძაღლთაპირი **გიორგი მშვენიერაძე, ეკა გიგაური, ნინო ლომჯარია და სხვა ლგბტ აგენტები და გეი-ფაშისტები** ფინანსდებიან ამერიკიდან, სწორედ ასე მაშინდელი გადაგვარებული და მოღალატე ქართველები ირანული **შაჰისევანიდან** ღებულობდნენ ყოველგვარ დახმარებას — ფულს, თანამდებობებს, მიწებს, ძვირფას ხალათებს, ოქრო-ვერცხლს, საგადასახადო შეღავათებსა და ა.შ.

**მარტყოფის ბრძოლამ აღმოსავლეთ საქართველოში შაჰ-აბასის დიდების მზე ჩაასვენა და მოღალატეების დიქტატურაც აღკვეთა, მაგრამ მარტყოფის ტრიუმფს, საუბედუროდ, განვითარება ვერ მიეცა.** იმავე წლის 1 ივლისს, მარაბდასთან **თეიმურაზმა** არ დაუჯერა **სააკაძეს,** მთავარსარდლობა თავად ითავა, ზაფხულის პაპანაქებასა და ხვატში ქართველთა ჯარი საომრად უზარმაზარ ველზე გამოიყვანა და 9 ათასი ვაჟკაცი ურჯულოებს უშედეგოდ შეაწყვეტა.

მიუხედავად მარაბდასთან დატრიალებული ტრაგედიისა, მარტყოფის გამარჯვებამ შაჰი ხერხემალში გადაამტვრია. **მარაბდის ბრძოლიდან სულ რაღაც თვეზე ცოტა მეტი იქნებოდა გასული, რომ რუსეთის მიერ ოკუპირებულ დღევანდელ ახალგორის რაიონში, ქსნის ხეობაში, სოფელ ქარჩოხთან, გიორგი სააკაძემ 12 ათასი ყიზილბაში მიწაში ჩააწვინა, რაც ირანის არმიისთვის კატასტროფის ტოლფასი იყო.**

### რომ არა მარტყოფი, საქართველო გათათრდებოდა, რადგან მთელ ქართლ-კახეთში ყველგან მუეძინები ყიოდნენ, ხოლო ჩამოსახლებული ბელუჯები და თურქმანები ვაზს ჩეხდნენ და მის ნაცვლად ბრინჯს თესავდნენ.

**რომ არა ისევ და ისევ მოღალატე ქართველები და მათი ზღვარგადასული პოლიტიკური ამბიციები, საქართველოს ერთ დიდ სამეფოდ გაერთიანების ბრწყინვალე პერსპექტივა უჩნდებოდა.** მარტყოფის გამარჯვების შემდეგ თვით სამეგრელოს მთავარი **ლევან მეორე დადიანიც** კი მზად იყო, ერთიანი საქართველოსთვის ებრძოლა. უფრო მეტიც, **გიორგი სააკაძე** დაუნათესავდა იმერეთის მეფე **გიორგი მესამეს,** რომლის ქალიშვილი **ხვარამზე** სააკაძის ვაჟზე — **ავთანდილზე** დაინიშნა.

მეზღაპრეთა და უცოდინართა მიერ ყურით მოთრეული ჭორია, თითქოს **გიორგი სააკაძეს** მეფობა უნდოდა. ასე რომ ყოფილიყო, მარტყოფის ბრძოლის შემდეგ გონიოს ციხეში შეკეტილ **თეიმურაზ პირველს** მოციქულებს არ გაუგზავნიდა — **ქვეყანა თავისუფალია, ჩამობრძანდი და იმეფეო!**

შემდეგაც, როცა **თეიმურაზი** და **სააკაძე** ერთმანეთს ღიად დაუპირისპირდნენ, სააკაძემ იმერეთის მეფის **გიორგი მესამის** ვაჟს **ალექსანდრე მესამეს** შესთავაზა ქართლ-იმერეთის გაერთიანებული ტახტი, რაც ავტომატურად მთელი საქართველოს გაერთიანებას ნიშნავდა. მოგეხსენებათ, ამ ამბებიდან მალე სააკაძის ბედის ბორბალი უკუღმა დატრიალდა და მასთან ერთად საქართველოც გაუბედურდა.

**მარტყოფი დიად გამარჯვებასთან ერთად საშინელი ტრაგედიის ადგილიცაა.** სწორედ მარტყოფში მოკლეს **1918 წლის 27 ივნისს** უწმინდესი პატრიარქი **კირიონ მეორე საძაგლიშვილი.** მკვლელმა გაიარა ის ოთახი, სადაც პატრიარქის ერთგული **ტარასი კანდელაკი** იწვა და... გამთენიისას საკუთარ საწოლში იპოვეს სისხლში მცურავი უწმინდესი. **ტარასი კანდელაკმა** გამოძიებას ჩვენება მისცა — **იარაღის გასროლის ხმა არ გამიგიაო!** მოგვიანებით, სიკვდილის პირას მისული დეკანოზი **ნიკიტა თალაკვაძე,** რომელიც 1917 წლის 25 მარტს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის სათავეებთან იდგა, იტყვის, რომ **საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი კირიონ მეორე საძაგლიშვილი დავით დავითაშვილმა** მოკლა!

ცნობილია, რომ **გიორგი სააკაძე** მარტყოფის გამარჯვებისთვის საგანგებოდ ემზადებოდა. 30 ათასი ყიზილბაში, რომელიც დღევანდელი სოფელ აღაიანის ველზე იყო დაბანაკებული, გიორგი სააკაძემ წინ და უკან იმდენი ატარა, სანამ საქართველოს დამქცევრებს მარტყოფის ვიწრობებში არ ამოაყოფინა თავი და მერე ერთი დარტყმით არ გაანადგურა. იმ 30 ათასი ყიზილბაშიდან მხოლოდ 3 ათასმა უშველა გაქცევით თავს, დანარჩენები მარტყოფში ჩამიწდნენ.

**მარტყოფის ტრიუმფის 400 წლისთავამდე 1 წელი რჩება და რატომღაც მგონია, ამ ერთ წელიწადში საქართველოში ისეთი გარდატეხა მოხდება, რომ ყიზილბაშებზე მაშინდელივით გავიმარჯვებთ!**

დამარცხების უფლება არ გვაქვს, რადგან ჩვენ უკან საქართველოა!

***დიტო ჩუბინიძე***





**როგორც ძაღლთაპირი გიორგი მშვენიერაძე, ეკა გიგაური, ნინო ლომჯარია და სხვა ლგბტ აგენტები და გეი-ფაშისტები ფინანსდებიან ამერიკიდან, სწორედ ასე მაშინდელი გადაგვარებული და მოღალატე ქართველები ირანული შაჰისევანიდან ღებულობდნენ ყოველგვარ დახმარებას — ფულს, თანამდებობებს, მიწებს, ძვირფას ხალათებს, ოქრო-ვერცხლს, საგადასახადო შეღავათებსა და ა.შ.**

## კვირგვინოსნები

**ალექსანდრე ლუკაშენკო**
*ბელარუსის პრეზიდენტი*



ჩვენ **ომისთვის ვემზადებით,** „მშვიდობა თუ გინდა, **ემზადე ომისთვის“.**

„საქართველოს რესპუბლიკა“

**რამაზ საყვარელიძე**
*პოლიტოლოგი*



**ივანიშვილის პრეზიდენტობას არ გამოვრიცხავ.** ასეთი კრიზისი ნაციონალურ მოძრაობაში მაშინაც კი არ ყოფილა, როდესაც 2012 წელს **არჩევნები წააგეს და ხელისუფლება დაკარგეს.**

„ახალი თაობა“

**იაგო ხვიჩია**
*„გირჩის“ ლიდერი, პარლამენტარი*



მიშა აქამდეც **სულ „ოცნების“ წისქვილზე ასხამდა** წყალს და ახლაც იგივე მოხდება.

„ახალი თაობა“

**დავით მათიკაშვილი**
*პარლამენტარი*



კეთილსინდისიერების მხრივ **საქართველოს სასამართლოს მაღალი პოზიცია აქვს,** ბოლო კვლევამ აჩვენა, რომ **პოლიტიკური მიუკერძოებლობის კუთხით აშშ-იც კი ჩამოგვრჩება.**

„პირველი არხი“

**ლევან ქარუმიძე**
*პარლამენტარი*



ჰააგაში იმართება კონფერენცია **„სამართლიანობის აღდგენა უკრაინისთვის“,** როგორ შეიძლება, ვინმემ ისაუბროს სამართლიანობაზე, როცა **იმავე ოთახშია ზურაბ ადეიშვილი.**

„პირველი არხი“

# პოლიტიკური ქალთაბანდობის შესახებ







***ქართულ ენაში სიტყვა „ყალთაბანდობა" თაღლითობის, გაქნილობისა და ყალბისმქნელობის სინონიმია, ხოლო, რაც შეეხება ჩვენ მიერ წინამდებარე პუბლიკაციაში გამოყენებულ ტერმინს „ქალთაბანდობა", ესეც თაღლითობას, გაქნილობასა და სიყალბეს ნიშნავს, ოღონდ ჩადენილსა და გამოვლენილს სახელდობრ ქალის ან ქალების მიერ.***

როცა პოლიტიკურ **ქალთაბანდობაზე** ვსაუბრობთ, მხედველობაში გვყავს კოლექტიურ ნაცმოძრაობაში შეჯგუფებული **პოლიტიკოსი ქალები,** რომლებსაც ახლა ერთი ვაი-უშველებელი აქვთ ატეხილი იმის გამო, რომ საპარლამენტო უმრავლესობამ **ე.წ. ქალთა კვოტირების კანონი** გააუქმა.

კონკრეტულად, საქმე ეხება საქართველოს საარჩევნო კოდექსის 203-ე მუხლს, რომელიც პოლიტიკურ პარტიებს ავალდებულებდა, პარლამენტის საარჩევნო სიაში, როგორც მინიმუმ, ყოველ მეოთხე წევრად ქალი ჩაეწერათ.

ტვინგადაბრუნებულ ლიბერალებსა და გენდერული თეორიების მიმდევრებს რომ ჰკითხო, **ე.წ. ქალთა კვოტირების კანონი** ქალების უფლებების დაცვასა და პოლიტიკაში მათი როლისა თუ მნიშვნელობის გაზრდას ემსახურებოდა, მაგრამ კარგად რომ განსაჯო, ეს ქალების დისკრედიტაციისა და დაკნინების კანონი გახლდათ. აბა, წარმოიდგინეთ, როგორი დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი უნდა იყოს ქალისათვის, როცა საარჩევნო სიაში თავისი ჭკუის, განათლების, პოლიტიკური და ინტელექტუალური უნარების გამო კი არ სვამენ, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ ქალია.

ცალკე საკითხია, რამდენად პროდუქტიული იქნება პოლიტიკურ პროცესებსა და კანონშემოქმედებით საქმიანობაში ისეთი ქალების ჩართულობა, რომლებიც საარჩევნო სიაში მხოლოდ იმიტომ მოხვდნენ, რომ პარტია იძულებული იყო, ქალთა კვოტირების კანონი არ დაერღვია.

არც ის არის ძნელი მისახვედრი, **რა სარგებელს მოუტანს ქვეყანასა და საზოგადოებას ქალი, რომელიც პოლიტიკაში მხოლოდ გენდერული ნიშნით მოიყვანეს და რომ არა ქალთა კვოტირების კანონი, საარჩევნო სიაში ვერანაირი კრიტერიუმით ვერ აღმოჩნდებოდა.**

მეორე მხრივ, თუ რომელიმე პარტიას იმის ფუფუნება აქვს, რომ საარჩევნო სიაში, სულ მცირე, ყოველ მეოთხე წევრად ჭკვიანი, განათლებული, პროფესიონალი, პოლიტიკაში გათვითცნობიერებული, რეიტინგული და ამომრჩევლის თვალში ავტორიტეტიანი ქალი ჩაწეროს, ე.წ. კვოტირების კანონი რა ჯანდაბად არის საჭირო და რომელი პოლიტიკური პარტიაა საკუთარი თავის მტერი, რომ ასეთი ძვირფასი რესურსი არ გამოიყენოს?!

ერთი სიტყვით,

**ე.წ. ქალთა კვოტირების კანონი წმინდა წყლის ფსევდოლიბერალური ქალთაბანდობა იყო და ძალიან კარგია, რომ გააუქმეს,**

ხოლო ის **პოლიტიკური ქალთაბანდები,** რომლებიც ახლა ბევრს წიკვინებენ, არც დაწერილი და არც დაუწერელი კანონების მიხედვით, ქართულ პოლიტიკაში საერთოდ არ უნდა იყვნენ.

კი, კოლექტიურ ნაცმოძრაობაში თავმოყრილი **ტოქსიკური ქალთაბანდების** გარეშე ქართული პოლიტიკა ბევრად უფრო ჯანსაღი და პროდუქტიული იქნებოდა!

პარლამენტში **ქალთაბანდი** სალომე სამადაშვილის, **ქალთაბანდი** თინა ბოკუჩავას, **ქალთაბანდი** ხატია დეკანოიძის, **ქალთაბანდი** ელენე ხოშტარიას, **ქალთაბანდი** ანა წითლიძის, **ქალთაბანდი** ანა ნაცვლიშვილის, **ქალთაბანდი** ხათუნა სამნიძის, **ქალთაბანდი** თეონა აქუბარდიასა და **ქალთაბანდი** თამარ კორძაიას ნაცვლად მართლა გონიერი, განათლებული და სამშობლოს მოყვარული ქართველი ქალები რომ ისხდნენ, საქართველოს საქმე ბევრად უკეთესად იქნებოდა!

აღარაფერს ვამბობთ **ქალთაბანდი სალომე ზურაბიშვილის** შესახებ, რომელმაც პრეზიდენტის ინსტიტუტს სახელმწიფოებრივი ფუნქცია გამოაცალა და რევანშისტული ნაცოპოზიციის პოლიტიკურ სამსახურში ჩააყენა!

საუბარი არ ღირს არც **ქალთაბანდი ეკა ბიბაურის, ქალთაბანდი ნინო ლომჯარიას, ქალთაბანდი ნატა ფერაძისა** და არასამთავრობო სექტორში შეჭუჩებული სხვა **ქალთაბანდების** შესახებ, რომლებიც იმისათვის იბრძვიან, რომ საქართველოში ქალების გარდა კაცებიც გათხოვდნენ და ქალს დედის მაგივრად „მშობელი ნომერი ერთი" დაერქვას!

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, **ე.წ. ქალთა კვოტირების კანონი** ნამდვილად მოსაშორებელი იყო, თუმცა, საქართველოში პოლიტიკური ქალთაბანდობის მოსასპობად მხოლოდ ამ ერთი კანონის გაუქმება არ კმარა!

საქართველოში **პოლიტიკური ქალთაბანდების** ძირფესვიანად ამოძირკვას მთელი ნაცლიბერასტული ოპოზიციის პოლიტიკური დასამარება სჭირდება, რისი შანსიც ქართველ ხალხს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებში მიეცემა და ამ შანსის ხელიდან გაშვება არაფრით არ შეიძლება!

***ჯაბა ხუბუა***

## ქართულ პოლიტიკაში შხამიან ქალთა ბანდების ადგილი აღარ უნდა იყოს!








## კოლექტიურ ნაცმოძრაობაში თავმოყრილი ტოქსიკური ქალთაბანდების გარეშე ქართული პოლიტიკა ბევრად უფრო ჯანსაღი და პროდუქტიული იქნებოდა!

### კვირგვინოსნები

**სალომე ზურაბიშვილი**
*საქართველოს პრეზიდენტი*



მივმართავ საზოგადოებას, მაგრამ ამავე დროს, მინდა მივმართო „ოცნების" წარმომადგენლებს: **გილოცავთ, ბატონებო, რამეთუ ქალები თქვენთან აღარ ითვლება ან თუ ითვლება, ისე მოიხსენიებთ, რომ ჯობია, არ მოიხსენიოთ,** დაკარგეთ ელემენტარული ქართული ზრდილობა, რაც ძალიან სამწუხაროა თქვენთვის.

„საქართველოს რესპუბლიკა"

**ვახტანგ მეგრელიშვილი**
*„გირჩის" წევრი*



მაგრამ „გამისწორდებოდა", **უმრავლესობა ქალები რომ იყოთ პოლიტიკაში,** ბევრად სასიამოვნოდ გავატარებდი დროს საპირისპირო სქესის ადამიანებთან, მაგრამ არ არის, რა ვქნა? ძალით ხომ არ მოვიყვანთ?! **ჩემი სიამოვნებისთვის ჰარემს ხომ არ გავაკეთებ?**

„ინტერპრესნიუსი"

**თაკო ჩარკვიანი**
*ოპოზიციონერი პარლამენტარი*



მოთხოვნა ჩნდება საზოგადოებაში, **დიახ, ხელი შევუწყოთ იმას, რომ პოლიტიკაში მეტი ქალი იყოს ინტეგრირებული** — რამ შეგაწუხათ ასე, ბატონებო?! მამაკაცებს ყოველთვის სიამოვნებდათ ქალთა გარემოში ყოფნა?

„ინტერპრესნიუსი"

**ნინო ლომჯარია**
*ყოფილი სახალხო დამცველი*



როგორც ჩანს, **ბოლო პერიოდში ზედმეტი დოზით შევედით ევროპაში და ისევ ტალახში გორაობის ინსტრუქცია მოუვიდათ ჩრდილოეთიდან** — გაუმჭვირვალე და საფრთხის შემცველი ფული ევროპიდან საქართველოში არ მოდის.

„ინტერპრესნიუსი"

# უკან შესულები და უკან გამოსულები

***წინამდებარე წერილის სათაური იმ პოლიტიკური ბაკქანალიისა და საგიჟეთის მოკლე ფორმულაა, რომელიც ამ ბოლო დროს სათხებოდ ქცეული ქართული პოლიტიკის ავანსცენაზე კიდევ ერთხელ დატრიალდა!***

საქმე ის გახლავთ, რომ მომავალ პარლამენტში მოხვედრის სურვილით **ხატია დეკანოიძე** და **თამარ სტალბერის ასული კორძაია** ისე ამძუვნდნენ, ერთიც და მეორეც უსირცხვილოდ აკნავლდა და გამოტყდა — უკან, ნაცში უნდა შევბრუნდეთო!

**დეკანოიძემ** თქვა — **იმ პარტიასთან, სადაც ამდენი ხანი ვიყავი და უამრავი მეგობარი მყავს, კომუნიკაციის პრობლემა არასოდეს მქონიაო!** ხოლო **თამარ სტალბერის ასულმა კორძაიამ** ყელი მოიღერა და უსინდისოდ აღიარა — **ამ პარლამენტში სწორედ ნაციონალური მოძრაობის სიით მოვხვდი და რა გასაკვირი იქნება, ისევ ნაცში დავბრუნდეო!**

ამასთან დაკავშირებით იმაზე უკეთესს ვერაფერს ვიტყვი, რაც მთელ სვანეთში ცნობილმა ვაჟკაცმა **ვალოდია კორძაიამ** მითხრა — **კაცი დავბერდი, ძველი სპორტსმენი ვარ, სამმართველოს უფროსიც ვიყავი, ქალი არ დამკლებია და ქეიფი, მაგრამ ასეთი ჩათ...ხი** (ცენზურა ჩვენია. რედ.) **ჩემს ცხოვრებაში არ შემხვედრიაო!** აქვე „ქართული ოცნების" გასაგონად ვიტყვით, რომ **თამარ სტალბერის ასული კორძაია** ვიდრე პარლამენტში ნაცმოძრაობის სიით მოხვდებოდა, მანამდე „ქართული ოცნების" სიით მოხვდა, როცა ნაძალადევში მაჟორიტარული არჩევნები „მოიგო". **ეს ყველაფერი გვიქმნის საფუძვლიან ეჭვს, რომ მაშინ ნაძალადევში არჩევნები ტოტალურად გაყალბდა.**

მოკლედ, **ხატია დეკანოიძე და თამარ სტალბერის ასული კორძაია** ნაცში **უკან შესულები,** გნებავთ, **უკნიდან შესულები** არიან. რაც შეეხება ამ წერილის სათაურის მეორე ნაწილში ნახსენებ **უკან გამოსულს,** აქ ავადსახსენებელი **ზურაბ ადეიშვილი** იგულისხმება, რომელიც წინა კვირას უკრაინის გენერალურ პროკურორთან ერთად ჰააგაში ბრძანდებოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც საქართველოს ხელისუფლებამ ჰოლანდიას ადეიშვილის გადმოცემის მოთხოვნით მიმართა, უკრაინელებმა ადეიშვილი სწორედ რომ **უკნიდან გააპარეს** და მისი სახსენებელი ყველა იმ ფოტოდან გააქრეს, სადაც სააკაშვილის გარყვნილი რეჟიმის არქიტექტორი ფიგურირებდა.

ერთი სიტყვით, **ხატია დეკანოიძე** და **თამარ კორძაია** **უკან შესულები** არიან, ხოლო **ზურაბ ადეიშვილი** — **უკან გამოსული...**

ორივეს — **უკან შესულებსა და უკან გამოსულებს** აერთიანებთ ერთადერთი რამ — ყველანი სააკაშვილის მიერ **უკნიდან დაქოქილი თოჯინები** არიან! ადეიშვილს სულ სხვა პრობლემები აქვს და რაც ამ მართლაცდა გარყვნილ არარაობას ჭირს, იმას მტერსაც არ ვუსურვებ, მაგრამ **ხატია დეკანოიძე** და **თამარ კორძაია** ამ ბოლო დროს თვალებს ისე ატრიალებენ, როგორც თოჯინებს, წინასაარჩევნოდ ნამდვილად სჭირდებათ უკნიდან დაქოქვა და სააკაშვილის ხელი.

საერთოდ, **ხატია დეკანოიძეს, თამარ სტალბერის ასულ კორძაიასა** და **ზურაბ ადეიშვილს** რაც გინდა, დავარქვათ და ვუწოდოთ, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან **წინიდანაც და უკნიდანაც** ნაცები არიან და წარმოადგენენ იმ დანაშაულებრივ რეჟიმს, რომელმაც საქართველოს სისხლის ცრემლები ადინა. **ხატია დეკანოიძესა და თამარ სტალბერის ასულ კორძაიას** რომ არ ეთქვათ, არიქა, ნაცში ვბრუნდებითო, განა ჩვენ არ ვიცით, რომ ესენი სააკაშვილის ძუძუს ვერ შორდებიან და გამუდმებით **ბიძინა ივანიშვილის ასული ალასანიასა** და მისი **გიორგი ჩალაძე-ჩოილარის** გარშემო დასუნსულებენ?

რაც შეეხება **ადეიშვილს,** ეს მართლაცდა ღვთის პირისგან შეჩვენებული ქონდაქარი სადაც გინდა, გადამალო, გააპარო და შეჩურთო, **საქართველოს ისტორიიდან ვერავინ ამოშანთავს იმ საშინელებას, რაც წყეულ მონღოლებსაც კი არ უკადრებიათ** — საქართველოში კაცების გაუპატიურება ყიზილბაშებმა დაიწყეს, შევარდნაძემ გააგრძელა, ხოლო სააკაშვილ-ადეიშვილმა ეს უბედურება სახელმწიფო პოლიტიკის რანგში აიყვანა!

**ამიტომაც ვაცხადებთ:**

**ვინც ადეიშვილის დროს პროკურატურის მაღალჩინოსანი იყო და სისტემას დღემდე შემორჩა, კომპეტენტურ ექიმთა მიერ უნდა შემოწმდეს და გაირკვეს – ხომ არ არის სექსოტი, პერვერტი და, უფრო კონკრეტულად კი, ლატენტური მამათმავალი?**

**ხატია დეკანოიძე და თამარ სტალბეროვნა კორძაია** ნაცებში წინიდან მიბრუნდებიან თუ უკნიდან, მნიშვნელობა არა აქვს!

მნიშვნელობა მხოლოდ იმას აქვს, რომ ისინი, როგორც სააკაშვილის თოჯინები, დაქოქვას აუცილებლად საჭიროებენ, რაც მხოლოდ **უკნიდან** ხდება!

***დიტო ჩუბინიძე***







*უკრაინის გენერალურმა პროკურორმა თავის „ტვიტერის" გვერდიდან **წაშალა ფოტო, რომელშიც ჩანდა, რომ ჰააგაში გამართულ შეხვედრაზე მის გვერდით ზურაბ ადეიშვილი ზის.** ახალ პოსტში, რომელიც გენპროკურორმა კოსტინმა „ტვიტერზე" განათავსა, **ზურაბ ადეიშვილი ფოტოდან ჩამოჭრილია.***

## საქართველოში კაცების გაუპატიურება ყიზილბაშებმა დაიწყეს, შევარდნაძემ გააგრძელა, ხოლო სააკაშვილ-ადეიშვილმა ეს უბედურება სახელმწიფო პოლიტიკის რანგში აიყვანა!

## კვირგვინოსნები

**ხათია დეკანოიძე**
*ოპოზიციონერი პარლამენტარი*



**ქალებო,** დააკვირდით და არასდროს დაუჯეროთ იმ ადამიანის თანასწორობაზე საუბარს, რომელიც მესამე პირში **„ქალების" ნაცვლად „ქალბატონებს" ამბობს.**

„აიპრესი"

**თამარ ჩერგოლეიშვილი**
*„ევროპული საქართველოს" წევრი*



**კვოტირებულ ქალებს** არჩევენ მორჩილების ნიშნით და ის **ქალები, რომლებიც მორჩილები** არ ვართ, გიჟებად ვირაცხებით.

„TV პირველი"

**პაატა მანჯგალაძე**
*„სტრატეგია აღმაშენებლის" წევრი*



„ქართულმა ოცნებამ" ჭკუა ვერ ისწავლა — **ჩვენ მათ არცერთ პროვოკაციას არ ავყვებით,** შერკინების დრო და ადგილი დანიშნულია **26 ოქტომბერს.**

„ინტერპრესნიუსი"

**ალეკო ელისაშვილი**
*„მოქალაქეების" ლიდერი*



როგორც ჩანს, **„ქართულ ოცნებას" გვერდები ეფხანება,** ერთხელ დააბიჯა ფოცხს და ტარი მოირტყა თავში, ახლა დაჟინებით მიდის, რომ **კიდევ ერთხელ გასინჯოს, ისევ დარეტიანდება თუ არა.** „აიპრესი"

**გია ხუხაშვილი**
*ექსპერტი*



ოპოზიციაში სავალალო მდგომარეობაა — **თუ ხალხის მხარდაჭერა არცერთს არ გაქვთ,** გინდა ასე დასხედით და გინდა ისე, გინდა ერთად და გინდა ცალ-ცალკე.

„პალიტრანიუსი"

**გიორგი ვაშაძე**
*„გამარჯვების კოალიციის" თანა-თავმჯდომარე*



უნდა დამტკიცდეს, არის თუ არა ჩვენი სასამართლო სისტემა ევროპული, ამიტომ, დიახ, **ევროპული კეთილსინდისიერების ტესტი** ყველა მოსამართლემ უნდა გაიაროს.

„პალიტრანიუსი"

*გასულ კვირას „ქართულმა ოცნებამ“ პარლამენტში ხელახლა დაარეგისტრირა კანონპროექტი ე.წ. აგენტების შესახებ. როგორც განმარტეს, ოპოზიციისა და არასამთავრობოების ყიყინის მიუხედავად, მას ამჯერად აუცილებლად მიიღებენ. სააკაშვილის რეჟიმის მიერ მოკლული გმირი ქართველის გია კრიალაშვილის და **ლია კრიალაშვილი**, რომელიც დღემდე ითხოვს ხელისუფლებისგან სამართლის აღსრულებას, მიიჩნევს, რომ მისი ძმა სწორედ უცხოეთის გავლენის აგენტებმა მოკლეს:*




**ეს ძუკნა დედაკაცები – ბოკუჩავები, წითლიძეები, ხერხეულიძეები, დეკანოიძეები, კორძაიები,**

**სამადაშვილები და ა.შ. რა დამსახურებისთვის იკავებენ პარლამენტის ტრიბუნას?!**

# ლია კრიალაშვილი:

# ჩემი ძმა უცხოეთის გავლენის აგენტებმა მოკლეს!






რომან გოცირიძის ფეისბუქპოსტი მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ ხელისუფლებამ თავიდან დააინიცირა კანონი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“

# «უზადრუკო გოცირიძევ,

## ილოცე, რომ ქართველი ხალხი ქუჩაში არ გამოვიდეს, თორემ შენგან ულვაშებიც აღარ დარჩება!“

— მივესალმები **უცხოური გავლენის აგენტების შესახებ კანონპროექტის** დაბრუნებას პარლამენტში. „ოცნება“ ამ ნაბიჯისთვის შექებას იმსახურებს, მეტიც, ეს მხოლოდ წინასაარჩევნო დაპირებად რომ არ დარჩეს, **რაც შეიძლება დროულად უნდა იქნეს განხილული და მიღებული!** დიახ, უნდა გამოვლინდნენ ე.წ. ენჯეოები და მათ უკან მდგომი მოღალატე პოლიტიკოსები! დიახ, უნდა იცოდეს საზოგადოებამ, ვისი აგენტები არიან, ვის მიერ დაფინანსებული ფულებით უთხრიან ძირს ქვეყანას!

რა თქმა უნდა, ე.წ. ოპოზიციონერები კვლავ შეეცდებიან რუსული კანონის იარლიყის მიკერებით ახალგაზრდობის ქუჩაში გამოყვანას, მაგრამ ამჯერად არ გამოუვათ. საზოგადოება პოლიტიკურად კიდევ უფრო გაიზარდა და მათ მიერ კარგად შეფუთულ სატყუარას აღარ წამოეგება. **ხელისუფლებაც უფრო მომზადებული შეხვდება მათ ისტერიკას და საკადრის პასუხს გასცემს!**

„ოცნების“ ბოლოდროინდელი გადაწყვეტილებებით სააკაშვილის სექტის წევრები ისეთ მარაზმში არიან გადავარდნილნი, რომ 26 მარტს სტადიონზე შეკრებილი და მოზეიმე ხალხის მუხტის სათავისოდ გამოყენებაც კი განიზრახეს. ყოფილი სახალხო დამცველი **ნინო ლომჯარია** რევოლუციის მოსაწყობად ამერიკასა და ევროპას უხმობს — თუ კანონთან დაკავშირებით თქვენი მხრიდან უმძიმესი შეფასებები არ იქნება, 10 კაცსაც ვერ გამოვიყვანთ გარეთო... **ახლა მე მომისმინე ნაცების ადვოკატო, სამშობლოს მოძულე ნინო ლომჯარიავ** — ეს კანონი ზუსტად იმიტომ უნდა იყოს მიღებული, რომ შენნაირი მოღალატეები გამომზეურდნენ და ერთხელ და სამუდამოდ ფაქტებით დადგინდეს, ვინ რევს ქვეყანას. **შენ რომ ადამიანი იყო, ერთ-ერთი პირველი დაიცავდი ჩემი გარდაცვლილი ძმის უფლებებს და მკვლელებს არ შეეკვრებოდი.** რაც მთავარია, სულ რომ თავდაყირა დააყენოთ მთელი დასავლეთი, ამ კანონს ხელისუფლება მაინც მიიღებს!

არ დაგიმალავთ, მიუხედავად იმისა, რომ ჩემი ძმის საქმე კვლავ თაროზეა შემოდებული, ხელისუფლების ბოლოდროინდელი ქმედებები მომწონს.

**— მოგწონთ ე.წ. სექსისტური და შეურაცხმყოფელი განცხადებები ქალბატონების მისამართით?**

— ესენი ქალები კი არა ქაჯები არიან, ქვეყნის და საკუთარი თავის მტრები! მათ არც სამშობლოს სიყვარული იციან და არც დედაშვილობა.

ალქაჯ ხოშტარიას, საღებავებით რომ დარბის წინ და უკან, პოლიტიკოსი უნდა ერქვას?! მათ რომ ვუყურებ, ხანდახან მრცხვენია, მეც რომ ქალი ვარ.

**რომან გოცირიძეც,** ხალხს ქუჩაში გასვლისკენ რომ მოუწოდებს, სულ გადასულა ჭკუიდან. **უზადრუკო გოცირიძევ,** ილოცე, ქართველი ხალხი მართლა არ გამოვიდეს ქუჩაში, თორემ შენი და შენნაირი ქვემძრომების ბუმბული ჰაერში იფარფატებს და ულვაშებიც აღარ დარჩება შენგან!

კიდევ ერთხელ ვამბობ, მიხარია, დღევანდელი ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯები. როგორც ჩანს, გამოფხიზლდნენ. ირაკლი ღარიბაშვილმა ხალხს ნაწილობრივ მაინც დაუბრუნა ღირსება. ევროკავშირის კანდიდატის წევრობა ისე მივიღეთ, რომ ქედი არ მოგვიხრია.

**— ახალ პრემიერზეც ასე ფიქრობთ?**

— ირაკლი კობახიძე ჯერჯერობით მომწონს, ღირსეულად უჭირავს თავი. ეჭვი მეპარება, **გიორგი კობახიძის** შვილმა ქვეყანას გახარიასავით უღალატოს და თავისი პრინციპების ერთგული არ დარჩეს.

პრემიერის მამა ძალიან კარგად იცნობდა ჩემს ძმას, მეგობრობდნენ, ვიცი, რა ოჯახშიც გაიზარდა და როგორ უყვარს სამშობლო.

**მიუხედავად იმისა, რომ ჩემი ძმის მკვლელობის საქმეს უკვე 12 წელია, იძიებენ და საშველი არ დაადგა მკვლელების დასახელებას, გულის სიღრმეში გამიჩნდა იმედი, რომ ირაკლი კობახიძე, თავისი პრინციპული ხასიათითა და თუნდაც ამ მეგობრობის ხათრით გიას მტვერდადებულ საქმეს თაროდან ჩამოიღებს და ვანო მერაბიშვილის დასაცინს არ გახდის.**

ბატონო ირაკლი, იცით, საიდან გამიჩნდა ეს იმედი? უცხოეთის გავლენის აგენტების გამოვლენაზე რომ არ თქვით უარი და პრინციპულად ცდილობთ ქვეყნის ფარული მტრების გამოვლენას. სწორედაც ქვეყანაში შემოსული თანხებით დაგეშილი მოღალატეების მიერ არის ჩემი ძმა მოკლული! განა **როინ შავაძესა** და **სერგო თეთრაძესაც** იგივე არ გაუკეთეს? **ზურამ შარაძეს** პირდაპირ თბილისის შუაგულში დაახალეს შუბლში ტყვია!

**— გამოდის ხელისუფლების მიერ ხელახლა გამოტანილ კანონს ყოველმხრივ დაუჭერთ მხარს...**

— ამ კანონს მთელი ქართველი ხალხი დავიცავთ! სულ რომ ტანსაცმლიდან ამოვარდნენ, საქართველოში სააკაშვილის ნაცსექტა აღარასოდეს დაბრუნდება!

*ესაუბრა*
***ნატო ფოცხიშვილი***

## კვირგვინოსნები

**მედეა ხანგოშვილი**
*ჩეჩნური დიასპორის წევრი*



**სანაიას** მკვლელობამდე ორი დღით ადრე „რუსთავი-2“-ის ეთერში ვიყავით მიწვეული მე და **ხიზრი ალდამოვი.** გადაცემის შემდეგ **გიორგი სანაიამ** რომ გამოგვაცილა, ლიფტში გვითხრა, რომ **მას აქვს კასეტა, სადაც ჩანს, როგორ არიან ძალოვნები ჩართული ნარკობიზნესში და ამ საქმეს ერთ-ორ დღეში საჯაროზე გამოიტანდა,** მაგრამ, რაც მოხდა, თქვენც იცით. თუმცა, მე ის კასეტა არ მაქვს ნანახი.

„საქართველოს რესპუბლიკა“

**დიმიტრი გვრიტიშვილი**
*იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრი*



ნორმალურია, რომ მთელი ამდენი წელი **სასამართლოზე ორკესტრირებული ზეწოლა, ცილისწამებები, ტალახის სროლა, მუქარა** შეუმჩნევლად უნდა დარჩეს? თითქოს **სტრასბურგის არაერთი გადაწყვეტილება** არც არსებობს, ვითომ არაფერი მომხდარა.

„იმედინიუსი“

**ლევან ნიკოლეიშვილი**
*ექსპერტი*



როცა **„ვეტინგს“** ჩვენი სურვილის წინააღმდეგ გვაჩეჩებენ და **არაფერს გვეუბნებიან ჩვენი მოსამართლეების დასანქცირების მიზეზებზე,** როგორც მინიმუმ, მათთვის **სანქციების მოხსნის საკითხი** უნდა დადგეს.

„იმედინიუსი“

**თამთა მეგრელიშვილი**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



გვთავაზობთ, დავნერგოთ **„ვეტინგის“** სისტემა?! **კეთილი ინებეთ და დაასაბუთეთ მისი აუცილებლობა, წინააღმდეგ შემთხვევაში მოთხოვნა არ შესრულდება,** რადგან ქართული მართლმსაჯულების განვითარებისათვის ეს მექანიზმი მოძველებულია.

„იმედინიუსი“

# კახა, შენი სახელო, ხაბაროვსკში ვნახეო!



კახა ალადაშვილი რუსეთის ჩემპიონატში, ხაბაროვსკის „სკა ენერგიაში“ თამაშის დროს

**კახა ალადაშვილმა, რომელიც ახლა ვითომ ანტირუსულ დროშას აფრიალებს, საფეხბურთო კარიერა იმ არმიის სპორტულ კლუბში დაამთავრა, რომელმაც 2008 წელს საქართველოს ტერიტორიები დაიპყრო!**

***„ქართული ოცნების“ მიერ „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის ხელახლა ინიცირებას სოციალურ ქსელში გამოეხმაურა ვეტერანი ქართველი ფეხბურთელი, საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი მცველი კახაბერ (კახა) ალადაშვილი, რომელიც ნაცბანდის აქტიური მხარდამჭერი და ნიკანორ მელიას ახლო მეგობარი გახლავთ.***

**ალადაშვილი,** საშუალო სტატისტიკური ნაცის სტილში, **„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“** კანონს რუსეთთან აკავშირებს და „ფეისბუქში“ წერს:

*„მე, როგორც ნაკრების წევრი ბევრი წლის განმავლობაში, არ გაგიტარებთ ამ ბედნიერების, გამარჯვების და სიხარულის* ***(გულისხმობს საქართველოს ეროვნული ნაკრების ევროპის ჩემპიონატზე გასვლას. რედ.)*** *გაცამტვერების მცდელობას. როცა ამხელა სიხარული მოგვიტანეს გამარჯვებით ჩვენმა ბიჭებმა, ამათ ახლა მოინდომეს გველურად რუსების შემოცურება. არ გამოვა ეგ ამბავი!“*

**კახა ალადაშვილი,** რომელსაც საქართველოს ეროვნულ ნაკრებში 2005-დან 2015 წლის ჩათვლით, ანუ 10 წლის განმავლობაში, 15 მატჩი აქვს ჩატარებული, როგორც უკვე ვთქვით, ნაცბანდის მხარდამჭერია და, შესაბამისად, გასაკვირი არ არის, რომ ნაცპროპაგანდის ექოს გამოსცემს — **ხელისუფლება „რუსულ კანონს“ იღებს და რუსეთში მიგვაქანებსო!**

დიახ, **ალადაშვილმა, როგორც ნაცმა,** სწორედ ასე უნდა ილაპარაკოს და მისგან სხვა რამეს არც უნდა ველოდოთ, მაგრამ რა ვუყოთ ჯიუტ ფაქტს, რომელიც გვეუბნება, რომ დღეს რუსეთისა და „რუსული კანონის“ წინააღმდეგ ამხედრებული ქართველი ფეხბურთელი **წლების განმავლობაში სწორედ რუსეთის ჩემპიონატში თამაშობდა** და თანაც მას შემდეგ, რაც 2008 წელს რუსეთმა საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია მოახდინა.

კერძოდ, 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ალადაშვილი რუსეთის პრემიერ-ლიგის ბინადარ **მახაჩყალის „ანჟიში“** ჩაირიცხა, სადაც 2009-2010 წლებში გამოდიოდა, 2013-2016 წლებში კი სულ მთლად რუსულ არმიასთან დაკავშირებული გუნდის — **ხაბაროვსკის „სკა ენერგიას“** ღირსებას იცავდა.

მოგეხსენებათ, აბრევიატურა **სკა** (ქართული ტრანსლიტერაციით — **ასკ**) იშიფრება, როგორც **არმიის სპორტული კლუბი.** ჰოდა, **კახა ალადაშვილმა,** რომელიც ახლა ვითომ ანტირუსულ დროშას აფრიალებს, საფეხბურთო კარიერა იმ **არმიის სპორტულ კლუბში** დაამთავრა, რომელმაც 2008 წელს საქართველოს ტერიტორიები დაიპყრო!

მაინც როდის იყო **კახა ალადაშვილი** მართალი და გულწრფელი — მაშინ, როცა 2008 წლის ომის შემდეგ რუსეთის ჩემპიონატში თამაში მისთვის არანაირ პრობლემას არ წარმოადგენდა თუ ახლა, როცა ბორგავს — ხელისუფლება გველურად ცდილობს, რუსეთი შემოგვიცუროსო?

**და კიდევ:** თუ 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ **კახა ალადაშვილი** ფეხბურთს პოლიტიკასთან არ აკავშირებდა და რუსეთის ჩემპიონატში თამაში დისკომფორტს არ უქმნიდა, ახლა რატომ ცდილობს, „რუსული კანონის“ მიღება საქართველოს ნაკრების ისტორიულ გამარჯვებასა და ევროპის ჩემპიონატზე გასვლას დაუკავშიროს?

ვფიქრობთ, ეს რიტორიკული კითხვებია, რომლებზეც ერთადერთი მარტივი პასუხი არსებობს: **კახა ალადაშვილისათვის, როგორც ყველა ჭეშმარიტი ნაცისათვის, პრინციპები, ღირებულებები, სამშობლო და პატრიოტიზმი მხოლოდ პოზა და პოლიტიკური ინსტრუმენტია, რომელსაც მაშინ გამოიყენებ, როცა შენ გაწყობს, ხოლო, როცა არ გაწყობს, ყვარყვარე თუთაბერის უჯრაში შეინახავ, სანამ ისევ დაგჭირდებოდეს.**

აკი, მთელი ნაცსექტა სწორედ თანამედროვე ყვარყვარეთა კიდობანია!

## P.S.



რეზო ჩომახიძე

**კახა ალადაშვილი** არ არის ერთადერთი სპორტსმენი, რომელიც ანტირუსული ისტერიით გამორჩეულ ნაცმოძრაობასთან ასოცირდება, მაგრამ თავისი კარიერის მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ რუსეთში აქვს გატარებული.

ორიოდე წლის წინათ, ნაციონალური მოძრაობის მაშინდელმა თავმჯდომარემ **ნიკანორ მელიამ,** ვითომდა პარტიის რებრენდინგის ფარგლებში, რამდენიმე „ახალი სახე“ წარადგინა, რომელთა შორისაც ერთ-ერთი გახლდათ **ცნობილი წყალბურთელი, ჯერ საბჭოთა კავშირისა და შემდეგ რუსეთის ნაკრების წევრი რევაზ ჩომახიძე,** რომელმაც სიდნეისა და ათენის ოლიმპიურ თამაშებზე ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები რუსეთის ფედერაციის სახელით მოიპოვა. **დღენიადაგ რუსეთს აგინებდე და მთავარ ანტირუსად მოგქონდეს თავი, მაგრამ საზოგადოებას პარტიის განახლებისა და გაჯანსაღების ერთ-ერთ სიმბოლოდ წარუდგინო კაცი, რომელიც მთელი ცხოვრება რუსეთის სახელით და რუსული დროშის ქვეშ ასპარეზობდა** — ეს მხოლოდ ისეთ უპრინციპო, უღირსებო და უმორალო პოლიტიკურ ძალას შეუძლია, როგორიც ნაციონალური მოძრაობაა! ჰოდა, ლოგიკურიც იყო, რომ ანტირუსული რიტორიკის ფლაგმან ნაცმოძრაობაში გაწევრიანებიდან სულ რამდენიმე კვირაში **რეზო ჩომახიძემ** კვლავ რუსეთს მიაშურა და რუსული წყალბურთის გუნდის — **ყაზანის „სინთეზის“** მთავარი მწვრთნელი გახდა. როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია!

***ჯაბა ხუბუა***

## კვირგვინოსნები

**ლევან კობიაშვილი**
*ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი*



საბერძნეთთან მატჩის შემდეგ **ბიძინა ივანიშვილი** იყო ერთ-ერთი პირველი, ვინც **გამარჯვება მოგვილოცა.**

„აიპრესი“

**ოთარ გაბელია**
*ვეტერანი ფეხბურთელი*



თამაშის წინ რაღაცები დაიწერა საბერძნეთის პრესაში — **ქართველებმა მარტო ძალოსნობა და ძიუდო იციანო...** ვინ წავიდა სახლში, კი დავინახეთ, **ჩვენ კი ევროპაში მივდივართ.**

„კვირის პალიტრა“

**გელა კეტაშვილი**
*ვეტერანი ფეხბურთელი*



55 ათასი ადამიანი რომ დაიძახებს — **„საქართველო, საქართველო“** და **მიდით, ბიჭებო, გენაცვალეთო,** იცით, ეს რამხელა სტიმულია?

„კვირის პალიტრა“

**რევაზ ჩელებაძე**
*ვეტერანი ფეხბურთელი*



**სპორტის ყველა სხვა სახეობა ფეხბურთთან ნულია,** არავის ეწყინოს. **აი, ხომ დამტკიცდა?**

„კვირის პალიტრა“

**ზურა ყიფშიძე**
*მსახიობი*



**ჩემთან ერთად არავინ უყურებს ფეხბურთს, რადგან ვანგრევ ყველაფერს.**

„კვირის პალიტრა“

**იმედა კახიანი**
*მსახიობი*



**ბორის პაიჭაძე** „დინამოს“ მეკარეს ასე არიგებდა: **არ გეგონოს, ახლა თბილისის „დინამოს“ კარს იცავ, შენ მტრისგან საქართველოს კარიბჭეს იცავო.**

„კვირის პალიტრა“

*ქართული მედიის დიდმა ნაწილმა და სოციალური ქსელების მომხმარებელთა უმეტესობამ ირონიისა და ქირქილის საგნად აქციეს ველური ბუნების ეროვნული სააგენტოს მიერ გამოცხადებული, მაგრამ პრეტენდენტების არარსებობის გამო ჩაშლილი ტენდერი, რომელიც საქართველოში ტურებისა და მგლების დათვლას უკავშირდება.*

# 2024 წლის 26 ოქტომბერს ნაცხროვის ტურები და მგლები პოლიტიკური გარემოდან უნდა ამოვილოთ!

საქართველოში ტურებისა და მგლების დათვლის ტენდერი ჩავარდა

გამოქვეყნდა: 28 მარ, 18:59



პრეტენდენტების არარსე
ტურებისა და მგლების დ

შეგახსენებთ, რომ ტურის
არეალის, რიცხოვნობის
ცვლილების ფონზე მათი
შემუშავებისთვის 355 000



## ქართულ პოლიტიკაში, მეტადრე, კოლექტიურ ნაცმოძრაობაში თავშეყრილი ტურები და მგლები საქართველოს მოსახლეობას იმაზე ბევრად დიდ ზიანს აყენებენ, ვიდრე ერთად აღებული ყველა მტაცებელი ცხოველი, რაც კი საქართველოს ველურ ბუნებაშია გავრცელებული!



საქართველოს ველურ ბუნებაში გავრცელებული **მგლებისა და ტურების** დასათვლელად **355 000-ლარიანი ტენდერის** გამოცხადება ზოგისთვის შეიძლება, მართლაც ანეკდოტურად ჟღერდეს და ზოგსაც სერიოზულად აშფოთებდეს — პრობლემებით სავსე ქვეყანაში სახელმწიფოს **მგლებისა და ტურების** დასათვლელად არ უნდა ეცალოსო, მაგრამ საკითხი მთლად ასე მარტივად არ დგას.

საქმე ის არის, რომ საქართველოს ველურ ბუნებაში გავრცელებული **მგლებისა და ტურების** რაოდენობის დადგენა იმ ვალდებულებების ნაწილია, რომლებსაც ქართულ სახელმწიფოს ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების შეთანხმება აკისრებს. კერძოდ, **საქართველოს ევალება, თავისი ეროვნული კანონმდებლობა ჰარმონიაში მოიყვანოს ევროკავშირის სტანდარტებთან და გაერო-ს მიერ შემუშავებულ მდგრადი განვითარების მიზნებთან, რომლის მე-15 პუნქტი დედამიწის ეკოსისტემების დაცვასა და ხელშეწყობას გულისხმობს.**

დარწმუნებული ვართ, ველური ბუნების ეროვნული სააგენტოს მიერ გამოცხადებული ტენდერის შესახებ მოქირქილეთა უმრავლესობას არც კი წაუკითხავს დოკუმენტი, რომელშიც შავით თეთრზე წერია, თუ რას ემსახურება საქართველოში **მგლებისა და ტურების** რაოდენობის დადგენა... ან შეიძლება, წაიკითხეს კიდეც, მაგრამ მნიშვნელოვან პრობლემაზე სერიოზულად მსჯელობას ანგლობა და შაყირი ურჩევნიათ.

არადა, დოკუმენტში აღნიშნულია, რომ **საქართველოს მასშტაბით უნდა დადგინდეს ყველა არეალი, სადაც მგლებისა და ტურების პოპულაციაა გავრცელებული, დაზუსტდეს მათი რაოდენობა და შემუშავდეს რეკომენდაციები გარემოდან მათი ამოღების მიზნით.** პროექტი საქართველოს იმ ქალაქებსა და რეგიონებს მოიცავს, სადაც **მგლებისა და ტურების** რაოდენობის ზრდა შეინიშნება და გახშირებულია მათი თავდასხმები მოსახლეობასა და შინაურ ცხოველებზე.

მოკლედ, თუ აღმოჩნდება, რომ საქართველოში **მგლებისა და ტურების** რაოდენობა იმაზე მეტია, ვიდრე პოპულაციის შესანარჩუნებლად არის აუცილებელი, მათ რიცხვს ხელოვნურად შეამცირებენ, ანუ ზედმეტ **მგლებსა და ტურებს „გარემოდან ამოიღებენ“,** რისთვისაც სხვადასხვა მეთოდი არსებობს — ხაფანგით დაწყებული და ტყვიით დამთავრებული.

**ზედმეტი მგლებისა და ტურების გარემოდან ამოღება** მართლაც მნიშვნელოვანი და საშური საქმეა, რადგან საქართველოს მოსახლეობა მათი შემოსევით სერიოზულ ზარალს განიცდის. ოჯახის მარჩენალი მსხვილფეხა თუ წვრილფეხა პირუტყვისა და შინაური ფრინველის განადგურებაზე რომ არაფერი ვთქვათ, ბოლო წლების განმავლობაში **მგლებმა** კახეთის, შიდა ქართლის, მცხეთა-მთიანეთის, სამცხე-ჯავახეთის, სამეგრელოსა და გურიის რეგიონებში არაერთი ადამიანი დაგლიჯეს, რის შედეგადაც ზოგმა სხეულის ესა თუ ის ნაწილი დაკარგა, ზოგი კი მხეცის თავდასხმას ცოცხალი ვერ გადაურჩა.

ვითარებას კიდევ უფრო ამძიმებს **საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა,** რომელიც სხვადასხვა სახეობის მტაცებელი ცხოველის, განსაკუთრებით კი **მგლის** მოკვლისათვის დიდძალ ფულად ჯარიმასთან ერთად გულის გამაწვრილებელ და ნერვების მომშლელ სამართლებრივ პროცედურებს ითვალისწინებს. მაგალითად,

### კანონი თავდაცვისა და აუცილებელი მოგერიების ფარგლებში მგლის მოკვლის უფლებას გვაძლევს, მაგრამ შემდეგ სამართალდამცავი უწყების წარმომადგენლებს დანვრილებით უნდა დავუსაბუთოთ, რამდენად

# ამას ტენდერი არ სჭირდება!

## კვირგვინოსნები

**დავით ჭიჭინაძე**

*„ტრიბუნას“ თავმჯდომარე*



**დღეს „ოცნებაში“ იმდენი ნაცია, რომ მას 2012 წლის „ქართულ ოცნებასთან“ არავითარი საერთო არა აქვს.** როგორც ნაციონალურ მოძრაობას, ისე „ქართულ ოცნებას“ არა აქვს მომავალი. **ორივე ამ ქვეყნის წარსულია.** დარწმუნებული ვარ, **ბიძინა ივანიშვილმა** ეს მშვენივრად იცის.

„ახალი თაობა“

**ანა ნაცვლიშვილი**

*პარტია „ლელოს“ წევრი*



„ქართული ოცნება“ **კლანმა შეაშინა,** დაემუქრა და „ოცნებამ“ კარგად იცის, **თუ კლანი გაუნაწყენდა,** აუცილებლად პირს გააღებს და იმ დანაშაულებზე დაიწყებს ლაპარაკს, რომელშიც „ოცნება“ არის ჩართული.

„ახალი თაობა“

**ედიშერ გვენეტაძე**

*ექსპერტი*



**ოქტომბრის არჩევნებზე** ერთხელ და სამუდამოდ უნდა დასრულდეს **ბარაბას, ანუ კოლექტიური ნაცმოძრაობის** ბოგინი საქართველოში.

„იმედინიუსი“

**გია აბაშიძე**

*ანალიტიკოსი*



26 ოქტომბერს გასაკეთებელი არჩევანი ასეთია — **მშვიდობიანი განვითარება თუ მყრალ ჭაობში დაბრუნება!** თვალთმაქცური და მდარე ხარისხის შეფუთვებით, **ბოროტი ნაცობა ვერ დაიმალება.**

„იმედინიუსი“

# პოლიტიკური გარემოდან ტურებისა და მგლების ამოსაღებად ქართული „ნიურნბერგის პროცესის“ ჩატარება იყო საჭირო!






**საქართველოში მოსუნსულე მგლებსა და ტურებს, რომლებიც მოსახლეობას შინაურ პირუტყვსა და ფრინველს უნადგურებენ, იმდენი ოჯახი მაინც არ დაუქცევიათ, რამდენსაც სააკაშვილმა, მერაბიშვილმა, ადეიშვილმა, კეზერაშვილმა და ნაცხროვის სხვა ტურა-მგლებმა გამოუყვანეს წირვა!**

## ჯდებოდა თავდაცვისა და აუცილებელი მოგერიების ფარგლებში ის ვითარება, რომელშიც მგელი გავაგორეთ.

წინააღმდეგ შემთხვევაში, **500-დან 1000 ლარამდე ჯარიმის** გადახდა მოგვიწევს, ეს კი შეიძლება, საქართველოში ბევრი ოჯახისათვის მთელი თვის შემოსავალი ან უფრო მეტიც იყოს.

იმედია, ველური ბუნების ეროვნული სააგენტოს მიერ **ტურებისა და მგლების** დასათვლელად გამოცხადებული ტენდერი, რომელიც ამ ეტაპზე ჩაიშალა, უახლოეს მომავალში შედგება და **ოთხფეხა მტაცებელთა** მიერ აწიოკებული საქართველოს მოსახლეობაც შვებას იგრძნობს, მაგრამ **როგორ გავუმკლავდეთ და რა მოვუხერხოთ ორფეხა მტაცებლებს — ქართულ პოლიტიკაში თავშეყრილ ტურებსა და მგლებს, რომლებიც ქართველ ხალხს აწიოკებენ?**

მითუმეტეს, ქართულ პოლიტიკაში, მეტადრე, **კოლექტიურ ნაცმოძრაობაში** თავშეყრილი **ტურები და მგლები** საქართველოს მოსახლეობას იმაზე ბევრად დიდ ზიანს აყენებენ, ვიდრე ერთად აღებული ყველა მტაცებელი ცხოველი, რაც კი საქართველოს ველურ ბუნებაშია გავრცელებული.

სხვა თუ არაფერი, საქართველოს ტყეებში დაბუდებული კბილებდაკრეჭილი **მგლების** ხროვას იმდენი ადამიანისათვის ნამდვილად არ მოუსწრაფებია სიცოცხლე, რამდენიც ნაცხროვის 9-წლიან ბოგინს შეეწირა!

საქართველოში მოსუნსულე **მგლებსა და ტურებს,** რომლებიც მოსახლეობას ბაკებსა და საქათმეებში უცვივდებიან და შინაურ პირუტყვსა და ფრინველს უნადგურებენ, იმდენი ოჯახი მაინც არ დაუქცევიათ, რამდენსაც სააკაშვილმა, მერაბიშვილმა, ადეიშვილმა, კეზერაშვილმა და ნაცხროვის სხვა ტურა-მგლებმა გამოუყვანეს წირვა ქონების წართმევით, უკანონო პატიმრობით, ციხეში წამებითა და სხვა სასტიკი მეთოდებით.

მართალია, 2012 წელს ქართველმა ხალხმა საქართველო პირდაპირ კბილებიდან გამოგლიჯა ნაცხროვის **მგლებსა და ტურებს,** მაგრამ ისინი დღემდე ახერხებენ ქვეყნის დაზიანებას, ხელს უშლიან მის წინსვლასა და განვითარებას, გაუთავებელი და გაბმული ყმუილით მიაქვთ ქართველი ხალხის ყურთასმენა...

ჰოდა, ამიტომაც არის აუცილებელი **კოლექტიურ ნაცხროვაში** თავშეყრილი **ტურებისა და მგლების** დათვლა და ქართული პოლიტიკური გარემოდან ამოღება, რაც ადვილი საქმე არ გახლავთ, რადგან ისინი ბევრნი არიან და ბევრგან არიან — საკუთრივ **ნაციონალურ მოძრაობაში,** ხაზარაძის **„ლელოში“,** ჯაფარიძის **„გირჩში“,** ხვიჩია-მეგრელიშვილის **„გირჩში“,** ხოშტარიას **„დროაში“,** გვარამია-მელიას **„ახალში“,** ბოკერია-ჩერგოლეიშვილის **„ევროპულ საქართველოში“,** გოცირიძე-დეკანოიძის **„ევროოპტიმისტებში“,** კაპიტან გიგაურის **„საერთაშორისო გამჭვირვალობაში“,** ლომჯარიას **„ევროპულ ორბიტაში“** და კიდევ სად აღარ... ვითომ სხვადასხვა სახელი დაირქვეს და სხვადასხვა ქურქის მორგებას ლამობენ, მაგრამ ქართველმა ხალხმა კარგად იცის, რომ ყველანი ერთ პოლიტიკურ პოპულაციას ეკუთვნიან, რომელსაც ნაცხროვა ჰქვია.

ქართული პოლიტიკური გარემოდან **ტურებისა და მგლების ამოსაღებად** ქართული „ნიურნბერგის პროცესის“ ჩატარება და ნაცხროვის სისტემური გასამართლება იყო საჭირო, რაც 2012 წელს ქართველი ხალხის მიერ ქვეყნის სათავეში მოყვანილმა და ხელისუფლებაში სამგზის დატოვებულმა „ქართულმა ოცნებამ“ ვერ შეძლო ან არ მოინდომა. ამიტომაც, ახლა ერთადერთი ლეგიტიმური საშუალებაა დარჩენილი — 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები, რომლითაც ქართველმა ხალხმა **ნაცხროველი მგლებისა და ტურების** მთელი პოპულაცია პოლიტიკური გარემოდან საბოლოოდ უნდა ამოიღოს.

თანაც, ამას არავითარი ტენდერი და **ტურა-მგლების** ველურ ბუნებაში ძებნა არ სჭირდება!

ეს საარჩევნო უბნებზე პირდაპირი დემოკრატიის წესით უნდა მოხდეს!

**ჯაბა ხუბუა**



# მო გელა ნდებით!

## მოგზაურობა ქართულ პოლიტიკაში გელა ზედელაშვილთან ერთად





# მაგრადა დგას!

დიახაც, **ეგ კანონი რუსულიაო!**

რათაო?

იმათაო... **რუსულია და მორჩაო...** ჩვენ ეგრე გვეჩვენება და ეგრეც არიო... წვეთიც არ გაუვა, არ მიგაღებინებთ, თავებს შეგაკლამთ და არ მიგაღებინებთო!

☺

მერე **ალიკომ** თავი მაიგიჟიანა, თავისი პეპლები თვითონვე დააფრთხო, ხოხბებიც ააფრინა და **მამუკა მდინარაძისკენ** გაიწია.

გამო გარეთო!

ჰო, გამოდიო!

**მამუკა** კარისკენ წავიდა. ეს გაიპარა, ჩიტკორებთან გაიტყლარწა და პატრიოტული გაითამაშა — მიკროფონიან ბალღებს მოუწოდა — **მეემზადეთ, წინ დიდი ცემები და ტყეპები გველოდებაო.**

☺

არადა, ნუ გავიწყდებათ, ეგ ორი კვირა უკრაინაში ომობდა და ლამის ნახევარი რუსეთი გაჟუჟა.

**ალიკომ** ლამის კრემლამდე ჩააღწია, მაგრამ გააჩერეს, ეხლა მთლად ზედმეტებშიც ნუღარ გადახვალო.

**ალიკო** გაბრაზდა, დაჰკრა ფეხი და საქართველოში დაბრუნდა.

☺

**ალიკომ ისევ უნდა იბრძოლოს, აღარ დასრულდა სამშობლოსთვის თავის განწირულობის ხანა, როდემდე და სადამდე?**

ეს „ქართული ოცნებაც“ აღარ ისვენებს — წაიღებს ამ გამჭვირვალობის კანონსა, წამაიღებს, წაიღებს, წამაიღებს, გეგონება, ხაშლამის მათლაფაა. **იმედია, ეხლა აღარ წაიღებს და ბოლომდე ჩადგმით იქნება!**




## მილიონი სამუშაო ადგილი

**200 ათასი მარცვალი წამოყარა, ხალხო, მაგიდაზე და იძახის — აჰა-ო! „ლელო“ 200 ათას სამუშაო ადგილს შექმნისო!**

წუწურაქი როა, ამაშიც ეტყობა, გემეეტანა მილიონი მარცვალი **„მოქალაქეთა კავშირის“ ლიდერებივით,** სულ რაღაც ერთი „მეშოკი“ იქნებოდა... მაგრამ არა... ესეც მაგათი ჯიშისაა და ჩვეულებას არ ღალატობს.

გაგრძელება მე-14 გვერდზე

## კვირგვინოსნები

**ბექა ლილუაშვილი**
*პარტია „საქართველოსთვის“ წევრი*



„ოცნებამ“, რომელიც ყოველდღე გვატყუებს, **თითქოს 60 პროცენტი რეიტინგი აქვს, სინამდვილეში, 35 პროცენტის იმედიც კი არა აქვს** — მიხედოს ხალხის გასაჭირს და არა — საკუთარი გასაჭირის კანონების ჭრაკერვით მოგვარებას.

„რეზონანსი“

**ნიკა მელია**
*პარტია „ახალის“ ერთ-ერთი ლიდერი*



**სააკაშვილი** კი არა, ხუთი სააკაშვილიც რომ იყოს, სადაც **მერაბიშვილ-კეზერაშვილია,** არასოდეს არავის არაფერი გამოუვა. **არ შეიძლება, არ გინდოდეს სხვისი ოლიგარქიული რეჟიმი და შენი გინდოდეს.** ერთი წამით წარმოიდგინეთ, ესენი რომ იყვნენ ხელისუფლებაში, რამით უკეთესები იქნებოდნენ? არა.

„TV პირველი“

**ნიკა გვარამია**
*პოლიტიკური პარტია „ახალის“ ერთ-ერთი ლიდერი*



**სატელევიზიო პარტიის** გაკეთება რომ მდომოდა, იმისთანა **სატელევიზიო პარტია** მქონდა, უკეთესი შეუძლებელია, რომ გააკეთო — **„მთავარ არხს“ ვგულისხმობ.**

„TV პირველი“

**ალექსანდრე რაქვიაშვილი**
*„გირჩის“ წევრი, პარლამენტარი*



**ადეიშვილია** საბოლოო ჯამში **ყველა იმ პრობლემის წყარო,** რომელიც ევროინტეგრაციაშიც კი გვიშლის ხელს.

„იმედინიუსი“

**ბაჩო ლოლაძე**
*„ახალი ერთობის“ წევრი*



**„ქართული ოცნება“ წარმოადგენს ჯგუფურ ელიტას...** ხალხი დაგროვებული ქულებით ყიდულობს პროდუქტს, იმ დროს, როდესაც ესენი **ჩარტერული რეისებით დასეირნობენ წინ და უკან.**

„ახალი თაობა“

# მოგელანდებით!



## მოგზაურობა ქართულ პოლიტიკაში გელა ზედელაშვილთან ერთად

დასაწყისი მე-13 გვერდზე



# აგრე ვიცის ანამ!



მარტო კანონები კი არა გაქვთ **რუსული, ხელისუფლებაც რუსული** გაქვთო! — დასჭყივლა პარლამენტში **აფმა ანამ** და პარლამენტის დერეფნიდან **რუსეთში** მცხოვრებ მშობლებს გადაურეკა. იმათაც უთხრეს — აეგრე, შვილო, აეგრე, დაჰკა დოლსა და გაწელე გარმონიო.

☺

მოკლედ, სუ **რუსულები** და კორუმპირებულები ხართო... ერთი წმინდანი მოევლინა ქვეყანას **ხაზარაძის** სახით და მაგასაც სჩაგრით, ანაკლიის პორტს არ აშენებინებთ, თქვენთვის გინდათ, ბიძინას უნდა აუშენოთო...

☺

სახლში დაბრუნებულმა სიქაგამძვრალმა **აფმა ანამ** ისევ გადაურეკა **რუსეთში** მცხოვრებ მშობლებს — **ჰა, აბა, როგორი იყო-ვო?**

**იმათ — ჰო, შვილო, მაგარი იყო, ჩვენც თითქმის აეგრე ვურტყამდით დოლსა და ვწელამდით გარმონს, ქუთაისის ავტოქარხანა რომ გაგვქონდა ჯართად თურქეთშიო!**

შუაში რომ **„პეტუხი“** ზის, მაგას წიგნი გამოუცია სათაურით — **„საქართველო სტალინის წინააღმდეგ“.**

ამას, კაცო, ამას... ამასწინებზე რომ ყვებოდა — **სადღაც ვიყავი, ტყავისქურთუკიანი კაცები ცეკვავდნენ, ერთი მოვიდა, ჯერ მეცეკვა და მერე „მეზასავა“, ბოლოს კი მიხმარაო** — თურმე, უცნობი მასალები მოუძიებია, დაუმუშავებია, გაუანალიზებია და ახლა ამტკიცებს, **სტალინი პედოფილი იყო-ვო.**

ჰოოო... პედოფილიო, ფსიქოლოგიურად იყო აშლილი, ბავშვებსა ჰყვარობდაო... ლოზუნგს რომ გაგვიკრავდნენ ხოლმე — **სტალინს უყვარდა ბავშვები** — ეგ სინამდვილეში პედოფილია ყოფილა. ამისი ლოგიკით, ლენინიც პედოფილი გამოდის... **არადა, რაც მამამისმა — გია ბუღაძემ** ლენინი ხატა და მოზაიკაშიც აწყო, რას იფიქრებდა, ეგეთი ჩათლახი თუ გამოდგებოდა?!






# „პეტუხებმა“ სტალინსაც შეუტიეს!

☺

**ისტორიკოსებში მოვიძიე აქამდე უცნობი ფაქტებიო** — და, იცით, ისტორიკოსი ვინ აღმოჩნდა? ჩვენგან მარჯვენა მხარეს რომ ზის, ბოზობით სახელგანთქმული **კანდელაკი.** ჰოოო... ეგ არი, ადრე გადაბმული წარბები ჰქონდა, ახლა ეპილაცია გაუკეთებია, წვერიც მოუშვია და პედოფილ ლენინს დამსგავსებია. ისტორიკოსი არა, შაშა, კოლა და თემურ ჭყონია, მაგას სულ ერთი ხელობა აქვს, იჯდა კომპიუტერთან და ევროპარლამენტარებს წერილებს უგზავნიდა — **არც ვიზალიბერალიზაცია მოგვცეთ, არც ასოცირების ხელშეკრულებაზე მოგვიწეროთ ხელი, არც კანდიდატის სტატუსს ვიმსახურებთო...** ახლაც წერს, ჩვეულებას არ აგდებს, ცოტა ნაწყენია ევროპარლამენტარებზე, რაც სთხოვა, არაფერი შეუსრულეს.

☺

ეს მესამე ვინ არი, არ ვიცი და არც მაინტერესებს, მაგასაც ბლომად მასალები ჰქონია სტალინის პედოფილობაზე და სულ **ბუღაძისთვის** გადაუცია. მოხმარებული **ბუღაძე** იძახის, მეც კი დავიბენი, ასეთ რამეს ნამდვილად არ ველოდიო.

☺



**საღოლ, იოსება პაპავ,**
საღოლ!
შენ მიწის ქვეშ უნდა
იწვე და ესენი კიდე
ტელევიზორში
ლაპარაკობდნენ და ე.წ.
წიგნებსა „სწერამდნენ“
სოროსის
დაფინანსებით?!

# მორეტაც მორეტიანდა!

გუშინ თუ გუშინწინ ხმა გავარდა — **სოროსის ფონდის ოფისში წუპაკები შეიკრიბნენ და იმსჯელეს, როგორ გამოიხსნან საქართველო ბიძინა ივანიშვილის მარწუხებიდან, ანუ რუსეთისაგან.** საქმე ეხება კანონს, რომელიც რუსული არ არის, მაგრამ მაინც რუსულია.

მსჯელობის შემდეგ, როცა წუპაკნი ეზოში გამოიშალნენ და კორესპონდენტები გარს შემოეხვივნენ, ამ**ბაურქველმა იმანომ,** რომლის სახელსაც, ძალიანაც რომ მოინდომო, ვერ დაიმახსოვრებ, ასეთი სიტყვები წარმოთქვა:

**„აქ ვარ იმიტომ, რომ ყველა გადაგარჩინოთ“!**

უი, რისგან უნდა გადაგვარჩინოთო? — იკითხა რამდენიმე გონიერმა კორესპონდენტმა.

პასუხი იყო მეტად ორიგინალური და თავგანწირული:

**„სიბინძურისგან, რუსეთიზაციისგან და ევროპაში ვერშესვლისგან“!**

☺

მე პირადად ისტორიულ წყაროებში არსად ამომიკითხავს, მაგალითად, წმინდა ნინოს ეთქვას — **მოვედი, აქ ვარ, რათა გადაგარჩინოთო.**

ამან კი თქვა და თან ტუჩები ისე ღონივრად გადაჩაჩა, ძნელია, დაეჭვდე. მხოლოდ ტუჩები? არა, მან ყბებიც „ბელარუსის“ ყოშივით მოიქნია!



მორეცა ბობოხიძე
თბილისი პრაიდის ბორდის წევრი

☺

ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, მხსნელად მოვლენილ **მორეტას,** რომელმაც ევროპაში ვერშესვლისგან უნდა გადაგვარჩინოს, თავები მიწამდე დავუკრათ, შემდეგ ტაშიც დავუკრათ და ძალზედ მორიდებით ვუთხრათ:

**წადით, თქვენი!!!**

## კვირგვინოსნები

**რატი იონათამიშვილი**
*პარლამენტარი*



„ქართული ოცნების“ მხარდაჭერა **ისტორიულ მაქსიმუმზეა,** ხოლო ოპოზიციის — **ისტორიულ მინიმუმზე!** მმართველ გუნდს მხარს ამომრჩეველთა 60 პროცენტი უჭერს, ხოლო ოპოზიციას ჯამში **17 პროცენტი** აქვს.

„ინტერპრესნიუსი“

**ლადო პაპავა**
*აკადემიკოსი*



**რუსეთ-უკრაინის ომი** როგორადაც უნდა დასრულდეს, **„შუა დერეფნის“** ამოქმედებას ხელს ვერაფერი შეუშლის. **ჩინეთის ჩართულობა** არის გარანტია, რომ **ანაკლიის პორტი დაცული იქნება რუსეთის ინტერვენციისგან.**

„კვირის პალიტრა“

**ლოლო გუგეშაშვილი**
*თადარიგის პოლკოვნიკი, „მხედრიონის“ ლიდერი*



მეომარ ქალს არ შეშვენის თავის ტრაგედიაში ჩაკეტვა — **ჩემს დროს ველოდები, ჯერ დამკვეთი უნდა ვიპოვო.** ჩემი შვილის მკვლელმა ზუსტად უნდა იცოდეს, რომ **მე ბუმბულის ჩამომყრელი ქალი არა ვარ.**

**მხედრიონელობის დამადასტურებელ მედალიონს მხედრიონელები დღესაც ვატარებთ.** მის ცალ მხარეზე წმინდა გიორგის გამოსახულება და წარწერაა: **„საქართველოს მხედრიონი“,** მეორე მხარეს კი — ჯვარი და სისხლის ჯგუფი, სახელი ან მეტსახელი. სამოქალაქო ომის დროს **ორივე დაპირისპირებულმა მხარემ დავანგრიეთ საქართველო,** სულ ცოტა, ერთი საუკუნით შევაჩერეთ ჩვენი ქვეყნის წინსვლა. მნიშვნელობა არა აქვს, ვინ დაიწყო, **ყველამ ძალიან შევცოდეთ უფლის წინაშე.**

„კვირის პალიტრა“

**გიორგი ბოტკოველი**
*„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი*



ხელისუფლება, რომელიც **ხალხის მსახურებისთვის** მოვიდა, გადაიქცა **საკუთარი თავის გამდიდრების** ხელისუფლებად.

„ინტერპრესნიუსი“

# გენერალისიმუსი

№20 (256) ★ 2024 წლის 8 აპრილი ★ გამოდის 2003 წლიდან


# ბერიას დაბადებიდან 125 წლისთავზე საქართველოს დაზვერვის სამსახურის უფროსად ბერაია დაინიშნა!





ბერიადან ბერაიამდე ★

*2024 წლის 5 აპრილს საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი კობახიძის წარდგენითა და ბრძანებით, საქართველოს დაზვერვის სამსახურის ხელმძღვანელად პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი ბერაია დაინიშნა.*

ბერაია სპეცსამსახურების კადრია... ვიდრე პარლამენტში მოხვდებოდა, მანამდე **სუს**-ის საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსი იყო. გარკვეული ხნის განმავლობაში **ირაკლი ბერაია** შინაგან საქმეთა სამინისტროშიც მუშაობდა რეფორმებისა და განვითარების დირექტორად.

**ვუსურვებთ ირაკლი ბერაიას, საქართველოს მტრები სათვალიდან ისე დაზვეროს, როგორც ჯაშუშებსა და მოღალატეებს ლავრენტი ბერია ევროპული პენსნედან ზვერავდა!**

მართალია, დაიღვარა უცოდველთა სისხლი და უზარმაზარი წითელი იმპერიის მშენებლობაშიც ბევრი უმძიმესი შეცდომა იქნა დაშვებული, მაგრამ სწორედ ბერიამ დაუბრუნა კინტოების, სომეხი სოვდაგრებისა და ჩარჩი-ვაჭრების საბურთაო მოედნად გადაქცეულ თბილისს საქართველოს ჭეშმარიტი დედაქალაქის სტატუსი, თორემ ცნობილი ფაქტია, რომ **1910 წლის აღწერის მონაცემებით, თბილისში მოსახლეობის მხოლოდ 10 პროცენტი იყო ქართველი.**

ბერიამ მოხაზა თანამედროვე თბილისის კონტურები, კალაპოტში მოაქცია მტკვარი. გაამწვანა დაააყვავა ქალაქი. ბერიას ინიციატივით, დააშრეს კოლხეთის ჭაობები, გააშენეს ციტრუსები და, რაც ყველაზე მთავარია, აღიკვეთა აფსუათა სეპარატიზმი. ლავრენტი ბერიას დროს აფსუები არა რუსული, არამედ ქართული ალფაბეტით წერდნენ.

**როცა საქმე საქმეზე მიდგა და კავკასიონი დაცემის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა, ლავრენტი ბერია 1942 წლის 18 აგვისტოს 18 კაცთან ერთად მოსკოვიდან თბილისში ჩამოფრინდა და თავისი ერთადერთი ვაჟიშვილიც თან წამოიყვანა. ეს იყო გენიოსი, რომლის მიერ შექმნილმა უძლიერესმა სპეცსამსახურმა, ფაქტობრივად, ომი მოიგო და ამერიკელებს ატომური ბომბი მოჰპარა!**

## ვუსურვებთ ირაკლი ბერაიას, ისეთი სპეცსამსახური შექმნას, რომ ეკა გიგაური, ნინია კაკაბაძე, ანა დოლიძე, გარიელ ნაკაიძე, ლიაკა ხოშტარია, ნიკუტა გვარამია, სალომე სამადაშვილი, ანა ნაცვლიშვილი, თინა ხიდაშელი, დავით უსუფაშვილი და დანარჩენი აგენტები ამერიკისა თუ თურქეთის სპეცსამსახურებიდან საქართველოს მტრობას ველარ ბედავდნენ

და ვერც იმ თანხების დამალვას ახერხებდნენ, რომლებსაც თავიანთი პატრონებისგან ქართველი ერის მოსაღორებლად და ქვეყანაში სიტუაციის ასარევად ღებულობენ.

**ირაკლი ბერაიას ლავრენტი ბერიასეულ მოთმინებას, მიზანსწრაფვას, პატრიოტიზმსა და გამბედაობასაც ვუსურვებთ!**

არადა, ბერია მართლაც ბევრს ითმენდა... **მუცელღმერთა და „დუქნის ლომი“ ქართველი „პატრიოტები“ თავიანთ ცოლებს რომ ვერ აკავებდნენ, დათვრებოდნენ და დღევანდელი ქიაჩელის ქუჩაზე ღამის 2 საათზე ბერიას თავისი სახლის წინ ხან დედას**


*გაგრძელება „გენერალისიმუსის“ მე-2 გვერდზე*


## ვუსურვებთ ირაკლი ბერაიას, საქართველოს მტრები სათვალიდან ისე დაზვეროს, როგორც ჯაშუშებსა და მოღალატეებს ლავრენტი ბერია ევროპული პენსნედან ზვერავდა!

# ბერიას დაბადებიდან 125 წლისთავზე საქართველოს დაზვერვის სამსახურის უფროსად ბერაია დაინიშნა!





## ბერიადან ბერაიამდე ★

### დასაწყისი „გენერალისიმუსის“ პირველ გვერდზე

**აგინებდნენ და ხანაც — ცოლ-შვილს...** ლავრენტი ასეთ შეურაცხყოფას დიდი ხნის განმავლობაში ითმენდა, მაგრამ, როცა ველარ მოითმინა და ქართულმა ხასიათმა თავისი ქნა, მერე ატყდა რია-რია და ერთმანეთის დასაბეზღებლად ორმეტრიანი დანოსების წერა.

**ბერიამ,** რომელიც საქართველოს ცეკას პირველი მდივნობის პარალელურად ამიერკავკასიის სამივე საბჭოთა რესპუბლიკის პირველი პირიც იყო და სომხეთიც და აზერბაიჯანიც ემორჩილებოდა, ამიერკავკასიის ხელისუფლება, ფაქტობრივად, სულ ქართველებით დააკომპლექტა და ჩვენი ავტორიტეტი ისევ იმ სიმაღლეზე ასწია, რაც მთელ კავკასიასა და მცირე აზიაში ქართველებს ისტორიულად ყოველთვის გვეჭირა.

**ვუსურვებთ ირაკლი ბერაიას, ის გაეკეთებინოს, რაც თავის დროზე ბერიამ გააკეთა, როცა სპეცსამსახურები და, მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, სწორედ დაზვერვის სამსახური ტროცკისტებისგან, გენეტიკური დივერსანტებისგან, მეხინკლეებისგან, რესტორატორებისგან და სასტუმროების მფლობელი ბიზნესმენ-ბოზნესმენებისგან გაწმინდა!**

ახსოვდეს **ირაკლი ბერაიას,** რომ სახელმწიფოს იდეალისტები და შეწირულები აშენებენ და არა ჩარჩი-ვაჭრები!

ჩვენი მოკრძალებული რჩევა დაზვერვის შეფისადმი ამ ეტაპზე მხოლოდ ეს არის — **კორუმპირებულები და ნარკომოვაჭრეები სასწრაფოდ უნდა გამოცხადდნენ სახელმწიფოს ნომერ პირველ მტრებად ისე, რომ მათ ფეხქვეშ მიწა იწვოდეს! გაირკვეს და გასაჯაროვდეს, ვისგან რა დავალებებს ღებულობენ გრანტიჭამიები და პარლამენტში მოკალათებული ღორისშვილი ტარიელ ნაკაიძე, რომელიც სამცხესა და აჭარაში ხელებს ბინძურად აფათურებს!**

გენიოსი იყო **დიდი სტალინი,** მაგრამ კოსმოპოლიტიც დიდი იყო. სიმართლე უნდა ითქვას:

**ლავრენტი ბერია გახლდათ ის კაცი, რომელიც სტალინისგან განსხვავებით, ქართველი ერის ინტერესებს ყოველთვის წინა პლანზე აყენებდა. ირაკლი ბერაიამ, რომელიც მაღალი ინტელექტის პატრონია, სწორედ ამ პრინციპით უნდა იმოქმედოს!**

სიმართლეა ისიც, რომ აფხაზეთში ერთ-ერთ ოჯახში სტუმრობისას, როცა საქართველოს ბედს განიხილავდნენ, **ბერიამ** მაგიდაზე მუშტი დაარტყა და უახლოესი გარემოცვის თანდასწრებით ამოიოხრა — **„ეჰ, ვერ შევაყვარე იოსებ ბესარიონოვიჩს საქართველო და რა ვქნა?!“**

1944 წლის სექტემბერ-ნოემბერში სწორედ საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრ **ლავრენტი ბერიას** ინიციატივით გაასახლეს შუა აზიაში ე.წ. თურქი-მესხები, იგივე თურქული დესანტი. სხვათაშორის, სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ თავიდან, ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის გარიჟრაჟზე, **ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა** ბერიას მიერ გადასახლებულებს „ქართველ პატრიოტებად“ მიიჩნევდნენ, რაც შეცდომა იყო. **ცოტა ხანში ზვიად გამსახურდია მიხვდა, რომ ბერიას მიერ გადასახლებულთა აბსოლუტურ უმრავლესობას ქართველობისა არაფერი ეცხოთ და სინამდვილეში იყვნენ ისტორიულ მესხეთში მცხოვრები ეთნიკური თურქები, რომლებსაც მეორე მსოფლიო ომის დროს ოკუპანტი თურქეთის მხარე ეჭირათ და მზად იყვნენ, საქართველო შუაზე გაეგლიჯათ!**

მოკლედ, ქვეყანას ბევრი პრობლემა და გამოწვევა აქვს და **ირაკლი ბერაიას** წარმატებებს ვუსურვებთ!

**ლავრენტი ბერიას მტრებმა არ აცალეს!**

**იმედია, ირაკლი ბერაია საქართველოს მტრებს არ აცლის!**

***დიტო ჩუბინიძე***

# ლავრენტი ბერიას მტრებმა არ აცალეს! იმედია, ირაკლი ბერაია საქართველოს მტრებს არ აცლის!

***სათაურში ნახსენები ქალაღდის გროვის შესაფასებლად ნაჯღაბნის ავტორს ტელეეკრანიდან მივმართე, მაგრამ ასაკისა და „წიგნში“ მოყვანილი უხამსი ფაქტების გამო სათქმელს სრულად ვერ ვამბობდი. ახლა კი ჩემს სამუშაო მაგიდას ვუზივარ და ამ არაკაცის ნაბოდვარის საპასუხოდ ვიწყებ მხოლოდ იმ პროვოკაციული გამონათქვამების გარჩევას, რომელთა დაწერაშიც პლანეტის ამაოხრებელმა ქვეყნებმა უზარმაზარი ფული გადაიხადეს ე.წ. „საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორიის“ მესვეურთა ხელით.***

ნაცვლად იმისა, რომ უახლესი წარსულის შოკისმომგვრელი ფაქტები შეახსენონ საზოგადოებას, ეს არამზადები, თავიანთი უახლესი ცოდვების დასაფარად, საუკუნის წინანდელი ამბების მოყოლით გვართობენ და მრუდე სარკეში გვახედებენ.

**მივყვეთ ფაქტებს.**

„წიგნის“ შესავალ ნაწილში წერია:

> ***„მისი*** *(გულისხმობს სტალინს — გრ. ო.)* ***პატიმრობების, უფრო კი — გადასახლებების, თანმდევი ამბები უმეტესად პედოფილიამდე ურთიერთობებით განისაზღვრება არასრულწლოვან ქალებთან (ამით ის უჩვეულოდ მოგვაგონებს ჰიტლერს, ვინც ასეთივე კავშირის გამო, თვითმკვლელობამდე მიიყვანს არასრულწლოვან ბიძაშვილს გელი რაუბალს).***
>
> ***... გაჩენილი და მიტოვებული შვილები, გაქცევები, ფულის გამოგზავნის დაჟინებული თხოვნები თანაპარტიელებისა თუ მკვდარი ცოლის ნათესავებისთვის, რომელთა უმეტესობას მომავალში დახვრეტს... არსებითად, ესღა იყო მისი ცხოვრება“.***



შენ — პირთაგან შხამგამომდინარე არაკაცო! სად, როდის, რომელ წიგნში ან რომელ საარქივო მასალებში წაიკითხე, რომ სტალინი პედოფილობასთან ან რამე

## გრიგოლ ონიანი

# ღია წერილი უზორნიის ბინადარ ლაშა ბუღაძეს მისი მორიგი ნაჯღაბნისათვის „საქართველო იოსებ სტალინის წინააღმდეგ“



ჭინთვები „საბარასტულ“ ფეხსალაგში ★

უკადრებელ საქციელთან იყოს დაკავშირებული? რით ამსგავსებ ჰიტლერს სტალინს? ან **არასრულწლოვანი ქალი,** საერთოდ, რა ცნებაა? **რატომ გინდა, სხვისი ბავშვები თქვენი ბავშვობის წესითა და მორალით გაიზარდონ?**

თქვენ რომ წერთ **„გაჩენილი და მიტოვებული შვილებიო“,** — თუ პროვოკატორი და მოსყიდული აგენტი არა ხარ, ხომ მშვენივრად იცი, რომ სტალინმა ახალგაზრდა რევოლუციონერი მეგობრის შვილი **არტიომი** შვილად მიიღო და

გაზარდა საკუთარი შვილივით, როგორც იაკობი და ვასილი! **ისიც წაიკითხე ნაშვილები არტიომის მოგონებებში, რომ, სტალინის ბრძანებით, პოლიტბიუროს ყველა წევრი ვალდებული (!) იყო, შვილად აეყვანა გარდაცვლილ რევოლუციონერ მეგობართა ობლები.** ეს ბავშვებზე ზრუნვის პირადი მაგალითი იყო საზოგადოებისათვის და არა შენეული უკანალის გასხვისების მაგალითით ბავშვთა აღზრდის მეთოდიკა.

რაც შეეხება სტალინის გაქცევებს გადასახლებიდან — მის გამძლეობასა და გამბედაობაზე დღესაც ლეგენდებს ჰყვებიან და ვერ წარმოუდგენიათ, როგორ გამოაღწია ნადირითა და ქვეწარმავლებით სავსე ტაიგას ამ ცოცხალმა ლეგენდამ.

ფულის დაჟინებულ მოთხოვნას თანაპარტიელებისა თუ ცოლის ნათესავების მიმართ, რასაც ამ ვაი-წიგნში ამოიკითხავთ, ასევე უკიდურესი პროვოკატოროების სუნი ასდის. აქვე განვმარტავ — **სტალინის პირველი მეუღლე რაჭიდან — სოფელ ბაჯიდან გახლდათ, სახელად — ეკატერინე. მას ჰყავდა და — საშიკო, რომლის მეუღლეც იყო მიშა მონასელიძე.** ადრე გარდაცვლილ ეკატერინეს საფლავს კუკიაზე საშიკო ქმართან ერთად უვლიდა, ვიდრე თავადაც ამ სასაფლაოზე არ აღმოჩნდნენ ერთმანეთის გვერდიგვერდ. 1935 წელს ცოლ-ქმარი ოჯახური პირობებიდან გამომდინარე, მოსკოვს გაემგზავრა სიძე-ქვისლთან შესახვედრად. არავინ უწყის, რა დრო დასჭირდათ, ვიდრე სტალინამდე მიაღწევდნენ, მაგრამ ბელადის პირად არქივში მუშაობისას წავაწყდი სტალინის ხელით დაწერილ წერილს ქვისლის — **მიშა მონასელიძის** სახელზე, რომელიც ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი იყო. როგორც ჩანს, სტალინს ცოლისდა — საშიკო კრემლის კაბინეტში მიუღია, ხოლო ქვისლისათვის წერილი მიუწერია:

***„მიშას გაუმარჯოს!***

*შენი წერილი მივიღე „სტიპენდიის“ შესახებ. მოველაპარაკები, ვისთანაც საჭიროა და შეგატყობინებ შედეგს. საშიკოს 5 ათასი მანეთი გამოვატანე და ჯერჯერობით გეყოფათ ორივეს ეს ფული. მეტი ფული არ მაქვს, თორემ გამოვატანდი. ეს ჩემი ჰონორარია за статьи и речь. მეტის მოგროვება ვერ მოხერხდა. მხოლოდ ერთ რამეს გთხოვ: ამ ფულის ამბავი და ჩემი დახმარება ჩვენ შორის დარჩეს (შენ, მე, საშიკო) და მოყვრებმა არავინ იცოდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ სხვა ნაცნობებმა და ნათესავებმა გაიგეს, დამესევიან და საქმეს გამიფუჭებენ.*

***ასე, ჩემო მიშა!***

***იცოცხლე ათასი წელი. წადი! მოკითხვა მეგობრებს.***

***შენი სოსო. 19.02.35 წ.***

***P.S. დედაჩემი თუ ნახო, სალამი გადაეცი“.***

*(სტალინის პირადი არქივი. ფ. 1, საქმე 5055).*

რაც შეეხება მეორე წერილს — ეს თავის მეგობარს **პეტრე კაპანაძეს** ეხება. როგორც წერილიდან ირკვევა, სტალინს პეტამ წერილობით აცნობა მეუღლის გარდაცვალება და, შესაბამისად, დახმარება სთხოვა, რასაც სტალინმა ბევრისთვის უკვე ცნობილი წერილით უპასუხა:

***„პეტას გაუმარჯოს!***

*ჩემი დეპეშა, როგორც ჩანს, მიგიღია. გიგზავნი ორი ათას მანეთს... მეტი არა მაქვს. ეს ფული ჩემი გონორარია. ჩვენ აქ გონორარს არ ვიღებთ, საზოგადოდ, — მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში ვიღებთ ხანდახან. შენი გაჭირვება ჩემთვის განსაკუთრებული შემთხვევაა და ამიტომ ავიღე გონორარი, რომ შენთვის გამოვიყენო. გარდა ამ ფულისა, შენ მოგცემენ სესხად 3 000 მანეთს. მე ვუთხარი ამის შესახებ ბერიას (ამიერკავკასიის საოლქო მდივანია), და იმან სიტყვა მომცა, უეჭველად აღვასრულებო. მაშ ასე: — 2 000 მიიღე, როგორც ჩემი მეგობრული ნობათი და 3000 მანეთი — როგორც სესხი.*

***იცოცხლე მრავალ ჟამიერ!***

***შენი სოსო***

***7.12.33 წ.***

სხვა რამ დოკუმენტი სტალინის წერილობითი დახმარებისა პირად არქივში არ იძებნება, თუ არ ჩავთვლით ბელადის ფულად საჩუქრებს **მარშალ ვასილევსკის** მამისათვის, რომელიც მღვდელი იყო. თავად ვასილევსკის მამასთან გაწყვეტილი ჰქონდა კავშირი, მაგრამ მოხუცს არ ივიწყებდა სტალინი და ყოველთვიურად უგზავნიდა გარკვეულ თანხას თავისი ჰონორარიდან. ამის დამადასტურებელი საბანკო ქვითრები ომის დასრულების შემდეგ სტალინმა პირადად გადასცა **მარშალ ვასილევსკის** და დასძინა, რომ ეს დახმარება სესხად არ გაუგზავნია. ასევე ფულადი საჩუქარი გადასცა სტალინმა **აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძეს,** რომელიც მის სამკურნალოდ გაგრაში ჩავიდა.

სტალინს ფულადი საჩუქრები მიცემული აქვს თავისი სიყრმის მეგობრებისთვისაც, მათ შორისაა **ცერაძე, გლურჯიძე** და **ტიტვინიძე.**

**მჯღაბნელი ბუღაძე** რომ ზერელედ იცნობს სტალინის ბიოგრაფიას, იქიდანაც ჩანს, რომ ჰგონია, თითქოს იგი 9-ჯერ ყოფილა გადასახლებული. არადა, სტალინი გადასახლებული იყო 6-ჯერ და, აქედან, 5-ჯერ გამოქცეული! ყველაზე ხანგრძლივ გადასახლებაში იგი ტურუხანსკში იყო (4 წელი), სადაც მოუსწრო 1917 წლის რევოლუციამ და შემდგომ გამოცხადებულმა ამნისტიამ.

მიუხედავად ხანგრძლივი პატიმრობისა და გადასახლებისა, სტალინმა მხოლოდ ერთხელ მისწერა პეტროგრადის ცენტრალურ კომიტეტში მომუშავე კოლეგა-რევოლუციონერს, რომ ავადაა, ხოლო ფული დაეხარჯა თბილი ფეხსაცმლისა და ქურთუკის შეძენაში. სტალინი აცნობებს მეგობარს, რომ სჭირდება განსაკუთრებული კვება და თუ პარტიულ სალაროში პოლიტპატიმრებისათვის რაიმე თანხაა დარჩენილი, 60 მანეთი გამოუგზავნოს.

თუ სალაროში ფული არ აღმოჩნდა, მიმართე **კარლო ჩხეიძეს** (ის ჩვენებური კაცია) და დამეხმარება — დასძენს სტალინი და პარალელურად წერილს უგზავნის თავისი რევოლუციონერი მეგობრის — **ალილუევის ოჯახის** ახლობელ ქალს, რათა 20 მანეთით დაეხმაროს.

ცნობისათვის: სტალინმა მიიღო პარტიის სალაროდან არა 60, არამედ 120 მანეთი და ცოტა მოგვიანებით ნაცნობი ქალისაგან კიდევ 20 მანეთი და ახალი საცვლები, რის გამოც სტალინმა საყვედური გამოთქვა — რატომ ძველი საცვლები არ გამომიგზავნე, რომლებიც ალილუევების ოჯახში მქონდა დატოვებულიო. სტალინმა წერილთან ერთად გაუგზავნა ქალის მიერ გამოგზავნილი 20 მანეთი მადლობით და აცნობა, რომ მიიღო პარტიის სალაროდან საჭირო თანხა.

უკანასკნელი წერილის ასლი ჩემს ტომეულებში ვერ ვიპოვე. დანარჩენ ორს მკითხველს ვაახლებ როგორც დედნების, ისე ნაბეჭდის სახით. ასე რომ, არამზადა ბუღაძევ, მიპასუხე, სად არის აქ ან მეგობრებისათვის, ან ქალებისათვის ფულის გამოძალვის ფაქტი და მოთხოვნა. თუ პირიქით — **„არავინ იცოდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ სხვა ნაცნობებმა და ნათესავებმა გაიგეს, დამესევიან“.**

უბორნიის ბინადარი ამაზე როდი ჩერდება და რაღაც გაუგებარს ბჟუტურებს:

*„სტალინი საქართველოსთან და მის ბედთან მჭიდროდაა გადაჯაჭვული და არამხოლოდ თავისი ბავშვობისა თუ სემინარიაში სწავლის, საქართველოში ფიზიკური ყოფნის პერიოდში. მის მიერ არჩეულ პოლიტიკურ გზას განსაზღვრავს კონფლიქტი. შეუთავსებლობა საქართველოს მოდერნიზაციისა და დემოკრატიზაციის დასავლურ იდეებთან, რასაც, ერთი მხრივ, ილია ჭავჭავაძე, მეორე მხრივ კი, ნოე ჟორდანია განასახიერებდნენ“.*

რატომ მიწა არ გაეპობა, როცა ეს ტვინმომპალი **ილია ჭავჭავაძეს** და **ნოე ჟორდანიას** ერთმანეთს ადარებს.

უფრო მეტიც: ეს ადამიანის მსგავსი გახრწნილი არსება ჩვენს ადათ-წესებზეც ასარსალებს ქაქით გაპოხილ ენას:

*„— საქართველო, როგორც მოდერნული, დემოკრატიული, თანასწორობაზე დაფუძნებული სახელმწიფო და საქართველო, როგორც ეთნოგრაფიული ერთეული, სადაც ტრადიციები სადღეგრძელოებზე, სმა-ჭამასა და ტაშფანდურზე დაიყვანება; სადაც სიამაყის საგანი და ეროვნული ნარატივი მითოლოგიზებული, ზღაპრული წარსულია და არა აქ და ახლა თანამედროვე, თავისუფალი, ადამიანის უფლებებზე და კანონის უზენაესობაზე დაფუძნებული, დასავლური საქართველოს შექმნის ამბიცია — სწორედ ისეთის, როგორიც 1918 წლის 26 მაისს დაფუძნდა“.*

როდესაც მთელი მსოფლიო იმას აღნიშნავს, რომ საქართველო ის ქვეყანაა, რომლის ხელშესახები თუ ინტელექტუალური კულტურა ათასწლეულებს მოიცავს, **ვინ მისცა ამ ტვინდამთხვეულს იმის უფლება, რომ კოსმოსში გაგზავნილ საგალობელს, ბექა და ბეშქენ ოპიზრების შექმნილ საოცრებებს, უკვდავ „ვეფხისტყაოსანს“, კლდეში ნაკვეთ ვარძიას, ვეფხისა და მოყმის ზოგადსაკაცობრიო ჰუმანიზმის ჰიმნს, დავითისა და თამარის საქართველოს ტალახი ესროლოს და ფურთხი მიაყოლოს?**

კიდევ ბევრი რამის თქმა მსურდა ამ არარაობისათვის და სხვა ცოცხალი მაგალითების მოყვანაც მინდოდა, მაგრამ ქალალდი როგორ შევაწუხო? **დაე, ეგდოს უნიჭო და გაურკვეველ ვითარებაში მოხმარებული ლაშა ბუღაძე თავის უბორნიაში თავისი წილი შეჭამანდის მოლოდინში!** ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ სტალინისათვის პედოფილობის დამბრალებელი წარმონაქმნისათვის ქაქის მორიგი პარტია არ დაიგვიანებს!

***გრიგოლ ონიანი***



# ლაშა ბუღაძე:
# უკადრებელი ვიკადრე თუ არა, ეს არ მახსოვს!

**კადრები ვიდეოდან, რომელშიც ლაშა ბუღაძე ყვება, თუ როგორ ეხვეოდა და კოცნიდა კისერში მთვრალი უცხო მამაკაცი ერთ „უცნაურ გარემოში“:**

**აღმოვჩნდი მართლაც ისეთ უცნაურ გარემოში... აი, არაფერს არ ვაჭარბებ, ცეკვავდნენ მარტო კაცები ტყავის ქურთუკებში. ცოტათი ნაწყენი კაცების ცეკვა იყო ესა და ძაან მთვრალების. გადამეკიდა ერთი კაცი, რომ, ბატონო ლაშა, ახლა მე და თქვენ ერთად უნდა ვიცეკვოთო და ჩამეკროო! აი, სულ ასე მკოცნიდა... ვიცეკვეთ, ნუ რა ვიცი, რაღაცა, ვალსი იყო თუ რაღაცა ასეთი და... მერე ეს ხალხი ვერ მოვიშორე და... აი, ჩემს თავს აბსოლუტურად აღარ ვგავდი, მე ვიყავი ვიღაცა სხვა ადამიანი... მაგრამ უკადრებელი ვიკადრე თუ არა, ეს არ მახსოვს!**



# გიორგი ბეჟირგანის პასუხები მკითხველს ★

## ი. სტალინი გამოუცნობ ვითარებაში გარდაიცვალა. ფაქტობრივად, თავისივე თანამოსაგრეებმა მოკლეს. ამაზე ბოლო ხანებში ბევრს წერენ. მაგრამ არცერთ პუბლიკაციაში მისი მკურნალი ექიმი დასახელებული არ არის. ჰყავდა თუ არა სტალინს პირადი ექიმი, როგორც კრემლის ხელმძღვანელობის ყველა დანარჩენ წევრს? ვფიქრობ, უნდა ჰყოლოდა. მაგრამ მისი სახელი რატომღაც ყველასათვის უცნობია.

მართლაც, სიტუაცია კომიკურად უცნაურია. არა მარტო კრემლის ხელმძღვანელობას, არამედ ყოველ რიგით საბჭოთა მოქალაქეს რაიონულ პოლიკლინიკაში მკურნალი ექიმი ჰყავდა და გახსნილი ჰქონდა ბარათი, სადაც მისი ყველა ავადმყოფობა ფიქსირდებოდა. მას ასე ერქვა — ავადმყოფობის ისტორია. **სტალინს** კრემლის პოლიკლინიკა ემსახურებოდა. კითხვა — ჰყავდა თუ არა მას საგანგებოდ მიმაგრებული მკურნალი ექიმი და ჰქონდა თუ არა **„ავადმყოფობის ისტორია“?** წესით, სხვაგვარად არც უნდა ყოფილიყო. მაგრამ ამავე დროს — **სტალინის** ავადმყოფობის ისტორია არასოდეს არავის აღმოუჩენია (მაშინ, როდესაც სხვა ხელმძღვანელთა ისტორიები დღემდე არქივში ინახება), ხოლო მკურნალი ექიმის სახელი საიდუმლოებით არის მოცული.

აქედან გამომდინარე, ზოგიერთი ისტორიკოსი თვლის, რომ **სტალინს კრემლის პოლიკლინიკის მთავარი თერაპევტი, აკადემიკოსი ვინოგრადოვი** მკურნალობდა; სხვების აზრით — მისი **დაცვის უფროსი ვლასიკი, პროფესიით ფერშალი;** მესამეთა ვერსიით — **სტალინი** საკუთარ თავს თვითონ მკურნალობდა. **„ექიმები არ უყვარდა,** — ამავე წისქვილზე ასხამს წყალს **სვეტლანა ალილუევა,** — **როგორც წესი, თავის თავს თვითონ წამლობდა, ნებისმიერი დაავადებისას იოდს წყალში ხსნიდა და სვამდა“.**

ამასთან, არქივში ავადმყოფობის ისტორიის არარსებობა სხვადასხვაგვარ სპეკულაციას წარმოშობს, მაგალითად, რომ **ბელადი** ლამის **„პარანოიკი“** იყო, რომ მას რამდენიმე **ინფარქტი და ინსულტი ჰქონდა გადატანილი** და ა. შ. ნათელია, ვის აძლევს ეს ხელს. აქაოდა, ბოლო, სიკვდილით დამთავრებული ინსულტი, მოულოდნელი არ ყოფილაო.

დასკვნა თავისთავად გამომდინარეობს — მკვლელებმა კვალის დასაფარავად არა მარტო თავად **სტალინის** არქივები, არამედ პოლიკლინიკის კარტოთეკაც **„გაწმინდეს“.**





Л. П. Берия



Н. С. Хрущев





Г. М. Маленков



Н. А. Булганин



მაგრამ აქ, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, იაღლიში მოუვიდათ. **სტალინის** არქივები და მისი **„ავადმყოფობის ისტორია“,** როგორც ჩანს, განადგურებულია. მაგრამ შემორჩენილია **ხრუშჩოვის** არქივები! და იქ **სტალინის** მკურნალი ექიმი დასახელებულია! მე-20 ყრილობაზე **ხრუშჩოვის „საიდუმლო მოხსენების“** პირველი ვარიანტის შავ მონახაზში ვკითხულობთ: **„სტალინმა შექმნა ექიმების საქმე, დააპატიმრეს უმსხვილესი და უპატიოსნესი ადამიანები, რომლებიც თავად სტალინის სამკურნალოდ იყვნენ დაშვებული. მაგალითად, სმირნოვი სტალინს მკურნალობდა, არადა, ცნობილია, რომ სტალინი თავისთან ერთეულებს უშვებდა... მან თქვა და ისინი დააპატიმრეს. მან თქვა — სმირნოვს ხელბორკილები დაადეთ, მავანს ხელბორკილები დაადეთ. ის თავად აძლევდა ინსტრუქციებს, თვითონ უთითებდა გამოძიების მეთოდებს — მეთოდები კი ერთადერთი იყო — ცემა...“**

აი, როგორ აჟღერდა ეს ადგილი მე-20 ყრილობაზე: **„სტალინმა შექმნა სამარცხვინო „ექიმთა საქმე“, მან მისცა მითითება, დაეპატიმრებინათ საბჭოთა მედიცინის მსხვილი სპეციალისტების ჯგუფი. ის თვითონ მიუთითებდა, როგორ წარემართათ გამოძიება, როგორ დაეკითხათ. ინსტრუქტაჟს უტარებდა გამომძიებლებს, მიუთითებდა გამოძიების მეთოდებს. მეთოდები კი ერთადერთი იყო — ცემა, ცემა და ცემა. მან თქვა: აკადემიკოს ვინოგრადოვს ხელბორკილები დაადეთ...“**

შავი და საბოლოო ტექსტის ამ ორი ციტატის შედარება, ბუნებრივია, იწვევს კითხვას — ვინ დააპატიმრეს **„მსხვილი სპეციალისტების“** ჯგუფთან ერთად — **სმირნოვი** თუ **ვინოგრადოვი?** ვის დაადეს ხელბორკილები — **სმირნოვს** თუ **ვინოგრადოვს?**

დავიწყოთ იმით, რომ ხელბორკილები არავისთვის დაუდიათ. ეს მხოლოდ **ნიკიტას** ავადმყოფ წარმოსახვაში მოხდა. აკადემიკოსი **ვინოგრადოვი** კი იმისთვის დააპატიმრეს, რომ დანაშაულებრივი დაუდევრობით გამოეპარა ცკ-ის მდივნების **შჩერბაკოვის** (1945 წ.) და **ჟდანოვის** (1948 წ.) ინფარქტი. რაც, სხვათაშორის, მხოლოდ გამოძიებისას კი არ აღიარა, არამედ გათავისუფლების შემდეგაც.

როგორც ხედავთ, **ხრუშჩოვი** თავდაპირველად **სტალინის** ნამდვილ მკურნალ ექიმს **სმირნოვს** ასახელებს, მაგრამ დაფიქრების შემდეგ მას აკადემიკოს **ვინოგრადოვის** უფრო ცნობილი გვარით ცვლის. რატომ — გასაგებია. **სმირნოვის** გვარი არავის არაფერს ეუბნება, აკადემიკოსს კი ყველა იცნობს.

საკითხავია — **დააპატიმრეს კი პოლიკლინიკის რიგითი ექიმი სმირნოვი?** დაპატიმრებულ ექიმთა სიაში (ის 1953 წლის 13 იანვარს „პრავდაში“ გამოქვეყნდა) **სმირნოვის** გვარი არ არის. ამ 18-კაციან სიაში სამი **ეგოროვია,** არის **მაიოროვი, პოპოვა, პრეობრაჟენსკი** (მხოლოდ რუსულ გვარებს ვასახელებთ, დაპატიმრებულთა უმრავლესობა ებრაელები იყვნენ), **სმირნოვი** კი არ ჩანს.

ამავე დროს იდუმალი **სმირნოვი** (რომელიც, როგორც მკურნალი ექიმი, უდავოდ იმყოფებოდა მომაკვდავი ბელადის სარეცელთან) უკვალოდ ქრება. რაშია საქმე? საქმე კი ის გახლავთ, რომ **სმირნოვი** მართლაც დააპატიმრეს, მაგრამ უკვე **სტალინის** სიკვდილის შემდეგ. და გამორიცხული არ არის, რომ **ხრუშჩოვის** ბრძანებით მას ხელბორკილი დაადეს. ასე გააქრო **ნიკიტამ „ავადმყოფობის ისტორიის“** განადგურების შემდეგ ცოცხალი მოწმეც. **სმირნოვის** შემდგომი ბედი უცნობია. სავარაუდოა, რომ ის ციხეში მოკლეს ან პატიმრობაში გარდაიცვალა. ვის რა ესაქმებოდა ვიღაც **სმირნოვთან,** როდესაც სახელმწიფოში ასეთი ვნებები ბობოქრობდა. იყო **სმირნოვი** და აღარ არის **სმირნოვი.** როგორც **გორკი** ამბობდა — **იქნებ არც არასოდეს ყოფილა.**

## სერგეი კიროვის მკვლელობა სმოლნის დერეფანში დღემდე შეიცავს იდუმალების ელემენტს. ვერსიები ერთმანეთს ეწინააღმდეგება – ეს ან პოლიტიკური მკვლელობა იყო, ან მკვლელობა ეჭვიანობის ნიადაგზე. თანაც ამ დანაშაულში თანამონაწილეობა იმდენ ადამიანს დასდეს ბრალად, უბრალოდ, გასაკვირია, როგორ არ მოკლეს კიროვი უფრო ადრე. ხუმრობა ხომ არ არის, კიროვის მკვლელობისთვის ზინოვიევი, კამენევი, ბუხარინი, იაგოდა და სხვები გაასამართლეს. ხრუშჩოვი კი თავის „მოხსენებაში“ გადაკვრით მიანიშნებდა, რომ კიროვი სტალინმა „დაუკვეთა“. სად არის სიმართლე და სად – ტყუილი?

რაც შეეხება **კიროვის** მკვლელობის **„დამკვეთ“ სტალინს,** ეს, რა თქმა უნდა, **ნიკიტას** ნაბოდვარია, რომელიც სასურველის სინამდვილედ გასაღებას ცდილობდა. რისთვის უნდა მოეკლა **სტალინს კიროვი?** უფრო საიმედო თანაშემწე და ერთგული თანამოსაგრე ბელადს არ ჰყოლია. განა სწორედ **სტალინი** არ ზრდიდა **კიროვს?** მან არ დააყენა ლენინგრადის სათავეში, პოლიტბიუროს შემადგენლობაში შეიყვანა და ერთდროულად ცკ-ის მდივნის პოსტი მისცა? მეტიც, ახალგაზრდა, ენერგიულ **კიროვს** ყველა პარტიული ხელმძღვანელის პოსტზე **სტალინის** შემცვლელად აღიარებდა. არსებობს ცნობა, რომ **სტალინს** ჯერ კიდევ 30-იანი წლების დასაწყისში ჰქონდა განზრახული, მთავრობის მეთაურად დარჩენილიყო, სკპ (ბ) ცკ-ის ხელმძღვანელობა კი **კიროვისთვის** გადაეცა. მაგრამ საოცარი კანონზომიერებაა — როგორც კი **ბელადი** მსგავს ვარიანტს დასახავდა (მოგვიანებით შჩერბაკოვთან, ჟდანოვთან, კუზნეცოვთან დაკავშირებით), მისი შერჩეული კანდიდატები მოულოდნელად იღუპებოდნენ, ვინ — დერეფანში გასროლილი ტყვიით, ვინ კი — ინფარქტით ან ინსულტით. შემთხვევითობაა? არა გვგონია. მსგავს საქმეებში შემთხვევითობები არ არსებობს.

ამ თვალსაზრისით **კიროვის** მკვლელობა უდავოდ შეიძლება პოლიტიკურად ჩაითვალოს. მისი ჩამოშორებით ბევრი სისხლხორცეულად იყო დაინტერესებული. **ზინოვიევისთვის,** რომელიც ლენინგრადს კიროვამდე ხელმძღვანელობდა, ეს პირადი შურისძიების აქტიც იყო. ხოლო სადაც **ზინოვიევი** იყო — იქ **კამენევსაც** ნახავდით, ისინი ყველა საქმეში ერთად იყვნენ. **ბუხარინი?** გამორიცხული არ არის, რომ ამ აქტით ის, წოდებაჩამორთმეული **„პარტიის რჩეული“,** კრემლის მწვერვალზე თავისი შერყეული პოზიციის გამაგრებას ცდილობდა. ხოლო შინაგან საქმეთა სახკომი **იაგოდა** ამ საქმეში **„გენერალური მენარდე“** იყო. შემთხვევითი როდია, რომ მომავალი მკვლელი **ლეონიდ ნიკოლაევი** სმოლნიში ორჯერ დააკავეს პორტფელში რევოლვერით და ორჯერვე გაუშვეს.



იოსებ სტალინი და სერგეი კიროვი

ახლა ორიოდე სიტყვა იმ ვერსიას შევაწიოთ, რომლის თანახმად **კიროვი** ეჭვიანობის ნიადაგზე მოკლეს — **შერშე ლა ფამ** — ეძებეთ ქალი. ქალის პოვნა ამ დანაშაულში ძნელი არ არის. ეს **მილდა დრაულე** გახლავთ, **ლეონიდ ნიკოლაევის** ცოლი, პარტიის საოლქო კომიტეტის ტექნიკური მუშაკი, რბილად რომ ვთქვათ, მსუბუქი ყოფაქცევის არსება. ის, რომ ლენინგრადის ლიდერი მშვენიერი სქესის დიდად მოყვარული იყო, მთელმა ქალაქმა იცოდა. კარგად იყო ცნობილი ისიც, რომ **კიროვი** ლამის აშკარად თანაცხოვრობდა ახალგაზრდა, ლამაზ **მილდა დრაულესთან.**

ამბობენ, ქმარი ასეთ ამბებს ყველაზე ბოლოს იგებსო. მაგრამ დაინტერესებულმა ადამიანებმა **„გაათვითცნობიერეს“** ცოლის მხურვალედ მოყვარული და ავადმყოფურად ეჭვიანი მეუღლე, ხელში რევოლვერი ჩაუდეს და მარჯვედ განახორციელეს ვერაგული დარტყმა. ამგვარად, **1934 წლის 1 დეკემბერს** საოლქო კომიტეტის დერეფანში მომხდარი **კიროვის** მკვლელობა, ჩვენი აზრით, შეიძლება ერთდროულად პოლიტიკურადაც ჩაითვალოს და — საყოფაცხოვრებოდაც.

2024 წლის 8 აპრილი. №20 (256)

სარედაქციო კოლეგია

**„ასავალ-დასავალის“ საგამომცემლო სახლი.** ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com** ელ-ფოსტა: **mail@asavali.com** ფეისბუქი: **www. facebook.com/Asavali.com** გამოდის **2003 წლის 7 აპრილიდან.**

# იგორ კვესელავა: ირაკლი ღარიბაშვილს პირველი პრეზიდენტის მკვლელობა არ გაახსნევინეს!



***ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი იგორ კვესელავა ზვიად გამსახურდიას მოღვაწეობას აფასებს და აცხადებს, რომ, თუ ზუგდიდს მხედველობაში არ მივიღებთ, საქართველოს სხვა ქალაქებში ზვიად გამსახურდიას ძეგლი არ დგას, სამაგიეროდ, დგას საქართველოს დამაქცევრების, მოღალატეებისა და ვაი-ფილოსოფოსების ძეგლები, რაც სამარცხვინოა:***

— თუ ქართველმა ერმა 300 წლის შემდეგ გაიხსენა დავით აღმაშენებელი და ილია ჭავჭავაძესაც დაახლოებით იგივე ბედი ერგო, ზუსტად ასე, რაც წლები გავა, ზვიად გამსახურდიას სახელსაც დიდება და პატივისცემა მოემატება. ჩვენ ერთხელ ამის შესახებ ვთქვით და კიდევ ვიმეორებ: ზვიად გამსახურდიას აუსრულდა 1957 წლის ივნისში **კონსტანტინე გამსახურდიას** მიერ ერთ-ერთ კერძო წერილში დაწერილი წინასწარმეტყველება — **„ზვიადი უშიშარია, ისეთი უშიშარი, რომ რუსებისაც არ ეშინია. არადა, მათზე საშიში არავინაა. ზვიადი ბევრ რამეში აჯობებს კომუნისტებს და დაამარცხებს კიდევაც მათ, მაგრამ ბოლოს მოკლავენ!“** ამას წერს ის კონსტანტინე გამსახურდია, რომელიც კომუნისტებმა სამჯერ დააპატიმრეს — 1922, 1924 და 1936 წლებში. 1938 წელს — ჯერ **ნიკოლაი ეჟოვს,** ხოლო 1948 წელს **სტალინს** სთხოვეს **კონსტანტინე გამსახურდიას** დაპატიმრებაზე ნებართვა, მაგრამ ის გადარჩა.

1954 წელს საქართველოში უშიშროების სამსახურის უფროსად სულ ახლად მოვლინებული **ალექსი ინაური** მოსკოვსატყობინებდა, რომ კონსტანტინე გამსახურდია „ანტისაბჭოთა ორგანიზაციების ერთ-ერთი ხელმძღვანელთაგანი იყო“ და მის დაპატიმრებას ითხოვდა. უფრო მეტიც, **კონსტანტინე გამსახურდიას „გერმანიის აგენტის“ ბრალდება მხოლოდ 1958 წელს მოეხსნა.**

ძალიან საინტერესოა 2002 წელს ფრანკფურტში ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის ეგიდით გამართული კონფერენცია, რომელზეც სიტყვით გამოვიდა გერმანიის სექციის მეთაური, ცნობილი უფლებადამცველი **ვანდა ვანზიდლერი.** მან დეტალურად ისაუბრა შევარდნაძისა და მისი რეჟიმის მიერ პრეზიდენტ **ზვიად გამსახურდიასა** და ეროვნული ხელისუფლების დამხობის შესახებ, ქართველი პატრიოტების დევნაზე, მკვლელობებზე. საბოლოოდ ზვიად გამსახურდიას მოღვაწეობას მან ასეთი შეფასება მისცა:

*„ხალხებს ასწლეულებში ერთხელ ეძლევათ თავისუფლების მოპოვების შესაძლებლობა. ქართველებს ღმერთმა თავისუფლების ჩირაღდანი გამოუგზავნა ზვიად გამსახურდიას სახით, მაგრამ ქართველებმა სული შეუბერეს და ჩააქრეს ეს ჩირაღდანი!“*

1994 წლის 24 თებერვალს გროზნოში გამართულ სამგლოვიარო მიტინგზე **ჯოჰარ დუდაევმა** ზვიად გამსახურდიას **„კავკასიის შვილი“** უწოდა, რომლის დაღუპვაც „მთელი ჰუმანური კაცობრიობისათვის ტრაგედიას“ შეადარა, ხოლო მისმა მეუღლემ, ქალბატონმა **ალა დუდაევამ** თავის წიგნში დაწერა, რომ

*„ზვიადი იყო ფრიად განსწავლული პიროვნება და არსებობდა რაღაც იდუმალი და ამოუხსნელი მის თითოეულ მოძრაობაში, მის სევდიან ღიმილსა და ნაღვლიან მზერაში. მის არსებობაში იგრძნობოდა რაღაც არაამქვეყნიური. ჩვენ ცოდვილ მიწას და თავის ერს უსიტყვოდ, მამაცურად, ზვარაკად ეწირებოდა ზვიადი!“*

ცნობილმა რუსმა უფლებადამცველმა **ვალერია ნოვოდვორსკაიამ** იმ სამგლოვიარო მიტინგზე ასეთი რამ თქვა:

*„ჩვენ დაგვტოვა ღირსეულმა ათოსმა, ერთ-ერთმა ჩვენი დროის უკანასკნელ მუშკეტერთაგან!“*

ყველაზე უფრო საინტერესოდ მაინც ჩეჩნეთის პრეზიდენტის **ასლან მასხადოვის** მიერ 1996 წელს გაკეთებული განცხადება მიმაჩნია, რომელიც მან ომის შემდეგ საქართველოში, ხევსურეთში, სოფელ ხახაბოში, ყოფნისას ზვიად გამსახურდიას შესახებ თქვა:

*„მე ვამაყობ, რომ მისი საფლავი გროზნოშია. ნანგრევებქვეშ მოყოლილი ზვიად გამსახურდია გარდაცვლილიც კი გროზნოს იცავდა და მას ისევე მოიგონებს ჩეჩენი ხალხი, როგორც გროზნოში დაცემულ ნებისმიერ ჩეჩენ მებრძოლს!“*

პიროვნების, ლიდერისა და პოლიტიკოსის უფრო მეტად აღიარება მე არ ვიცი.

**— სამწუხაროდ, ზვიად გამსახურდია დღემდე სათანადოდ არ არის შეფასებული და დაფასებული საქართველოში!**

— საქართველოში, კერძოდ, ზუგდიდში, **ზვიად გამსახურდიას ერთადერთი ძეგლი** დგას, რომელიც წლების წინათ **ალექსანდრე ჭაჭიამ და ჯუმბერ პატიაშვილმა** გახსნეს. საქართველოს სხვა ქალაქებში ზვიად გამსახურდიას ძეგლი არ დგას, სამაგიეროდ, დგას საქართველოს დამაქცევრების, მოღალატეებისა და ვაი-ფილოსოფოსების ძეგლები, რაც სამარცხვინოა!

გროზნოდან საქართველოში ზვიად გამსახურდიას ნეშტის გადმოსვენების საკითხი შევარდნაძის დროს პირველად **ასლან აბაშიძემ** გააჟღერა, რაც მას არ უნდა დავუკარგოთ. უფრო მეტიც, 1999 წლის 31 მარტს საქართველოში პირველად სწორედ ბათუმის ყველაზე დიდ მოედანს მიენიჭა ზვიად გამსახურდიას სახელი.

**ყოფილი პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი გარკვეულ სიმპათიებს ამჟღავნებდა და ამჟღავნებს ზვიად გამსახურდიას პერსონის მიმართ. სწორედ მისი პრემიერ-მინისტრობის დროს გადაკვალიფიცირდა ზვიად გამსახურდიას „თვითმკვლელობის საქმე“ მკვლელობად, მაგრამ ირაკლი ღარიბაშვილს პირველი პრეზიდენტის მკვლელობა არ გაახსნევინეს!** ეს სწორედ იმ გავლენიანი ძალების კისერზეა, რომლებიც შევარდნაძესთან და მის მაშინდელ პატრონებთან, საქართველოს დამაქცევრებთან არიან დაკავშირებული.

**ირაკლი ღარიბაშვილმა,** ფაქტობრივად, სწორად შეაფასა შევარდნაძისა და მთელი მისი ხროვის საქმიანობა, როცა განაცხადა — **„არ დაბრუნდება ის დრო და რეჟიმი, რომელმაც სამეგრელო გაამწარა!“** ზვიად გამსახურდიას მტრები ზვიადისადმი ღიად მტრობას ვერ ბედავენ, მაგრამ საქმით მკვდარ ზვიადსაც დაუნდობლად ებრძვიან. ამ ბრძოლამ განსაკუთრებით სამარცხვინო ხასიათი მიიღო **გიორგი კვირიკაშვილის** პრემიერ-მინისტრობის დროს, რომელიც თავისი პოლიტიკური კარიერის გარიჟრაჟზე შევარდნაძესთან და „მოქალაქეთა კავშირთან“ იყო დაკავშირებული. საკრებულომ სწორედ გიორგი კვირიკაშვილის დროს მიიღო სამარცხვინო გადაწყვეტილება და დაბლოკა თბილისის საერთაშორისო აეროპორტისთვის ზვიად გამსახურდიას სახელის მინიჭება!

**— მაინც ვინ დაბლოკა ეს პროცესი?**

— თბილისის საერთაშორისო აეროპორტს ზვიად გამსახურდიას სახელი არ მიანიჭეს


პრემიერის სიტყვა

„პარლამენტი თბილისში უნდა დაბრუნდეს!“

ექსკლუზიური ინტერვიუ საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილთან

„ნაზგასმით ვამბობ, რომ ფინანსთა სამინისტრო, ეკონომიკის სამინისტრო და ეროვნული ბანკი ურთიერთშეთანხმებულად უნდა მუშაობდნენ! მათ შორის კოორდინაციის ძალიან მაღალი დონის არსებობა გარდაუვლად აუცილებელია!“

„ქვეყანაში სამართლიანობის დამკვიდრება ჩვენი ხელისუფლების ერთ-ერთი მძიმე გამოწვევაა!“

ირაკლი ღარიბაშვილი:

მე მინდა, მივესალმო „ასავალ-დასავალის“ წამოწყებას საქართველოს პირველი პრეზიდენტის გარდაცვალების გამოძიებასთან დაკავშირებით და მხარდაჭერა აღვითქვათ ამ საქმეში!

დამოუკიდებელი და ზეპარტიული გაზეთი

ასავალ-დასავალი

WWW.ASAVALI.GE

2015 წლის 29 ივნისი - 5 ივლისი

N26 (1078)

გაგრძელება მე-7 გვერდზე

„თუ ქვეყანაში სამართლიანობის დამკვიდრება გვინდა, აუცილებლად უნდა დავადგინოთ, როგორ და რა ვითარებაში მოკვდა დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტი!“

## „ზვიადის დამხობით მოხდა ეკლესიის პოლიტიზება და ეკლესია დღემდე ამ მდგომარეობაშია!“

გაგრძელება მე-20 გვერდზე

## კვირგვინოსნები

**ბადრი მაისურაძე**
*ოპერისა და ბალეტის თეატრის დირექტორი*



ბარსელონაში დადგმულ „ბალ-მასკარადში“ იყო ისეთი **ალვირახსნილი სცენა,** რომ მაყურებელს სპექტაკლის დასასრულს თუ რამე ჰქონდა ხელში, დამდგმელ ჯგუფს ესროდა... **ალვირახსნილ სცენებს** ოპერაში შუაგულ ევროპაშიც აპროტესტებენ. სხვათაშორის, ასეთი ბევრი წინადადება გვქონია, მაგრამ **მე მორალი არ მომცემს ამის უფლებას, უპირველესად, ჩვენს მაყურებელს ვცემ პატივს.**

„კვირის პალიტრა“

**ლევან ბაქრაძე**
*გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმის ხელმძღვანელი*



არავინ იმჩნევს ქალაქის ცენტრში, **ჭანტურიასა და თაბუკაშვილის ქუჩების კვეთაზე,** ოდესღაც სასტუმრო „თორი“ რომ იდგა, იმ ადგილას **24-სართულიანი სასტუმრო შენდება.** ლიტერატურის მუზეუმი, რომელიც ისედაც კატასტროფულ მდგომარეობაშია, ალბათ ჩამოინგრევა.

„ახალი თაობა“

**გიორგი ნაზღაიძე**
*„პრაიმ ჰაუსის“ ყოფილი წამყვანი*



პარიზში ვარ და საპირფარეშოში ყოფნისას მომივიდა ესემესი, რომ **„პრაიმ ჰაუსის“ წამყვანი აღარ ვარ.** როცა გარკვევა დავაპირე, მითხრეს, რომ **უფრო მაღლიდან ჩამხსნეს.** წამყვანი იქნება მხოლოდ **მარიამ სანოზო.**

„ახალი თაობა“

**ზაალ სულაკაური**
*მხატვარი*



ამ ერთმა პატარა გამარჯვებამ რა გააკეთა და **ევროპის ჩემპიონი რომ გავხდეთ,** რას გავაკეთებთ, წარმომიდგენია. უნდა ვაჩვენოთ მსოფლიოს, რომ ჩვენ **საბჭოთა წარსულის პროვინცია კი არა ვართ, არამედ ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო ნაწილი.**

„კვირის პალიტრა“

*დასაწყისი მე-19 გვერდზე*



## იგორ კვესელავა:

# ზვიადის მიზანი ნატო კი არა, დიდი საქართველო გახლდათ!

იმათ, ვინც ზვიად გამსახურდიას მკვლელობის საქმე პროკურატურის თაროზე შემოდო! სიმბოლურია საქართველოს ეროვნული ხელისუფლების საგარეო საქმეთა მინისტრის **გოგი ხოშტარიას** აღიარება:

*„პრეზიდენტთან ჩემი ურთიერთობა ისეთი სფეროა, მეც მაქვს ჩადენილი შეცდომები და, თუ გნებავთ, დანაშაული!“*

**ლანა ღოღობერიძემ** ძნელად, მაგრამ მაინც თქვა:

*„ერის მეხსიერება ძნელად თუ მოინელებს, რაც ჩვენ გავაკეთეთ!“*

სახელმწიფო გადატრიალებაში მონაწილეობა მოგვიანებით მოინანიეს: **ოთარ მელვინეთუხუცესმა, გურამ გოგბაიძემ, თამრიკო ჩხეიძემ, ბელა ჩორგოლაშვილმა, ლუიზა შაქიაშვილმა, რეზო ესაძემ, დიმა ჯაიანმა...**

**— ზვიად გამსახურდია რომ არ დაემხოთ, დაკარგავდა თუ არა საქართველო აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს?**

— ამას გამოვრიცხავ! დღეს შევარდნაძის თავგადაკლული მომხრენიც ვერ მალავენ იმ ფაქტს, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა და აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაკარგვა შედეგია იმ დიდი ეროვნული ტრაგედიისა, რაც საქართველოს თავისი პირველი პრეზიდენტისა და ეროვნული ხელისუფლების დამხობით დაატყდა თავს. ეს რომ არ მომხდარიყო, არც აფხაზეთის ომი იქნებოდა და არც 2008 წლის 26 აგვისტო, როცა რუსეთმა აფხაზეთისა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობა აღიარა.

**შევთანხმდეთ, რომ ზვიად გამსახურდია, უპირველეს ყოვლისა, გადაგვარებულმა, უჯიშჯილაგო ქართველებმა დაამხეს და რომ არა ედუარდ შევარდნაძე და მისი გავლენები და კავშირები, ეს არავითარ შემთხვევაში არ მოხდებოდა!** გადაგვარებულმა ქართველებმა ზვიად გამსახურდიას არ დააცალეს, ბოლომდე მოეგვარებინა ქართულ-აფხაზური პრობლემა.

ზვიად გამსახურდიას დამხობისა და ქვეყნიდან განდევნის შემდეგ ჯავახეთში განსაკუთრებით გაძლიერდა **სომხური სეპარატიზმი,** ხოლო აჭარაში გაიზარდა და წარმოუდგენელ მასშტაბებს მიაღწია **თურქულმა გავლენამ. დღეს აჭარა, ფაქტობრივად, ოკუპირებულია თურქეთის მიერ, რადგან უკლებლივ ყველა კარგი სასტუმრო, რესტორანი, შემოსავლიანი ბიზნესი და საუკეთესო მიწები სწორედ თურქი საქმოსნებისა და ბიზნესმენების ხელშია.**

ზვიად გამსახურდიას შემდეგ ქართული პასპორტიდან და პიროვნების დამადასტურებელი დოკუმენტებიდან ეროვნებისა და მამის სახელის აღმნიშვნელი რეკვიზიტები ამოიღეს, ქვეყანაში გაძლიერდა და პოზიციები გაიმყარა ქართველთათვის უცხო და აქამდე სამარცხვინო ლგბტ იდეოლოგიამ. ყველაზე მთავარი — **ზვიადის დამხობით მოხდა ეკლესიის პოლიტიზება და ეკლესია დღემდე ამ მდგომარეობაშია!** საქართველოში სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკებში ქვეყნის შეჩურთვა პოლიტიკურ პარტიათა და პოლიტიკოსთა თვითმიზანი გახდა. ზვიად გამსახურდია ამას არ დაუშვებდა! ზვიადი ნატოს სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკში საქართველოს გაწევრიანების დაუცხრომელ და სარისკო სურვილს დიდი სიფრთხილით ეკიდებოდა, რადგან ის საქართველოს მომავალზე ფიქრობდა.

**— როგორ ფიქრობთ, ზვიად გამსახურდიას რომ დასცლოდა, საქართველოს ნატოსკენ წაიყვანდა?**

— შესაძლოა, ბევრმა არ იცის, რომ 1991 წლის დეკემბრის მიწურულს, როცა თბილისში სახელმწიფო გადატრიალების დაწყებას დღეები და საათები აკლდა, ზვიად გამსახურდიამ პრემიერ-მინისტრი **ბესარიონ გუგუშვილი** ევროპარლამენტსა და ნატოს შტაბბინაში გაგზავნა. გუგუშვილი შეხვდა ნატოს გენერალურ მდივანს **მანფრედ ვერნერს,** რომელმაც საქართველოს პრემიერ-მინისტრი დიდი პატივით მიიღო და განუცხადა:

*„თქვენ პირველი ადამიანი ხართ საბჭოთა კონტროლის ქვეშ მყოფი ტერიტორიებიდან, რომელსაც ნდობა და პატივი გხვდათ, ნატოს შტაბბინის ზღურბლს აქეთ გადმოგებიჯებინათ ფეხი. ეს პატივი არ ღირსებია არც გორბაჩოვს და არც თქვენს თანამემამულე შევარდნაძეს. ეს კი ნიშანია იმისა, რომ ნატოს ხელმძღვანელობა საქართველოს კეთილგანწყობით შეჰყურებს და იმედოვნებს, რომ საქართველოსა და ნატოს კავშირები მეგობრული, მტკიცე და მრავალმხრივი გახდება!“*

თბილისში გართულებული პოლიტიკური სიტუაციისა და, ფაქტობრივად, სახელმწიფო გადატრიალების დაწყების გამო, **ბესარიონ გუგუშვილი** იძულებული გახდა, ნატოს შტაბბინასა და ევროპარლამენტში ვიზიტი შეეწყვიტა და სასწრაფოდ საქართველოში დაბრუნებულიყო! დარწმუნებული ვარ, ზვიად გამსახურდია რომელიმე სამხედრო ბლოკში და, მათ შორის, ნატოში საქართველოს გაწევრიანებას მოერიდებოდა. ზვიად გამსახურდიას მიზანი ნატო კი არა, დიდი საქართველო გახლდათ!

შესაძლოა, ბევრისთვის ისიც უცნობია, რომ წმინდა სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობა დაკავშირებულია ზვიად გამსახურდიას სახელთან. **სწორედ ზვიად გამსახურდიამ და პატრიარქმა ჩაარჭვეს ჯოხი მიწაში იმ ადგილზე, სადაც დღეს ტაძარი დგას.** ზვიადმა თქვა — ტაძარი აქ უნდა აშენდესო! სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ მანამდე ამ საკითხზე **ჯუმბერ პატიაშვილსა და ნოდარ ჭითანავასაც** ჰქონდათ ნაფიქრი. იმავე ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის თემაც ზვიად გამსახურდიას მმართველობის დროს გააქტიურდა.

ზვიადი საგეგმო კომიტეტის მაშინდელ თავმჯდომარეს **ვარძელაშვილს** ავალებდა, კარგად შეესწავლა ეს საკითხი. მომდევნო ხელისუფლებებისგან განსხვავებით, ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობაში ზვიად გამსახურდია უფრო მეტ ეკონომიკურ სარგებელს ხედავდა, ვიდრე პოლიტიკურს. ზვიადის გათვლით, ამ ნავთობსადენის მშენებლობით საქართველოს მხოლოდ დერეფნის ფუნქცია კი არ უნდა შეეძინა, არამედ უდიდესი მოგება ენახა და ქვეყნის ეკონომიკა აეყვავებინა. შევარდნაძის დროს ამ ნავთობსადენს უფრო პოლიტიკური დატვირთვა მიენიჭა, ხოლო ეკონომიკური ბენეფიტები, ძირითადად, ედუარდის ოჯახისა და უახლოესი გარემოცვის ჯიბეში წავიდა. **დღეს ვინ აკონტროლებს ამ ფულს, არ ვიცი.**



*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***



*დასაწყისი იხილეთ „ასავალ-დასავალი“ №14,15*



**„დასავლეთს საქართველოში სწორედ ასეთი საზოგადოება სჭირდება, რომელსაც სიმართლის ტყუილისგან გარჩევა გაუჭირდება!“**

## ირაკლი ზაქარეიშვილი:

# ქართულმა სახელმწიფომ დასავლეთის გლობალისტური უღელი უნდა ჩამოიცილოს!

***„ასავალ-დასავალის“ წინა ნომრებში დაბეჭდილმა მასალებმა, რომლებიც ამერიკიდან საქართველოსთვის თავს მოხვეულ უსამართლო კანონმდებლობას ეხებოდა — ფართო საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია. მკითხველს ყველაზე მეტად ცილისწამების მექანიზმი და მისგან თავის დაღწევის გზები აინტერესებს, რის გამოც ვაგრძელებთ ინტერვიუს ადვოკატთან და უფლებადამცველთან ირაკლი ზაქარეიშვილთან:***

— ქართველის ხასიათისთვის შეუსაბამო უზნეობას — ამჟამად უკვე **კანონით განმტკიცებულ ცილისწამების მექანიზმს, რომელიც საქართველოს თავს ამერიკამ მოახვია, მე „ელისტრაკოს სინდრომი“ ვუწოდე.**

ეს სინდრომი სათავეს იღებს სააკაშვილის რეჟიმის ძალაუფლებაში მოსვლის დღიდან, როცა მან უნაკლოდ შეასრულა ამერიკის უშუალო დირექტივა და ცილისწამებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა გააუქმა.

**ცილისწამება** — ეს გახლავთ შეგნებულად მცდარი, ანდა სახელის გამტეხი ინფორმაციის გავრცელება, რომელიც ლახავს სხვა პირის პატივსა და ღირსებას, ძირს უთხრის მის რეპუტაციას. ასეთ განმარტებას აღიარებს საერთაშორისო სამართალი და ეს ცნება, შესაბამისად, ასახულია ყველა განვითარებული და დემოკრატიული ქვეყნის კანონმდებლობაში. ცილისწამებას თავისი გრადაციები გააჩნია. დანაშაულის ერთი მოცემულობაა ჭორისა და მონაჩმახის გავრცელება, რომელსაც სინამდვილესთან კავშირი არ გააჩნია; მაგრამ არსებობს ცილისწამების უფრო მძიმე ფორმა, რომელიც საჯაროდ — ტელევიზიის, პრესის, ინტერნეტის საშუალებით ვრცელდება. უცხო ქვეყნების კანონმდებლობა განიხილავს ცილისწამების სხვადასხვა ვარიანტს. მაგალითად, როდესაც ვრცელდება ინფორმაცია, რომ კონკრეტული ადამიანი დაავადებულია რაიმე მძიმე სენით, ვთქვათ — შიდსით; ცილისწამებაა კონკრეტული პირის სექსუალურ დანაშაულში ან რაიმე განსაკუთრებით მძიმე დანაშაულში ცრუ ბრალდება. უცხოეთში არსებობს ასეთი ცნება — **დიფამაცია,** რაც პირის წარსულ ან მიმდინარე საქმიანობის კონკრეტულ დასაძრახის ფაქტებზე მითითებას ნიშნავს. დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ მის მიერ გავრცელებული ცნობა სახელს უტეხს სხვა პირს და სურს მისი ღირსების დამცირება და გათვალისწინებული აქვს ამ ქმედებით გამოწვეული საშიში შედეგების დადგომის შესაძლებლობა.

**— ცილისწამება და დიფამაცია ერთი და იგივე შინაარსის ცნებებია?**

— **დიფამაციაში** ბანალური ჭორის დაყრა იგულისხმება, რომელშიც შესაძლოა, ცილისწამებისგან განსხვავებით, სიმართლის გარკვეული დოზაც ერიოს. ამასთან, **დიფამაცია** არის დამალული და ვიღაცისთვის სასირცხვილო ფაქტების გახმაურება მხოლოდ მედიაში, მაშინ, როდესაც **ცილისწამება** შეიძლება განხორციელდეს როგორც მედიის, ასევე ვერბალური საშუალებით — სიტყვებით ანდა სხვა წერილობითი ფორმით. **დიფამაციის** შემთხვევაში დანაშაული მდგომარეობს ვიღაცისთვის სასირცხვილო ფაქტების გამომზეურებაში, განურჩევლად იმისა, შეესაბამება თუ არა ის სიმართლეს. **ცილისწამება** კი ყოველთვის განიხილება როგორც გამონაგონის, ცრუ ამბების განზრახ გავრცელების მცდელობა.

**— ცილისწამება და დიფამაცია სისხლის სამართლის დანაშაულია?**

— დიახ, სისხლის სამართლის დანაშაულად ითვლება ამერიკის შეერთებული შტატების უმრავლესობაში, ასევე — ევროპის ქვეყნებში! ამერიკის შეერთებულ შტატებში ცილისწამება ძალზე მკაცრ სასჯელებს, ზოგ შტატში 10 წლამდე პატიმრობას, მასთან ერთად, მრავალმილიონიან (250 მილიონი და ზევით) ჯარიმასაც ითვალისწინებს. **ყველა ეს ფორმა 2004 წლამდე საქართველოშიც სისხლის სამართლის დანაშაულად ითვლებოდა, ვიდრე ამერიკის რეაქციული წრეების დავალებით სააკაშვილის რეჟიმი სისხლის სამართლის კანონმდებლობიდან ამოიღებდა.**

**— ეს რა მიზნით მოიმოქმედა რეჟიმმა?**

— ეს გახდა პოლიტიკურ და პოზიციურ ოპონენტებთან ანგარიშსწორების უმარტივესი საშუალება. ტყუილისა და ცილისწამების გავრცელებისთვის, რაც ადამიანის პატივსა და ღირსებას ლაფში სვრის, ამერიკის შტატების უმრავლესობაში უმკაცრესი სასჯელი ეკისრება არამხოლოდ მედიასაშუალებებს, არამედ წყაროსაც, ვისგანაც სათავეს იღებს აღნიშნული ცრუ ინფორმაცია! **გერმანიაში ცი-**





# „აშშ-ის წაქეზებით, პროფესია ცილისმწამებელი საქართველოში მაღალანაზღაურებადი გახდა!“

**ლისწამება 5 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს და მეტიც შეიძლება მიესაჯოს, ცილისწამების სიმძიმიდან გამომდინარე. ცილისწამების გამო ხუთწლიანი სასჯელი და დამატებით, მრავალასეულათასიანი ჯარიმები მოქმედებს საფრანგეთში; უმკაცრესი სასჯელებია შვედეთში, ბელგიაში, ნორვეგიაში, იტალიაში.**

ამერიკის და ევროპისგან განსხვავებით, გლობალისტური პოლიტიკის დამქაშებმა საქართველოს სააკაშვილის რეჟიმის საშუალებით თავს მოახვიეს კანონმდებლობა, რომლის ფარგლებშიც ცილისწამება არ არის სისხლის სამართლის დანაშაული, იგი თავისუფალი და წახალისებულია. **უმთავრესი მიზანია, რომ საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს, რომელიც თვალში არ მოსდით გლობალისტური პოლიტიკის კრიტიკის გამო, ცილისწამებით იოლად გაუტეხონ სახელი, აქციონ დისკრედიტებულ პირად, გარიყონ საზოგადოებისგან.**

**— კონკრეტულად, რაში გამოიხატება „ელისტრაკოს სინდრომი?“**

— საკმარისია ცილისმწამებლური კამპანიის დაგეგმვა და დასპონსორება, რომ გლობალისტებმა მათთვის მიუღებელი მოქალაქე, თუნდაც ხელისუფლების წარმომადგენელი, გააბიაბრუონ, რათა მისი პოზიცია აღარ იყოს წონადი!

მოხალისეები ან თუნდაც, რეზიდენტები მრავლად მოიძებნებიან, რომლებიც ბინძურ დავალებას ფულის სანაცვლოდ შეასრულებენ. მაგალითად, საქართველოში არის ცნობილი ლაფისროლია პერსონა — **ელისტრაკო,** რომელიც სხვადასხვა მედიასაშუალებით სხვადასხვა კონკრეტულ ადამიანს სისტემატურად სწამებს ცილს, გამიზნულად ავრცელებს ტყუილებს და როცა პოლიციაში იბარებენ, ეფარება ჟურნალისტის მანდატს; ამბობს, რომ კანონი მას აძლევს უფლებას, ინფორმაციის წყარო არ დაასახელოს. შედეგად თავად დაუსჯელი რჩება, თუმცა, ნადგურდება მისგან ცილნაწამები, საზოგადოებისთვის ავტორიტეტული მოქალაქეების ღირსება და საქმიანი რეპუტაცია.

**ელისტრაკო** ჯერ ნაცმოძრაობის დავალებით სვრიდა ლაფში მათგან სამიზნედ მითითებულ წესიერ ადამიანებს; ამჟამად კი ხელისუფლების წარმომადგენლებიც შეუდგნენ ცილისწამების ამ ინსტრუმენტით სარგებლობას და გასამრჯელოს სანაცვლოდ ერთმანეთს ალანძღვინებენ. ფაქტია, კანონის უკმარისობის გამო **პროფესია ცილისმწამებელი** საქართველოში საკმაოდ მაღალანაზღაურებადი გახდა!

**— ცილნაწამებ მოქალაქეს რა სამართლებრივი ბერკეტი რჩება, რომ ღირსებისა და რეპუტაციის რეაბილიტაციას მიაღწიოს?**

— ძალიან მცირე, რადგან სისხლის სამართლიდან **ცილისწამების დანაშაულმა** სამოქალაქო დავათა სფეროში გადაინაცვლა. ადრეც გითხარით ანდაზა — **„ვიდრე სიმართლემ ნაბადი მოიცვა, მანამდე ტყუილმა დედამიწა შემოიარაო“.** ზუსტად ამგვარად ხდება — ადამიანს ცილისწამებით დაამცირებენ, მიწასთან გაასწორებენ... სეირის მოყვარული საზოგადოების ნაწილი ამაზე ქილიკობს. ცილისწამების გამწარებული მსხვერპლი ვიდრე სასამართლოში გაასაჩივრებს, ვიდრე სასამართლო ამ საკითხის განხილვას შეუდგება, შემდეგ სააპელაციო, მერე უზენაეს სასამართლოებს მოივლის — **წლები გადის!** ამის შემდეგ, თუნდაც ცილნაწამებმა და წლების განმავლობაში ღირსებაშელახულმა პირმა რეაბილიტაციას მიაღწიოს, მისი სიმართლე აღარავის აინტერესებს! მითუფრო, რომ ცილისმწამებელს დაევალება, სადღაც, გაზეთის კუთხეში დაბეჭდოს **ფორმალური ბოდიში,** რასაც ვერავინ ნახავს და, ფაქტობრივად, ადამიანი ნერვების აშლის და ფულის ხარჯვის შემდეგ, ფაქტობრივად, ისევ ღირსებაშელახული რჩება!

ცილისმწამებლის მხილებას მხოლოდ მაშინ ექნება აზრი, თუ დროში დაჩქარებულად მოხდება და საზოგადოებაც მალევე შეიტყობს. სხვა საკითხია, მას დაიჭერენ თუ არა. ასეთ შემთხვევაში ადამიანი მხილებისა და სასჯელის შიშით ცილისწამებას ვერ გაბედავს, ყველა სხვა შემთხვევაში, ცილისმწამებელი მოგებული რჩება, რადგან საწადელს ისრულებს და სამიზნესაც მორალურ-ფსიქოლოგიურად ანადგურებს! აი, ასეთი სისტემა ჩამოაყალიბა სააკაშვილმა, ყველა ოპონენტს სამშობლოს ღალატი და რუსეთის აგენტობა დააბრალა, ციხეში გამოამწყვდია და ძალაუფლებისკენ გზა გაითავისუფლა, მაგრამ ვინმეს რომ გაებედა და სააკაშვილის გუნდის წევრისთვის დაეწამებინა ცილი, წლების განმავლობაში სასამართლოში კი არ იჯახირებდა, ზონდერებს მიუგზავნიდა და სასიკვდილოდ დალეწავდა! ცილისწამების ინსტიტუტმა ისე გაიდგა ფესვები, რომ მას მხოლოდ ცალკეული უზნეო პირები კი არა, ჯგუფური მომხმარებელიც ჰყავს!

**— რა გაქვთ მხედველობაში?**

— თუნდაც, **უცხოეთის რეზიდენტების და მათი დაფინანსების მხილების ყბადაღებული კანონპროექტი,** რომელიც ხელისუფლებამ უკვე მეორედ შემოიტანა განსახილველად და რომელსაც კომპრომეტაციის მიზნით, ეს რეზიდენტები ჯიუტად „რუსულ კანონს“ უწოდებენ. მიზანმიმართულად ავრცელებენ ცრუ ინფორმაციას, თითქოს საქმე გვაქვს დიქტატურასთან და ითვალისწინებს არასამთავრობო ორგანიზაციების მოსპობას და გამოხატვის თავისუფლების აკრძალვას! გასულ წელს ამ სიცრუეზე დაყრდნობით, ნახევარი თბილისი გადაწვეს უცხოეთის რეზიდენტებმა და ამჯერადაც იმავეს აპირებენ! **ცილისწამების ასეთ კამპანიაში მსუყე გრანტების სანაცვლოდ მონაწილეობენ ამერიკისა და ევროპის რეაქციული წრეებიდან დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციები.** ეს გახლავთ ქართული სახელმწიფოებრიობისა და ეროვნული ცნობიერებისთვის ძირის გამომთხრელი ეფექტური მექანიზმი! ფაქტია, ცრუ ინფორმაციას ხელისუფლება ვერაფერს უპირისპირებს, არადა, სხვა რეალობა იქნებოდა, ასეთი ქმედება სისხლის სამართლის ფარგლებში რომ ისჯებოდეს!

**— ახალმა ხელისუფლებამ მაინც რატომ არ იზრუნა ამაზე?**

— იმავე მიზეზით, რის გამოც ვერ იჭერს იმ კრიმინალებს, რომლებმაც **მოლოტოვის კოქტეილებით** რამდენჯერმე გადაწვეს თბილისი! იმ მიზეზით, რომ აქამდე ვერ მოუხერხებია, დაუძვრეს მითითებებს ამერიკიდან და ევროპიდან. სამაგიეროდ, გერმანიაში ცალკე მუხლებად არის ჩამოყალიბებული პოლიტიკური თანამდებობის პირების მიმართ ცილისწამების გამო განსაკუთრებით მკაცრი სანქციები! **დააბრალებ და ვერ დაასაბუთებ? მაშინვე ციხეში გიკრავენ თავს!**

**— სად გადის ზღვარი გამოხატვის თავისუფლებასა და ცილისწამებას შორის?**

— მედიას ევალება მიღებული ინფორმაციის გადამოწმება და საზოგადოებისთვის ობიექტურად მიწოდება. თუ ამას ვერ ახერხებს, არსებობს მტკიცებითისგან განსხვავებული სხვა ფორმები, როცა ჟურნალისტი ინფორმაციას ავრცელებს არა როგორც დადასტურებულ ფაქტს, არამედ, როგორც ფაქტებიდან გამომდინარე გონივრულ ვარაუდს. დასავლეთში ამ სტანდარტს მკაცრად იცავენ, მაგრამ ჩვენთვის სხვაგვარ მიდგომას ამჯობინებენ და მცდარ ინფორმაციას და ცილისწამებას მწვანე შუქს უნთებენ!

მიმაჩნია, როცა ჟურნალისტი ავრცელებს ისეთ ინფორმაციას, რომელიც პირის ღირსებას და რეპუტაციას ეხება, მას უნდა ჰქონდეს წყაროს დასახელების ვალდებულება! დაე, საჯაროდ ნუ დაასახელებს წყაროს, მხოლოდ გამოძიებას გაუმხილოს! საზოგადოება შეიტყობს შედეგს და ესეც საკმარისია. სამაგიეროდ, პასუხისმგებლობა არამხოლოდ ჟურნალისტს, არამედ წყაროს და წყაროსთვის დამკვეთსაც დაეკისრებათ, რომელთაც შესაძლოა, პირადი დაინტერესება ჰქონდათ ცრუ ინფორმაციისა და ცილისწამების გავრცელებით. ასეა დაწესებული ამერიკის 19 შტატში და ევროპის წამყვან ქვეყნებში! ჩვენთან კი, **ელისტრაკოს სინდრომი** დანერგეს.

ნახეთ, რა ხდება: **ელისტრაკოს აქვს უზარმაზარი ქონება, თუმცა, ყველაფერი სხვის სახელზე აქვს გაფორმებული. თუნდაც უჩივლო, ვერაფერს წაართმევ, ვერაფერს დაუყადაღებ.** ამიტომ, შეუძლია, ყველაფერი დაგაბრალოს, რასაც დამკვეთი დაუკვეთს და რაც ენაზე მოადგება! ნაცებს, ქოცებს, სხვა ჯგუფებს იმისთვის, რათა ერთმანეთს ძირი გამოუთხარონ, საუკეთესო შემსრულებელი ეგულებათ **ელისტრაკოს** სახით, რომელიც წლების განმავლობაში ამ ბინძურ საქმიანობას ეწევა, ამაში იღებს არცთუ მოკრძალებულ ჰონორარებს, მისი, როგორც ცილისმწამებლის წინააღმდეგ უამრავი საჩივარია შეტანილი; **როგორც ადვოკატს, გამაჩნია ინფორმაციები, რომ გამოძალვასაც ეწევა** (თუ გინდა ლაფი არ გესროლო, ფული მომეცი), **მაგრამ პასუხი ერთხელაც ვერ აგებინა ვერავინ!**

**— ეტყობა, მუდამ ახერხებს ძლიერი მფარველის გამოძებნას...**

— ეს ქალი არის ჯერ სააკაშვილის, შემდეგ კი ახალი ხელისუფლების მიერ ყოველმხრივ კომპრომეტირებული. **მას პატიობენ ისეთ რაღაცებს, რის გამოც ჩვეულებრივ ადამიანს არ დაინდობდნენ!** პირდაპირ გეუბნებით — **ნარკოტიკები მის ოფისში ფასოვდებოდა...** მე დოლიძეზე დაბადებულ-გაზრდილი ვარ, მყავს მეგობრები, მეზობლები და მათგან მსმენია და ბოლოს **თავადაც ვნახე** (თუ გსურთ, პირდაპირ ასე დაწერეთ!), **როგორ მისცეს ფული და მოატანინეს წამალი მის უახლოეს ადამიანს!** ახლა ელისტრაკო „მთავარ ანტიბარიგად“ მოგვევლინა. **მაქვს გონივრული ვარაუდი, რომ მისი მეოხებით ხდება „არალიცენზირებული“ გამსაღებლების ბაზრიდან გაძევება, რათა ბაზარი დარჩეთ მსხვილ მოვაჭრეებს.**

ტელეგრამარხებით კლიენტებს ნარკოტიკს სთავაზობენ და დათქმულ ადგილზე მისულებს ტელეკამერიან ხალხს ახვედრებენ! უფრო მეტსაც გეტყვით — **ამ ქალმა უშუალოდ ჩემ წინააღმდეგ ჩაიდინა კიბერდანაშაული, გამიტეხა სოციალური ქსელი, რაზეც მივმართე პოლიციას, წარვუდგინე მტკიცებულებებიც, თუმცა, საქმეს მსვლელობა არ მოჰყვა.** არაერთხელ მყავს გამოჭერილი, რომ ადამიანებს აშანტაჟებს მათი პირადი მიმოწერის გამოქვეყნებით, რაზეც, წესით, ხელი არ უნდა მიუწვდებოდეს... მაგრამ მის გარემოცვაში ტრიალებს **კუდ**-ის ყოფილი თანამშრომელი, ვინმე **თემურ კენკებაშვილი,** რომელმაც ნაცების წასვლის შემდეგ **ელისტრაკოს** მიაწოდა **კუდ**-იდან დანაშაულებრივი გზით წამოღებული მასალები და სწორედ ის ეხმარება მოქალაქეების სოციალური ქსელების გატეხვაში და პირადი მიმოწერების მოპოვებაში. სჩადის სხვა უამრავ დანაშაულსაც, თუმცა, სამართალდამცველი ორგანოები რეაქციას არ ახდენენ! სადღა არ იყო ჩანერგილი: ჯერ **ბადრი პატარკაციშვილთან,** მერე — **ნაცებთან და ოცნებაში,** ასევე — **მაჩალიკაშვილის, სარალიძის, ბაჩალიაშვილის, შაქარაშვილის** და ყველა სხვა გახმაურებულ საქმეში!

**ელისტრაკო გახლავთ ამერიკიდან თავს მოხვეული უსამართლო სამართლებრივი სისტემის შეუცვლელი პროდუქტი, რომელიც დაუსჯელად დაპარპაშებს. იმდენი ადამიანი ჰყავს გამწარებული ცილისწამებით, რომ „ქართული ოცნება“ მისი ხელშეუხებლობით და დაუსჯელობით ძალიან, ძალიან ბევრ საარჩევნო ხმას დაკარგავს!**

**— ტრადიციულად, ბოლოს გამოსავალზე უნდა გკითხოთ.**

— საქართველოში 30 წელზე მეტია, დასავლური ექსპერიმენტი ტარდება, რაც ხალხის დათრგუნვასა და ტვინის გამორეცხვას ისახავს მიზნად. სოციალურად გაჭირვებული საზოგადოება ნაკლებად ფიქრობს სამართლის სისტემის მანკიერებაზე; ადვილად ყლაპავს ცილისწამებას, ნაკლებ დროსა და ყურადღებას უთმობს ინფორმაციის ანალიზსა თუ განსჯას. ამერიკას, ზოგადად, დასავლეთს საქართველოში სწორედ ასეთი საზოგადოება სჭირდება, რომელსაც სიმართლის ტყუილისგან გარჩევა გაუჭირდება. მედიისა და არასამთავრობოების უმრავლესობა პირდაპირ დასავლეთიდან ფინანსდება და დამფინანსებლის დაკვეთებს ასრულებს. **საქართველოში ტყუილი ერთგვარ ფსიქოტრონულ იარაღად იქცა.** უკვე ისიც გაჟღერდა, რომ, როდესაც სამართალდამცველები დასავლეთის ამ რეზიდენტებს ადმინისტრაციულ დანაშაულებზე იჭერენ, მათ ჯარიმებს USAID და სხვა ამერიკული ფონდები იხდიდნენ!

გამოსავალი ერთადერთია — **ქართულმა სახელმწიფომ დასავლეთის გლობალისტური უღელი უნდა ჩამოიცილოს!** ყველა სფერო, ყველა კანონი ქართულ ეროვნულ ინტერესებს მიუსადაგოს. როგორც კი ეს მოხდება, გამოიკვეთება საქართველოში ჭეშმარიტად სამართლებრივი სახელმწიფოს აშენების რეალური პერსპექტივა!



*ესაუბრა*
***ზაზა დავითაია***

**1973 წლის მაისში ლგბტ მოძრაობამ იმ დროისთვის ყველაზე თვალსაჩინო წარმატებას მიაღწია. მათ ამერიკის ფსიქიატრთა ასოციაციის წევრები აიძულეს, ჰომოსექსუალობა ფსიქიკური დაავადებების ოფიციალური კლასიფიკაციიდან და ფსიქიკური აშლილობების დიაგნოსტიკური და სტატისტიკური სახელმძღვანელოდან ამოეღოთ. გაივლის ამ მოვლენიდან 17 წელი და 1990 წლის 17 მაისს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციაც იმავე ნაბიჯს გადადგამს — ჰომოსექსუალობას საერთაშორისო დაავადებათა კლასიფიკაციიდან ამოიღებს! შედეგად, ლგბტ მოძრაობას ფრთების გასაშლელად სრული თავისუფლება ეძლევა და ახალი მსოფლიო წესრიგის მესვეურთა ხელში კონსერვატიული მსოფლმხედველობის ერების წინააღმდეგ მძლავრი იარაღი ხდება.**



# „დაუშვებელია, საკუთარი სქესის „შერჩევა“ ზრდასრულს, მით უფრო, მოზარდს მივანდოთ!“

## არჩილ ხომასურიძე:

# მედიცინას ურჩევნია, რომ ქალი ქალად დარჩეს, კაცი – კაცად!



ლგბტ მოძრაობა მიზნად ისახავს ყველა საბუთში, წერილობით თუ ზეპირ ინფორმაციაში, ასევე, ზოგადად, მეტყველებაში სქესის აღმნიშვნელი განსაზღვრების აღმოფხვრას და ისწრაფვიან ისეთი ფორმაციისკენ, რომელშიც ნებისმიერი ადამიანი თავად განსაზღვრავს საკუთარ სქესობრივ იდენტობას, მაგრამ ბუნებას სრულიად სხვა კანონები აქვს, რომელთა თანახმად, ნორმის ფარგლებში არსებობს მხოლოდ ორი სქესი — **მდედრობითი და მამრობითი.** იმავდროულად, არსებობს ნორმიდან გადახრის სხვადასხვა მოდიფიკაცია. და მაინც, **სად გადის ზღვარი ნორმასა და პათოლოგიას შორის? რამდენად შესაძლებელია, სქესობრივად ნორმიდან გადახრილი ადამიანი თავის ბუნებრივ, ბიოლოგიურ სქესს დაუბრუნდეს და სრულფასოვანი სექსუალური ცხოვრება გააგრძელოს? რა სხვაობაა სქესის დაბრუნებასა და სქესის გამოცვლის განსაზღვრებათა შორის?**

*„მედიცინა მხოლოდ 2 სქესს — მდედრობითს (XX) და მამრობითს (XY) აღიარებს, რომელსაც, თავისდა უნებურად, მშობლები განსაზღვრავენ იმის მიხედვით, თუ რომელ გენებს გადასცემენ ისინი მომავალ ნაყოფს!“* — **ამ სიტყვებით დაიწყო ჩვენთან საუბარი მეცნიერმა, რომელსაც მედიცინის სფეროში პირველს ვარსკვლავი გაუხსნეს, რეპროდუქტოლოგთა საერთაშორისო აკადემიის და მრავალი საერთაშორისო აკადემიების წევრმა, საქართველოს რეპროდუქციული ჯანმრთელობის ასოციაციის დამფუძნებელმა და პრეზიდენტმა, თსუ რეპროდუქტოლოგიისა და მეანობა-გინეკოლოგიის კათედრის გამგემ, ჟორდანიას სახელობის სამეცნიერო ინსტიტუტის გენერალურმა დირექტორმა, თბილისის საპატიო მოქალაქემ, პროფესორმა არჩილ ხომასურიძემ:**

— ნორმაში მედიცინა მხოლოდ მდედრობით და მამრობით სქესს ცნობს, მაგრამ ქრომოსომების რაოდენობის მიხედვით შეიძლება გამოვლინდეს პათოლოგიები, რომლის კლინიკური დიაგნოსტიკა ადვილი არ არის. ცოტათი გამიხარდა, როდესაც შევიტყვე, რომ მმართველმა პარტიამ საკონსტიტუციო ცვლილებები დააანონსა, რომლის მიხედვით, ლგბტ პროპაგანდა უნდა აიკრძალოს, თუმცა, **ვიდრე ცვლილებები კონსტიტუციაში ჩაიწერება, აჯობებს, დარგის სპეციალისტებთან იყოს შეთანხმებული, რათა მნიშვნელოვანი საკანონმდებლო შეცდომები თავიდან ავირიდოთ.** მხედველობაში მაქვს ცვლილებების მე-3 პუნქტი, სადაც წერია: *„3. აკრძალულია ადამიანის სქესის შეცვლასთან დაკავშირებული ნებისმიერი სამედიცინო ჩარევა“.*

მედიცინაში არის ნიუანსები, რომლებიც რეალურ სიტუაციაში ისეთ დილემასთან გვაყენებს, რაც ბავშვის დაბადებისთანავე მისი სქესის დიაგნოსტიკას ართულებს. ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ბავშვი აუცილებლად რაიმე გენეტიკური პათოლოგიით დაიბადა, ზოგ შემთხვევაში ეს შეიძლება იყოს ენდოკრინული დაავადება, მაგრამ უფრო ხშირია ე.წ. **ადრენოგენიტალური სინდრომი,** როდესაც ძნელი გასარჩევია, ახალდაბადებული ბიჭია თუ გოგონა. ყოფილა შემთხვევები, როდესაც არასწორი დიაგნოზი დასმულა, რასაც შემდგომში მთელი რიგი პრობლემები მოჰყოლია. ადრენოგენიტალური სინდრომის შემთხვევაში ექიმების მიზანია, მივცეთ სწორი შეფასება, თუ რომელი გენეტიკური სქესის წარმომადგენელია პაციენტი!

**— ადრენოგენიტალური სინდრომი გენეტიკური პათოლოგიაა?**

— ასეთი სინდრომის გამოვლენა არ ნიშნავს, რომ ბუნებამ შეცდომა დაუშვა, რადგან **ადრენოგენიტალური სინდრომის** მქონე პაციენტები უფრო ხშირად მდედრობითი სქესის არიან. თუმცა, ახალშობილ გოგონას შესაძლოა, ჰქონდეს **ჰიპერტროფირებული** (ზომაში მომატებული) **კლიტორი,** რაც შედარებით გამოუცდელ ექიმს მამაკაცის სასქესო ორგანოში აერიოს. **ადრე განსაკუთრებით ხშირი იყო ასეთი შეცდომა, რომლის გამო ბავშვი იზრდებოდა და ვითარდებოდა როგორც ბიჭი, თუმცა, ის სინამდვილეში გახლდათ გენეტიკური გოგონა.**

**— რა გამოსავალი არსებობს ასეთ დროს?**

— **ადრენოგენიტალური სინდრომი** კონსერვატიული თერაპიის ფარგლებში მკურნალობას ექვემდებარება და პირველ ეტაპზე შესაძლოა, ოპერაცია საერთოდ არ იყოს საჭირო. მშობლებმა რაც შეიძლება ადრეულად უნდა შეიტყონ, რასთან გვაქვს საქმე, რა არის მიზეზი. ბუნდოვან შემთხვევებში უნდა მოხდეს ახალშობილის გამოკვლევა ექოსკანირების მეთოდით და, **როდესაც დადგინდება, რომ ახალშობილს გააჩნია საშვილოსნო და საკვერცხეები, დიაგნოზი მკაფიოა — ის გენეტიკურად გოგონაა!**

ამჟამად ეს პროცედურა გაადვილებულია და შეცდომა ძალზე იშვიათად ხდება, ისიც მხოლოდ ახალდაბადებულთა შორის, მაგრამ წინათ სქესის განსაზღვრის შეცდომა ბავშვს დიდი ხნის განმავლობაში მიჰყვებოდა. ჩემი ხანგრძლივი პრაქტიკის განმავლობაში მსმენია შემთხვევები, როდესაც ადრენოგენიტალური სინდრომის მქონე ბავშვები ექიმის მიერ განსაზღვრული მცდარი პირველადი დიაგნოზის საფუძველზე, 10 წლის განმავლობაშიც კი, არასწორი, მამრობითი სქესის ფარგლებში ვითარდებოდნენ და პრობლემა მაშინღა შეუმჩნევიათ, როდესაც სქესობრივი სიმწიფის პერიოდი დაწყებულა. **მერე უკვე აუცილებელი ხდებოდა, რეტროსპექტიულად შეცდომის დაფიქსირება და გამოსწორება, რაც ბავშვის ცნობიერებას ფსიქოლოგიურ დაღს ასვამდა.**

ამჟამად, ექოსკანირების ტექნიკა იმდენად შორს არის წასული, რომ ემბრიონის სასქესო ორგანოების დანახვა და სქესის მუცლადყოფნის პერიოდში განსაზღვრაც სირთულეს არ წარმოადგენს, თუმცა, პრობლემა მუცლადყოფნის პერიოდში არ არსებობს, მხოლოდ მშობიარობის შემდეგ იჩენს ხოლმე თავს.

**— ახალდაბადებულის სქესის განსაზღვრა რა პროცედურებს უკავშირდება?**

— ექიმი განსაზღვრავს, თავდაპირველად, მხოლოდ ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე. თუ რაიმე საეჭვოს შეამჩნევს, შემდეგ ტარდება ექოსკანირება და დაბეჯითებით ითქმება, ახალდაბადებული ბიჭია თუ გოგონა. სქესის დასადგენად რაიმე სხვა, სპეციფიკური და სავალდებულო კვლევა არ არის აუცილებელი. თუ ადრენოგენიტალური სინდრომი გამოვლინდება, მკურნალობა დაბადებისთანავე უნდა დაიწყოს. ჩვილს მიეცემა ის ჰორმონი, რაც მას აკლია. შედეგად კლიტორი ზრდას შეწყვეტს, ხოლო საშვილოსნო და საკვერცხეები ზრდას გააგრძელებენ და თანდათან ნორმაში და ფორმაში ჩადგებიან. უკვე 1-2 წლის შემდეგ, თუ კლიტორი მაინც ჰიპერტროფირებული (ზომაზე მეტად წამოზრდილი) დარჩება, შეიძლება ოპერაციულად დაუბრუნონ ნორმის ფარგლებს. **ეს არ იქნება „სქესის შეცვლა“, არამედ — ბავშვის დაბრუნება მისი ბიოლოგიური, გენეტიკური სქესის ფარგლებში.**

ეს მქონდა მხედველობაში, როდესაც კონსტიტუციურ ცვლილებებთან მიმართებაში შენიშვნა გამოვთქვი. დათქმა და დაკონკრეტებაა საჭირო, რას ნიშნავს გენეტიკური სქესის ფარგლებში ადამიანის დაბრუნება და რით განსხვავდება დაბრუნება გადაკეთებისგან, ანუ სამედიცინო ჩარევისგან, რომელიც გენეტიკური სქესის შეცვლას ისახავს მიზნად. წარმოიდგინეთ, რამხელა უბედურება დატრიალდება, თუ ექიმებს ჩარევა ადრენოგენიტალური სინდრომის შემთხვევაშიც აეკრძალებათ! დიახ, **სქესის შეცვლის მიზნით სამედიცინო მანიპულაციები დაუშვებელია, მაგრამ ეს მეორე უკიდურესობა იქნება — ახალშობილი გოგონა გააგრძელებს ზრდას, მამაკაცური ჰორმონების სიჭარბე განაპირობებს კლიტორის ზრდას, გარეგნობით ის მამაკაცს დაემსგავსება, მაგრამ, როდესაც საქმე საქმეზე მიდგება და საკუთარი შვილის ყოლას მოინდომებს (წინათ ასეთი შემთხვევებიც ყოფილა!), მიხვდება, რომ არაფერი გამოსდის, არა აქვს სპერმა და სპერმის გამომყოფი ორგანოები!**

**— პირიქით თუ მომხდარა, რომ ახალდაბადებული ბიჭი გოგონაში შეგშლოდეთ?**

— ყოფილა ასეთი შემთხვევებიც... არსებობს დისგენეზიის სხვა ფორმებიც, მაგალითად, გონადებისა *(ორგანოები, რომლებშიც წარმოიქმნება სასქესო უჯრედები — კვერცხუჯრედები და სპერმატოზოიდები, ასევე სასქესო ჰორმონები. მამაკაცის გონადებია სათესლეები, ქალისა — საკვერცხეები),* რომელსაც ინდივიდუალური მიდგომა სჭირდება. ხანდახან ისიც ხდება, რომ ახალშობილს თითქმის თანაბრად აქვს გამოხატული როგორც ბიჭის, ასევე გოგონას ორგანოები. ასეთ შემთხვევაში ექიმების ამოცანაა, ამ ადამიანს მომავალი ნორმალური, რეპროდუქციული ცხოვრების ამოცანა განუსაზღვრონ; მისცენ იმის საშუალება, რომ შეიძლება შვილი არ ეყოლოს, მაგრამ ნორმალურ ფარგლებში ჰქონდეს სქესობრივი ცხოვრება.

**— ყოფილა შემთხვევა, როცა ახალდაბადებულის სქესის**




## „გადახრის წახალისება კი არ უნდა ხდებოდეს, არამედ ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე ზემოქმედება, რათა ასეთი სურვილი აღარ იბადებოდეს!“

**განსაზღვრა შეუძლებელია, ვინაიდან მდედრისა და მამრის ნიშნები თანაბრად არის განვითარებული?**

— გენეტიკური დაავადებები იწვევენ ისეთ გადახრებსაც, როდესაც სქესის დადგენა მართლაც დილემამდე გაძნელებულია. თითოეულ ასეთ შემთხვევაში მიდგომა ინდივიდუალურად უნდა განისაზღვროს. თუ გვაქვს **ორმხრივი დისგენეზია** *(სასქესო ჯირკვლების დისგენეზია წარმოადგენს სათესლე ჯირკვლებისა და საკვერცხეების არასწორ განვითარებას)*, საქმე გაცილებით რთულადაა. მშობლებს ვუხსნით მდგომარეობას და ვაძლევთ საშუალებას, მათ გადაწყვიტონ, ბავშვის განვითარება მამრობითი სქესისკენ მოვახდინოთ თუ მდედრობითისკენ. შეიძლება, ასეთ ბავშვს მომავალში შვილი არ ეყოლოს, მაგრამ სათანადო მკურნალობის შედეგად ნორმის ფარგლებში სექსუალური ცხოვრების შესაძლებლობა მიეცეს.

თუ მამრობითი კლინიკური გამოვლინება მეტია, ვცდილობთ, პაციენტის მამრობითი მიმართულებით ჩამოყალიბებას შევუწყოთ ხელი იმ მიზნით, რომ სქესობრივი ცხოვრებისთვის მომწიფება ნორმის ფარგლებში მოახერხოს. **შეიძლება, ბავშვი გენეტიკურად გოგონას წარმოადგენდეს, მაგრამ არ ჰქონდეს საშო და ასეთ შემთხვევაში, ხელოვნურად შეიძლება ეს ორგანო შევუქმნათ.** არც ეს არის „სქესის გადაკეთება“, არამედ დაბრუნებაა იმ ფარგლებში, რომელშიც ცხოვრების ნორმალური პირობები ექნება!

ნებისმიერ ასაკში მყოფ ადამიანს შეიძლება ექიმებმა ასეთი დახმარება აღმოუჩინონ, რაც პაციენტისთვის დიდი შვება იქნება. სხვათაშორის, **საქართველო მსოფლიოში ერთადერთი ქვეყანაა, სადაც რეპროდუქტოლოგია არ არის მეანობა-გინეკოლოგიის ნაწილი და მთლიანად დამოუკიდებელია, ხოლო მე ამ დამოუკიდებელი დარგის დამფუძნებელი გახლავართ.** რეპროდუქტოლოგია შეისწავლის როგორც ქალის, ასევე მამაკაცის უშვილობის მიზეზებს და **ჩვენი მთავარი მიზანია, ნებისმიერ ადამიანს შეეძლოს სრულფასოვანი სექსუალური ცხოვრება და შთამომავლობის შექმნა!**

# „ჩვენი მთავარი მიზანია, ნებისმიერ ადამიანს შეეძლოს სრულფასოვანი სექსუალური ცხოვრება და შთამომავლობის შექმნა!“



**— არსებობს მიჯნა, რომლის მიღმაც სქესთან დაკავშირებული სამედიცინო ჩარევა ბოროტება ხდება?**

— ადრენოგენიტალური სინდრომი საკმაოდ ხშირია, კერძოდ, ყოველი 3 ათასი ადამიანიდან ერთი ამ სინდრომით იბადება და ამ სიტუაციაში ექიმი ღმერთისა და ბუნების წინაშე ბოლომდე მართალი იქნება, თუ მკურნალობას იმ მიზნით წაიყვანს, რომ ადამიანი თავის ბუნებრივ სქესს დაუბრუნდეს. გაცილებით რთულადაა საქმე, როცა არის დისგენეზია და ექიმი დილემის წინაშეა, რომელი სქესის მიმართულებით უბიძგოს პაციენტს. ვიმეორებ — შეიძლება ექიმი სულაც მშობლების გადაწყვეტილებას დაემორჩილოს და თუ ისინი გადაწყვეტენ, რომ მათი შვილი ბიჭად ჩამოყალიბდეს, ამ შემთხვევაში ბავშვის სხეულიდან უნდა ამოიკვეთოს ყველა ქალური საწყისი; ან პირიქით — ამოიკვეთოს მამრობითი სქესის წარმონაქმნები, თუ აქცენტი მდედრობითი სქესის სასარგებლოდ გაკეთდება. ასეთ იშვიათ შემთხვევებში მიდგომა უნდა იყოს ინდივიდუალური და ეს მიდგომა უნდა გაამყაროს კანონმა.

**— მაგრამ ისეთი სამედიცინო ზემოქმედებაც ხომ შესაძლებელია, რომ ბიოლოგიურად სრულფასოვანი მამაკაცი ქალად გადაკეთდეს, ხოლო ქალი — მამაკაცად? თანამედროვე ლგბტ დღის წესრიგი დაჟინებით სწორედ ასეთი არჩევანის რეალიზების სრულ უფლებას მოითხოვს.**

**რამდენად გამართლებულია, ადამიანმა სქესი პირადი სურვილით გადაიკეთოს?**

— ასეთი გადახრა ცენტრალური ნერვული სისტემიდან მომდინარეობს და მისი მიზეზი, ჯერჯერობით, დაუდგენელია. შესაბამისად, გადახრის წახალისება კი არ უნდა ხდებოდეს, არამედ ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე ზემოქმედება, რათა ასეთი სურვილი აღარ იბადებოდეს. სამწუხაროდ, მსოფლიო ადამიანთა პოპულაციაში ასეთი, ორიენტაციაარეული ადამიანები ჭარბად არიან და მოსახლეობის საერთო რაოდენობის დაახლოებით 7-8 პროცენტს შეადგენენ. ეს უკვე სრულიად სხვა განზომილებაა, სრულიად სხვა მედიცინა. კანონის მიხედვით, ისინი საზოგადოების სრულფასოვანი წევრები არიან, სხვებთან თანასწორი უფლებებით, თუმცა, მათი ორიენტაციის ორგანული საფუძველი დაუდგენელია. მიმაჩნია, რომ უნდა მოისინჯოს ასეთი ადამიანების კორიგირება ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე ზემოქმედებით, რაც ძალზე რთული ამოცანაა.

**— არადა, უკვე საბავშვო ბაღებში ბავშვებსაც უქადაგებენ, „რომ გაიზრდები, მერეღა მიხვდები, ბიჭი ხარ თუ გოგო“.**

— როგორც ქართველი საზოგადოების წევრს, მიმაჩნია, რომ დაუშვებელია, საკუთარი სქესის „შერჩევა“ ზრდასრულს, მით უფრო, მოზარდს მივანდოთ. კომენტარი მაინც მიჭირს, რადგან ვიმეორებ: ტრანსგენდერული ორიენტაციის ორგანული საფუძველი დაუდგენელია. მედიცინაში ყველაფერი არ არის გადაწყვეტილი. მრავალი დილემა ჯერაც ამოუხსნელია, მათ შორის, ისიც — ადამიანების 7-8 პროცენტი რატომ ცდილობს საპირისპირო სქესისთვის დამახასიათებელი მიდრეკილებების გამოვლენას? ზოგს შეიძლება შვილიც ჰყავდეს, მაგრამ ქალობასაც იფერებდეს და კაცობდეს კიდეც... ჩემი პირადი აზრით, ასეთი ადამიანებისთვის სამედიცინო თვალსაზრისით სქესის შეცვლა დიდი შეცდომაა, ოღონდ ისინი საზოგადოების სრულფასოვან წევრებად ითვლებიან და, სამწუხაროდ, მოთხოვნის უფლებაც გააჩნიათ. **მე, პირადად, მომხრე ვარ, ადამიანი იმად დარჩეს, რაც ბუნებამ უბოძა.**

**— ლგბტ დღის წესრიგიდან გამომდინარე პრობლემებმა მსოფლიო აშკარად ჩიხში შეიყვანეს. რაში ხედავთ გამოსავალს?**

— 17 წლის განმავლობაში ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის მრჩეველი გახლდით. 4 წელი ქალის უფლებებს ვიცავდი, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ლექციებს ვკითხულობდი, საკმაოდ მაღალი ხელფასი მქონდა. ერთ მშვენიერ დღეს ლგბტ საზოგადოების უფლებათა დაცვა მომთხოვეს. ძალიან მძიმე მდგომარეობაში აღმოვჩნდი. უნდა ვაღიარო, რომ სულმა წამძლია და შემოსავალზე უარი ვერ ვთქვი, მაგრამ გამოსავალი მოვნახე: **ლგბტ პირების უფლებებს კეთილსინდისიერად ვიცავდი, თუმცა, ყოველ ლექციას ვასრულებდი სიტყვებით, რომ ჩემი პირადული მიდგომა ამ საკითხის მიმართ იყო უარყოფითი!** მიმაჩნდა და მიმაჩნია, რომ ამ ადამიანების პრობლემა სამედიცინო თვალსაზრისით მხოლოდ ფსიქიატრებისა და ფსიქოლოგების დონეზეა, რომ ექიმები ვალდებულები ვართ, ამ ადამიანებს დავეხმაროთ და არა ხელი შევუწყოთ! **მედიცინას ურჩევნია, რომ ქალი ქალად დარჩეს, კაცი — კაცად!**

*ესაუბრა*
***ზაზა დავითაია***




# „მე, პირადად, მომხრე ვარ, ადამიანი იმად დარჩეს, რაც ბუნებამ უბოძა“





# ულფეთ ფუტკარაძე:
# სიცოცხლე უნდა გიხაროდეს!

***სტატისტიკის მიხედვით, საქართველოში, კერძოდ, აჭარაში 100 და ას წელს გადაცილებული 50 ადამიანი ცხოვრობს, მათ შორისაა ულფეთ ფუტკარაძე, რომელსაც ამა წლის 1 ივლისს 103 წელი უსრულდება:***

— დაბადებული ვარ 1921 წელს. ზაფხულში, 1 ივლისს, 103 წელი მისრულდება. თავს კარგად ვგრძნობ, მაგრამ წლებს თავისი მიაქვს, ახალგაზრდობას არაფერი შეედრება, სიცოცხლე ტკბილია.

**— გული ბერდება?**

— არა, გული არ ბერდება, მაგრამ ცოტა ყურთ დამაკლდა. რაც თავი მახსოვს, მგონი, ერთხელ ვიყავი ავად, ყოველთვის ენერგიული და ხალისიანი გახლდით, განწყობით ახლაც ასეთივე ვარ, ტელევიზორში გავიგონებ თუ არა მუსიკის ხმას, ცეკვის სურვილი მიჩნდება, განსაკუთრებით მიყვარს აჭარული „განდაგანა“, ხალხური სიმღერები. ახლა ფეხი მაქვს მოტეხილი და ცეკვა არ შემიძლია. მეკითხებიან ხოლმე — **საუკუნეს რომ გადააბიჯე, როგორი გზა გაიარე, ხანგრძლივი ცხოვრების მიზეზი რა არისო?** ვპასუხობ: **კარგი განწყობა, სიცოცხლე უნდა გიხაროდეს, უნდა მიირთვა სუფთა და სახლში შენი ხელით მომზადებული საჭმელი.**

**— რას ამზადებდით ხოლმე?**

— რძის ნაწარმს ვამზადებდი ძალიან სუფთად, მიყვარდა კარგად შეკმაზული ლობიო. ხილიდან — ვაშლი, მსხალი, ქლიავი, ყურძენი და კაკალი. ვცხოვრობდი შუახევის რაიონში, შუბანის თემში, სოფელ ტომაშეთში. ჩემი სოფელი მთიან ადგილზე მდებარეობს, ძალიან ლამაზია, ჰაერი სუფთაა და მაცოცხლებელი, თითქმის მთელი ცხოვრება იქ გავატარე. ერთხელ ახალციხეში წამიყვანეს, იქაც ძალიან კარგი ბუნება და ჰაერი იყო, მესიამოვნა, ახლაც მახსოვს. ხშირად გაისეირნეთ სუფთა ჰაერზე, როგორც კარგი საკვების მიღებაზე, ისე იზრუნეთ ამაზე.

**— თქვენმა მშობლებმაც საუკუნე იცხოვრეს?**

— დედაჩემმა იცოცხლა 103 წელი, მამა 85 წლის გარდაიცვალა. ჩემმა ქმარმა იცხოვრა 65 წელი. ჩემი ქალიშვილობის გვარია **ხიმშიაშვილი,** ძალიან ახალგაზრდა გამათხოვეს, ოთხი შვილი შემეძინა, ახლა ორი გარდაცვლილია. ჩემი ქმარი **ისუფ ფუტკარაძე** ფერმის გამგე იყო, კოლექტივში ბრიგადირადაც მუშაობდა. 15 წელი ვიმუშავე საავადმყოფოში, სანიტარი ვიყავი, ძირითადად კი, სახლში ვდიასახლისობდი და ოჯახს ვუვლიდი. მყავს 31 შვილთაშვილი. 10 წელია, რაც ჩვენი სოფელი დავტოვეთ და ხელვაჩაურში ჩამოვედით, ამ სოფელს ჰქვია მედინის წყალი.

**— 21-ე საუკუნეს როგორ შეაფასებთ?**

— ძალიან მომწონს ახლანდელი ცხოვრება, ვერც კი შევადრი ადრინდელ გაჭირვებას. ჩემს სოფელში არ იყო გზა, არც — სინათლე და ფეხით გვიწევდა ძალიან დიდი მანძილის გავლა ტალახში. ამის გამო არ მიყვარდა ზამთარი, მიხაროდა გაზაფხულის მოსვლა და სითბო. ამ საუკუნეში კი ყველაფერია ბედნიერი ცხოვრებისთვის, სახლებში არის სინათლეც, გზებიც კეთდება, შეგიძლია, ისწავლო, იმუშავო... ადრე ასე არ იყო, გოგოებს ძალიან ახალგაზრდებს ათხოვებდნენ და მერე მთელი ოჯახის მოვლა მათზე გადადიოდა, სწავლას ვეღარ ახერხებდნენ.

მადლობელი ვარ ჩემი შვილების, შვილიშვილებისა და შვილთაშვილების, არ მაკლებენ ყურადღებას, ზრუნვას. თქვენც მადლობა, რომ მელაპარაკეთ. ყველას გითვლით მოკითხვას და გისურვებთ ჯანმრთელობას!

*ესაუბრა*
***ქეთევან ხამიცაშვილი***

23




# შევარდნაძის საიდუმლო


რონალდ რეიგანი და ედუარდ შევარდნაძე

## რა ანეკდოტი მოუყვა შევარდნაძემ რეიგანს მარგარეტ ტეტჩერზე


მარგარეტ ტეტჩერი და რონალდ რეიგანი

დასაწყისი იხ. „ა-დ“. 2023 წლის №46-49, 51-52, 2024 წლის №1-15

***ალბათ, ბევრ ჩვენგანს სმენია — ისეთი განცდა მაქვს, საქართველოს ისევ შევარდნაძე მართავსო, ანუ 1972 წლიდან მოყოლებული, როდესაც შევარდნაძე საბჭოთა საქართველოს ლიდერი გახდა, უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია, საქართველოში ყველაფერი თითქოს სწორედ შევარდნაძის გარშემო ტრიალებს — მისი გარდაცვალებიდან ლამის ათწლეულის გასვლის შემდეგაც კი. ამიტომ იმის გააზრება, ამ 50 წლის განმავლობაში რა მოხდა, რა ხდება და რა მოხდება მომავალში, სწორედ „შევარდნაძის საიდუმლოს“ ამოხსნით თუ შეიძლება.***

ჩვენში ბევრს ჰგონია, რომ **გორბაჩოვმა** საბჭოთა კომპარტიის გენსეკად არჩევიდან ორ თვეში **შევარდნაძე** იმიტომ წაიყვანა მოსკოვში, რომ საბჭოთა კავშირის დანგრევა ჰქონდა ჩაფიქრებული და ამ საქმეში იგი მისი თანამოაზრე იყო! რა თქმა უნდა, ამხელა იმპერიის ლიდერი **გორბაჩოვი** თვითმკვლელი არ ყოფილა — მას, უბრალოდ, საბჭოთა იმპერიის გადასარჩენად მისი მოდერნიზაცია სურდა, რადგან ამერიკასთან ცივ ომში საბჭოეთი, უზარმაზარი სამხედრო ხარჯების გამო, ღატაკდებოდა და გარდაუვალი მარცხისთვის იყო განწირული!

ჰოდა, ცეკა-პოლიტბიუროში სწორედ იმიტომ შეჩერდნენ **გორბაჩოვის** კანდიდატურაზე, რომ ის, **ბრეჟნევ-ანდროპოვ-ჩერნენკოებისგან** განსხვავებით, ახალგაზრდა და შრომისუნარიანი იყო და ჰქონდა ჩიხში შესული ქვეყნის მოდერნიზაციის პოტენციალი:

***„კონსტანტინე ჩერნენკო 1985 წელს გარდაიცვალა. სიცოცხლის ბოლოს მის მოვალეობას უკვე მისივე აპარატი ასრულებდა. მას, მძიმე ავადმყოფს, აიძულებდნენ, სადღაც გამოჩენილიყო და რაღაც ეთქვა, მონაწილეობა მიეღო არჩევნებში და ა.შ. ეს სცილდებოდა ყოველგვარ ადამიანურობას. ხალხი დაიღალა მოხუცი და მძიმედ ავადმყოფი ლიდერების ცქერით და როდესაც მიხეილ გორბაჩოვი, 53 წლის ენერგიული და ევროპული ტიპის ლიდერი აირჩიეს პარტიის ცეკას გენერალურ მდივნად, ქვეყანამ შვებით ამოისუნთქა“*** *(ე. შევარდნაძე, „ფიქრი წარსულსა და მომავალზე“, გვ. 116).*

შვებით ამოსუნთქვისა რა მოგახსენოთ, მაგრამ **გორბაჩოვის** დანიშვნამ ხალხი მართლაც იმედით აღავსო — იმედით, რომ ქვეყანაში რაღაც უკეთესობისკენ შეიცვლებოდა!

ისიც ნიშანდობლივია, რომ **შევარდნაძე** ამ მემუარების წერის დროსაც კი, ანუ იმ მოვლენებიდან 20 წლის შემდეგაც, ქება-დიდებას არ იშურებს გორბაჩოვისადმი:

***„მიხეილ გორბაჩოვი არაორდინარული პიროვნება გახლდათ, საბჭოთა ხელმძღვანელის ახალი ტიპი, ენამჭევრი, განათლებული და კარგი გემოვნების მქონე. იგი გრძნობდა დროის მოთხოვნას. თუ რამ იყო ღირებული წარსული თაობის პოლიტიკოსებისგან, აიღო და თავისი თაობის პოლიტიკოსებთან ერთად შექმნა საბჭოთა საზოგადოების, საბჭოთა ქვეყნის გარდაქმნის სრულიად ახალი კონცეფცია.*** *ის ითვალისწინებდა ძირეულ ცვლილებებს როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაში. ეს ცვლილებები, პირველად საბჭოთა კავშირის არსებობის ისტორიაში კომუნისტური იდეოლოგიის რევიზიას ისახავდა მიზნად.* ***მაშინ ბევრი კითხულობდა: „რას ნიშნავს „გარდაქმნა“, „საჯაროობა“? ეს ხომ სოციალიზმზე უარის თქმაა? მართლაც ასე იყო, მაგრამ ამის ხმამაღლა განცხადება მაშინ არაფრით შეიძლებოდა“*** *(იქვე, გვ. 116).*

დიახ, **გორბაჩოვისეული ე.წ. „გარდაქმნა“** სოციალისტურიდან კაპიტალისტურ წყობილებაზე გადასვლას გულისხმობდა, მაგრამ უბედურებაც ის იყო, რომ ამის ასე პირდაპირ თქმა ხალხისთვის, რომელსაც 70 წელი თავში უტენიდნენ, რომ სოციალისტური ხუთწლედების გეგმის შესრულება კაცობრიობის განვითარების ერთადერთი უნიკალური საშუალებაა, ხოლო კაპიტალიზმი სიბილწე და უკეთურობაა, წარმოუდგენელი იყო!

მემუარისტი იხსენებს, როგორ აქებდა **გორბაჩოვს** თვით **ანდრეი გრომიკო** — საბჭოთა კავშირის ლეგენდარული საგარეო საქმეთა მინისტრი — აი, ის, გორბაჩოვმა შევარდნაძით რომ ჩაანაცვლა:

***„როდესაც 1985 წლის კომპარტიის ცეკას მარტის პლენუმმა გორბაჩოვი გენერალურ მდივნად წამოაყენა, ანდრეი გრომიკომ მასზე თქვა:*** *„ამხანაგებო, ამ ადამიანს კარგი ღიმილი და რკინის ხელი აქვს“.* ***გორბაჩოვმა იცოდა ხალხთან ურთიერთობა, იცოდა კარგი მუშაობაც და კარგი იუმორის ფასიც. იმხანად გახმაურდა ლენინგრადის ეპიზოდი: ლენინგრადში ყოფნისას გორბაჩოვს ხალხი შემოეხვია, ერთ-ერთმა ქალმა უთხრა:*** *„იყავი ახლოს ხალხთან და ჩვენ არ დაგაღალატებთ“.* ***მან ღიმილით უპასუხა:*** *„ამაზე ახლოს როგორღა ვიყო?“ (იქვე, გვ. 117).*

**შევარდნაძე** ასე იხსენებს საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის რანგში მის პირველ თათბირს დიპლომატიურ უწყებაში:

***„სამინისტროში მისვლისთანავე, ჩემს შესახვედრად შეკრებილ მინისტრის მოადგილეებს გულახდილად განვუცხადე: „მეტად ძნელ მდგომარეობაში ვარ. საგარეო პოლიტიკის სფეროში დიდი ცოდნით ვერ გაგაკვირვებთ, მაგრამ იმას კი შეგპირდებით, რომ ისე ვიმუშავებ, არც მე შევირცხვინო თავი თქვენ წინაშე და არც თქვენ შეგრცხვეთ ჩემ გამო. ეს განსაკუთრებით ძნელი იქნება ისეთი ავტორიტეტის ფონზე, როგორიც ანდრეი ანდრეევიჩი იყო. იგი ხომ საგარეო პოლიტიკის კრეისერია, მე კი მასთან შედარებით ნავი ვარ, ოღონდ მოტორიანი“*** *(იქვე, გვ. 117).*

რა-რა და, **შევარდნაძეს** იუმორი არ ესწავლობოდა და, როგორც ჩანს, ამან ბევრს მოულბო გული საბჭოთა დიპლომატიის პირქუშ სამჭედლოში! იქ, **შევარდნაძის** გადმოცემით, კიდევ კარგა ხანს ხუმრობდნენ — **შევარდნაძე მოტორიანი ნავი კი არის, მაგრამ მოტორიანი წყალქვეშა ნავიც არის, ბირთვული რაკეტებითო!**

ტიპური დერჟიმორდული იუმორია, თუმცა, რაც შეეძლოთ, ეს არის...

შემდეგ **შევარდნაძე** იხსენებს 1985 წლის სექტემბერში გაეროს გენერალური ასამბლეის სხდომაზე, ნიუ-იორკში პირველი ვიზიტისას, მის პირველ შეხვედრას ამერიკის მაშინდელ პრეზიდენტთან **რონალდ რეიგანთან,** ვიცე-პრეზიდენტთან **ჯორჯ ბუშთან** და სახელმწიფო მდივანთან **ჯონ შულცთან.** რეიგანი ანეკდოტების შეუდარებელი მთხრობელი იყო და ამერიკაში საბჭოთა **ელჩი დობრინინი** თურმე, შეუჩნდა შევარდნაძეს, თქვენც უნდა მოჰყვეთ რამე შთამბეჭდავი ანეკდოტიო:

***„მაშინ ის პოლიტიკური ანეკდოტი გამახსენდა, მარგარეტ ტეტჩერი ღმერთს იქით რომ შეედავა: „ღმერთმა დაიბარა რეიგანი, გორბაჩოვი და ტეტჩერი ანგარიშის ჩასაბარებლად. რეიგანს ჰკითხა:***

*— როგორ არის საქმე?*

*— კარგად, ხუთი-ექვსი სამუშაო ადგილი შევქმენი, —* ***უპასუხა რეიგანმა.***

*გორბაჩოვი:*

*— „პერესტროიკის“ საქმე კარგად მიდის, დემოკრატია ვითარდება.*

***ბოლოს ტეტჩერს მიუბრუნდა:***

*— შენი საქმეები როგორ არის, შვილო ჩემო?*

*— კარგად, მაგრამ მთავარი ეს სულაც არ არის. ჯერ ერთი, მე შენი შვილი არ ვარ, მეორეც — შენ ჩემს ადგილზე ზიხარ“.*

***დიდი არაფერი, მაგრამ რეიგანმა, ეტყობა, არ იცოდა. ბევრი იცინა და ათჯერ მაინც მომაყოლა“*** *(იქვე, გვ. 120).*

**შევარდნაძე** იქვე აღნიშნავს, რომ **ტეტჩერი** გამორჩეული პოლიტიკოსი და მტკიცე ხასიათის მოღვაწე იყო — თითქოს მოიბოდიშებს, რომ ასე არადიპლომატიურად მოიხსენია ის ზემოხსენებულ ანეკდოტში.

დაბოლოს, მემუარისტის თქმით, სწორედ 1985 წლის სექტემბერში გაეროს გენერალური ასამბლეის სხდომაზე ჩაეყარა საფუძველი ავღანეთიდან საბჭოთა ჯარების გამოყვანას:

***„ჩემი ის პირველი გამოსვლა გაეროს სესიაზე საბჭოთა საგარეო პოლიტიკის ჩვეულებრივ სტილში იყო. მაშინ, როდესაც შულცმა თავის გამოსვლაში თქვა, რომ „საბჭოთა ჯარის გამოყვანა ავღანეთიდან, რასაც გაერო სისტემატურად ითხოვს, ავღანეთის პრობლემას გადაჭრიდა“, გულში დავეთანხმე, რადგან იქ ჯარების შეყვანის წინააღმდეგი მე და გორბაჩოვი თავიდანვე ვიყავით, მაგრამ ჩვენ ვინ გვკითხა. მაშინ ორმა კაცმა მიიღო გადაწყვეტილება ავღანეთში ჯარის შეყვანის შესახებ — ბრეჟნევმა და საბჭოთა კავშირის იმდროინდელმა თავდაცვის მინისტრმა“*** *(იქვე, გვ. 121).*

რა თქმა უნდა, **გორბაჩოვს** მაშინ გაეროს მოთხოვნებზე მეტად ის უფრო აღელვებდა, რომ ავღანეთის ომი უმძიმეს ტვირთად აწვებოდა ჩამოშლის პირას მყოფ საბჭოთა ეკონომიკასა და ბიუჯეტს და ამიტომაც ფიქრობდნენ კრემლში, რაც შეიძლება დროულად მოეხსნათ ეს ტვირთი, ქვეყანას უფსკრულისკენ რომ მიაქანებდა.

***გიორგი გიგაური***

***გაგრძელება იქნება***

*ცნობილი ჰომეოპათი, ექიმი კახა საბახტარიშვილი აცხადებს, რომ ენის გამოკვლევით უამრავი პათოლოგიის დიაგნოსტირება შეიძლება:*

# კახა საბახტარიშვილი: ენაზე ნადების წარმოქმნა იმუნიტეტის დაქვეითების პირველი ნიშანია!






**კახა საბახტარიშვილი** — ექიმი ნევროპათოლოგი, საერთაშორისო ჰომეოპათიური ლიგის წევრი, საქართველოს ეკოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. გასული საუკუნის 80-იან წლებში იყო კიბოს საწინააღმდეგო პრეპარატ **„კატრექსის“** ავტორის **ალექსანდრე გაჩეჩილაძის** მიერ შექმნილი **საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი საიდუმლო სამეცნიერო ლაბორატორიის მთავარი ექიმი,** ქალაქ თბილისის №13 პოლიკლინიკის დირექტორი. აქვს გამოქვეყნებული 7 წიგნი და 1 მონოგრაფია, 50 სამეცნიერო სტატია. მსოფლიო აღიარება მოიპოვა მისი ხელმძღვანელობით შექმნილმა წამლებმა **„გულის ელექსირი ფორტე“, „ტონზილინი“ და „იმუნო ჰერბი-ფორტე“,** რომლებსაც ათასობით ადამიანი ღებულობს როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

**თბილისი, ვაჟა-ფშაველას 43, მეტროსადგური „დელისი“ (პროფკავშირების სახლი). 593 31 70 34; ფეისბუქი: „კახა საბახტარიშვილის ჯანმრთელობის ცენტრი“ და „ლაზიკა-ფარმა“**

— არსებობს ასეთი გამოთქმა — **„თვალი სულის სარკეა!“,** ანუ, თუ გინდა, ადამიანის სულს ჩასწვდე, თვალებში უნდა ჩახედო. ამის შესახებ ბევრმა იცის, მაგრამ ბევრისთვის უცნობია ის ფაქტი, რომ **ენა არამარტო მეტყველების ორგანო, არამედ ჯანმრთელობის სარკეა.** ენაზე დაკვირვებით უამრავი იმ დაავადების გამოცნობაა შესაძლებელი, რომელიც ადამიანს ჭირს. ძველი დროის ექიმები პაციენტის გამოკვლევას სწორედ ენის დათვალიერებით იწყებდნენ, დღეს რატომღაც ეს წესი უგულებელყოფილია. არადა, ენის ფერის, ფორმისა და ენაზე არსებული ნადების მეშვეობით უამრავი პათოლოგიის დიაგნოსტიკა არის შესაძლებელი.

**— მაინც რას გვეუბნება ადამიანის ენა?**

— **ჯანმრთელი ადამიანის ენა მკრთალი ვარდისფერია და შუაში, ენის გასწვრივ, თანაბარი ღარი მიუყვება. ენა რბილია და თავისუფლად მოძრაობს. ენის დვრილები, რომლითაც გემოების გარჩევა ხდება, კარგად ჩანს.** დილით, უზმოზე, ენა შესაძლოა, თხელი ნადებით იყოს დაფარული, რაც ბუნებრივია, რადგან ღამის განმავლობაში, უჟანგბადო გარემოში, პირის ღრუში არსებული ბაქტერიები მრავლდება და სწორედ ისინი ქმნიან ამ ნადებს. ეს ნადები ენას ძალიან ადვილად შორდება, მაგრამ, თუ ნადები სქელია და მისი მოშორება ჭირს, მაშინ საქმე გვაქვს პათოლოგიასთან.

**— მაინც რომელ პათოლოგიასთან?**

— საერთოდ, ენაზე ნადების წარმოქმნა იმუნიტეტის დაქვეითების პირველი ნიშანია! **გამორიცხული არ არის, ენაზე სქელი ნადები შაქრიანი დიაბეტის პირველი ნიშანიც იყოს.** დიაბეტის დროს, მოგეხსენებათ, სისხლში შაქრის დონე მომატებულია. შაქარი კი შესანიშნავი საკვებია სოკო კანდიდასათვის. პირის ღრუში სოკოები ან საერთოდ არ უნდა იყოს, ანდა ძალიან მცირე რაოდენობით, მაგრამ, თუ შაქარი მომატებულია, ცხადია, ასეთ დროს სოკოები პირის ღრუშიც მრავლდება, რომლებიც ენაზე თეთრ სქელ ნადებს ქმნიან. თუმცა, ენაზე წარმოქმნილი თეთრი სქელი ნადები შესაძლოა, კუჭ-ნაწლავის პრობლემებთანაც იყოს დაკავშირებული, რაც განსაკუთრებით გამოხატულია შეკრულობის დროს.

ჩინური მედიცინის თანახმად, ენა სამ ნაწილად იყოფა — ენის ფესვი, სხეული და წვერი. ფესვი ენის უკანა ნაწილია და, იმავე ჩინური მედიცინის მიხედვით, შეესაბამება სხეულის ქვედა ნაწილს. ენის სხეული შეესაბამება ადამიანის სხეულის შუა ნაწილს, ხოლო ენის წვერი — ზედა ნაწილს.

მიჩნეულია, რომ ადამიანის ყველა ორგანოს ენის ზედაპირზე თავისი წარმომადგენლობა, ანუ საელჩო აქვს. ასე, მაგალითად, ენის წვერი გულსა და ფილტვებს წარმოადგენს, გვერდებზე ღვიძლი და ნაღვლის ბუშტია, ცენტრში — კუჭ-ნაწლავი და ელენთა, ხოლო ენის ძირში — ნაწლავები და შარდსასქესო ორგანოები. ენის რომელი ნაწილიც არის დაფარული ნადებით, ე.ი. მის შესაბამის ორგანოს აქვს პრობლემა.

მაგალითად, **ენის შუაგულში წვრილი ნადები** გასტრიტის მანიშნებელია; **თუ ასეთი ნადები სქელია,** მაშინ გასტრიტი გართულებულია და ქრონიკული გახდა; **ენის ძირში ნადების წარმოქმნა** ნაწლავის ანთებაზე მიგვანიშნებს; **რუხი ფერის ნადები** კუჭსა და ნაწლავებში შეუმჩნევლად მიმდინარე ქრონიკული დაავადების მანიშნებელია, ხოლო, **თუ ენაზე ყვითელი ან შავი ნადები** გაჩნდა, რომელიც ერთი კვირის განმავლობაში არ გადის, ეს იმის ნიშანია, რომ ღვიძლი და ნაღვლის ბუშტი სასწრაფოდ უნდა გამოვიკვლიოთ! ცხადია, აქ არ ვგულისხმობთ იმ შემთხვევას, როცა ადამიანი მწეველია და ნიკოტინისგან ენაზე მუდმივად აქვს ყვითელი ნადები.




**„გამორიცხული არ არის, ენაზე სქელი ნადები შაქრიანი დიაბეტის პირველი ნიშანიც იყოს!“**



**— ენის შეცვლილი ფერი რა და რა პათოლოგიებზე მიგვანიშნებს?**

— თუ ენა ფერმკრთალია, ეს შესაძლოა, გულის უკმარისობის, ანდა B12 ვიტამინის ნაკლებობით გამოწვეული ანემიის ნიშანი იყოს. საერთოდ, ყურადღებას ამახვილებენ **რკინადეფიციტურ ანემიაზე** და ყურადღების მიღმა რჩებათ ის ფაქტი, რომ ანემია შესაძლოა, B12 **ვიტამინის დეფიციტითაც იყოს გამოწვეული.** საქმე ის გახლავთ, რომ B12 ვიტამინის გარეშე სისხლის წითელი ბურთულების, ჰემოგლობინის წარმოქმნა არ ხდება, ხოლო, სადაც ჰემოგლობინის ნაკლებობაა, იქ ჟანგბადის ნაკლებობაცაა, რადგან ჟანგბადი ორგანიზმში სწორედ ჰემოგლობინს გადააქვს. აქედან გამომდინარე, ვისაც ფერმკრთალი ენა აქვს, აუცილებლად შეიმოწმოს გული და გაარკვიოს, აქვს თუ არა B12 ვიტამინის დეფიციტი!

**„ვისაც ფერმკრთალი ენა აქვს, აუცილებლად შეიმოწმოს გული და გაარკვიოს, აქვს თუ არა B12 ვიტამინის დეფიციტი!“**






**ყვითელი ან რუხი ფერის ენა აქვთ:**

**1.** მწეველებს;

**2.** ღვიძლსა და ნაღვლის ბუშტზე პრომლემების მქონე ადამიანებს;

**3.** კუჭ-ნაწლავის პათოლოგიების მქონეთ.

**განგაშის ზარი უნდა შემოჰკრათ, თუ ენა გაშავდა. ეს ნიშნავს:**

**1.** ღვიძლსა და ელენთაში არსებულ სერიოზულ პრობლემებს;

**2.** დიზენტერიას;

**3.** ორგანიზმში სერიოზული ვირუსული ინფექციის არსებობას.

თუ ენამ **მოცისფრო შეფერილობა** მიიღო, ეს შესაძლოა, სისხლის ცუდი მიმოქცევის მანიშნებელი იყოს. **თეთრი ფერის** ენა სოკოს ან გაუწყლოების მანიშნებელია. ზოგიერთი დაავადების განსაზღვრა ენის ფორმისა და ზომის მიხედვითაც შესაძლებელია. ენა, ფაქტობრივად, კუჭ-ნაწლავის გაგრძელებაა. უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, **კუჭ-ნაწლავი ენიდან იწყება!**

**— შესაძლებელია თუ არა ენის გადიდება ან დაპატარავება?**

— შესაძლებელია! D ვიტამინის დეფიციტი თუ რა დიდ პრობლემებს ქმნის, ამის შესახებ ბევრჯერ გვითქვამს. მკითხველს შევახსენებ, რომ D ვიტამინი ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე 27 ათას პროცესში მონაწილეობს. ასევე განუზომელია კალციუმის როლიც. ენა მსხვილი ან ფართო ხდება კალციუმისა და D ვიტამინის დეფიციტის დროს. თუ ენა შეშუპდა და გადიდდა, ეს იმას ნიშნავს, რომ პრობლემა ან ენდოკრინულ სისტემაშია, ანდა — კუჭ-ნაწლავში. **ენა ზომაში იკლებს და უეცრად იკუმშება ორგანიზმის გამოფიტვის ან ცენტრალური ნერვული სისტემის დაზიანების დროს.**

**— პირის ღრუში უსიამოვნო შეგრძნება, ენის სიმშრალე, ტკივილი და ქავილი რას ნიშნავს?**

— ენის სიმშრალეს **ქსეროტომია** ეწოდება. ის შესაძლოა, იყოს დიაბეტის, მაღალი ტემპერატურის, გაუწყლოების ან კუჭ-ნაწლავის პრობლემების ნიშანი. თუ ეს სიმშრალე დიდი ხნის განმავლობაში გაგრძელდა, ენა მუქი გახდება და მასზე ნახეთქები წარმოიქმნება. **ენის ქავილი და წვა შესაძლოა, ანემიის, კუჭის წვენის მაღალი სიმჟავის ან პირის ღრუში სოკოს არსებობის ნიშანი იყოს. რაც შეეხება ენის ტკივილს, ამ პრობლემას ძირითადად სამი რამ იწვევს — კუჭ-ნაწლავი, ნევროლოგიური დარღვევები და ცვლილებები ენდოკრინულ სისტემაში.**

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

**„თუ ენაზე ყვითელი ან შავი ნადები გაჩნდა, ეს იმის ნიშანია, რომ ღვიძლი და ნაღვლის ბუშტი სასწრაფოდ უნდა გამოვიკვლიოთ!“**

# მერაბ კოსტავას მეუღლის

*დასაწყისი იხ. „ა-დ“. 2024 წლის №10-15*

***რუსუდან ბერიძე შარშან 83 წლის ასაკში მიაბარეს მიწას. ტრაგიკულად შეწყდა მისი ერთადერთი შვილის, 24 წლის პოეტ ირაკლი კოსტავას სიცოცხლე. მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტად. 1992-95 წლებში იყო საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერი. ისტორიას შემორჩა მისი სევდიანი დღიური, რომელსაც „ასავალ-დასავალის“ მკითხველი დიდი ინტერესით ეცნობა. საქართველოს ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას მეუღლემ მისი დაღუპვის შემდეგ 33 წელი იცოცხლა.***



## რუსუდან ბერიძე:

## მე ეს ყველაფერი დღევანდელი დღისთვის არ დამიწერია, მე მინდა, ეს ყველაფერი დავტოვო, ჩემი სიკვდილის შემდეგ, შეიძლება, მომავალი თაობებისთვის ეს საინტერესო იყოს!

**1986 წლის დეკემბერში მერაბი უკვე ქსნის ტუბზონაშია. ქსნის ტუბზონიდან ერთად ორი წერილი მოგვივიდა 28 დეკემბრის და 1987 წლის 1 იანვრის.**

●

***გამარჯობა ჩემო რუსუდან ქსნის ტუბზონიდან გწერ.***
*აქაური მისამართია: მცხეთის რაიონი, სადგური ქსანი ს.ზ.კ.-30, მერაბ კოსტავას. შეგიძლიათ ნებისმიერ დღეს ჩამოხვიდეთ პირად პაემანზე. ჯერჯერობით მეტს არაფერს გწერთ. მომიკითხეთ ყველა ახლობელი.*

***გკოცნით. მერაბი***
**28.12.1986 წ.**

●

***გამარჯობა რუსუდან***
*მოკლედ ქსნის ტუბზონაში ვიმყოფები. მისამართს გიმეორებთ:* ***მცხეთის რაიონი, სადგური ქსანი, ს.ზ.კ-30.*** *წერილებს ველოდები. მომწერეთ კონკრეტულად, შენ და ოლიკო როგორა ხართ, პაემნისა რა ისმის, ან რას აპირებთ. ტუბზონა ჩინებულ ადგილზე იმყოფება, მთებით შემოჯარული, შიომღვიმის მონასტრიდან ორ-სამ კილომეტრზე, ჰაერი სუფთა.*
*სხვა რა მოგწეროთ. დანარჩენს პირადად გეტყვით, როცა შეგხვდებით. გრძელი წერილი გრძელი მანძილით დაშორებულებს შეჰფერით. თბილისამდე კი ერთი საათის სავალი გზაა.*
*მოკითხვა დამიბარებია დედაშენთან, ყველა ახლობელთან.*
*გკოცნი.*

**მერაბი**
***7.1.1987***

ეს უკვე თითქმის თავისუფლებას ნიშნავდა. ქსნის ტუბზონაში ჩასვლა ყოველთვის შეიძლებოდა. თავისუფლად შეიძლებოდა, მიგეტანა საჭმელი, ტანსაცმელი, წამალი, ფული. რაც მთავარია, მერაბი უკვე საქართველოში იყო, ირგვლივ პატიმრები, მაგრამ ქართველი პატიმრები იყვნენ.

**მერაბის განთავისუფლება ახლოვდებოდა. მე ახლა უკვე ბოლომდე ვასრულებდი ჩემს მოვალეობას, ქსანში ყოველ კვირას დავდიოდი და ამანათი მიმქონდა, მაგრამ ჩვენი ურთიერთობა უკვე დამთავრებული იყო ჩემთვისაც და, ალბათ, მისთვისაც.**

ქსანში უკვე მეგობრები და ახლობლები აკითხავდნენ. უკვე ეჭვი არ ეპარებოდა, რომ მალე გაათავისუფლებდნენ.

**რუსეთში „გლასნოსტის“ და „პერესტროიკის“ თავბრუდამხვევი წლები კი იყო, მაგრამ საქართველოში ჯერ არაფერი იძვროდა.**

ქალბატონი**მედეა ჯაფარიძე** მივიდა ცეკას მაშინდელ პირველ მდივანთან **ჯუმბერ პატიაშვილთან** და მერაბის განთავისუფლება სთხოვა. **ნიადაგი ამისთვის უკვე მომზადებული იყო პოლიტიკური სიტუაციით და ჯ. პატიაშვილი დაჰპირდა ქალბატონ მედეას, რომ მერაბს გაათავისუფლებდნენ.**

აქ რამდენიმე სიტყვა ქალბატონ **მედეა ჯაფარიძეზე.** ქალბატონი მედეა რომ ღვთაებრივად ლამაზი ქალბატონი იყო, ეს მთელმა საქართველომ იცის და ლეგენდა მის სილამაზეზე თაობებსაც გადაეცემა. მაგრამ ქალბატონი მედეა უმშვენიერესი სულის პატრონი, კეთილი, თბილი, ყველას ტკივილის გამზიარებელი და მშველელი იყო.

მედეა ჯაფარიძის პირველი მეუღლე მერაბის ბიძა **გრიგოლ კოსტავა** იყო. მერაბი დაიბადა და იზრდებოდა მედეას თვალწინ. ამიტომ განსაკუთრებულად უყვარდა იგი. მერაბის მთელი პატიმრობის პერიოდში, მიუხედავად იმისა, რომ ეს საშიში იყო მისთვის და მისი ოჯახისთვის, ქალბატონი მედეა ხშირად მიდიოდა ოლიკოსთან; ირაკლი მათ ოჯახთან მეგობრობდა და ხშირად დადიოდა მედეას ვაჟთან **ლაშა თაბუკაშვილთან.** ირაკლის გარდაცვალება მთელმა ოჯახმა საკუთარ ტრაგედიად განიცადა.

მე თვითონ ძალიან ხშირად მივდიოდი ქალბატონ მედეასთან, როცა მე ძალიან მიჭირდა სულიერად, ის ცდილობდა, გავემხნევებინე. მერე თვითონ მას გაუჭირდა. ბატონი რეზო თაბუკაშვილი მძიმე სენით დაავადდა და მაშინ მე ვცდილობდი, თანაგრძნობა გამომეხატა. **ბატონი რეზოს** სიკვდილის შემდეგ დიდხანს აღარ უცოცხლია. ჩაიფერფლა. ბოლო დღემდე სულიერი და გარეგნული სილამაზის ხატებად დარჩა.

●

**1987 წლის 1 მაისს** მერაბი გაათავისუფლეს. ეს ისე მოულოდნელად მოხდა, რომ ჩაკითხვა და წამოყვანა ვერ მოვასწარით. თვითონ ჩამოვიდა, ჯავახიშვილზე მივიდა და იქიდან დამირეკა. **მე ვთხოვე, ვაკის სასაფლაოზე მოსულიყო და ირაკლის საფლავთან შევხვედროდით ერთმანეთს.**

მოვიდა. საფლავი ძალიან მოეწონა (ირაკლის საფლავის პროექტი ჩემმა ბიძაშვილმა, არქიტექტორმა **გოგა ბერიძემ** გააკეთა. როგორც თვითონ მომიყვა, მთელი ღამე ირაკლის ლექსებს კითხულობდა და განთიადისას თითქოს ვიღაცამ უკარნახა საფლავის პროექტის იდეა. შემდეგში **მერაბის საფლავი მთაწმინდაზე აგრეთვე გოგას პროექტით გაკეთდა.** თუმცა, მერაბის საფლავიც კარგად არის გაკეთებული, მაგრამ ირაკლის საფლავი მაინც გოგასთვის, ჩემი აზრით, შედევრად დარჩა).

მერაბი მხნედ გამოიყურებოდა. ეტყობოდა, რომ სიცოცხლით და თავისუფლებით ტკბებოდა. **„იცი, რუსუდან, მე ჩემი ბედის უკმაყოფილო სულ არა ვარ“.** მე თავზარი დამეცა. საფლავისკენ გავიშვირე ხელი. **„ჰო, თუ ამას არ მივიღებთ მხედველობაში“.** მე კიდევ წამოსვლისას ვალიდოლი ჩავიდე ჩანთაში, პირველად მიდის შვილის საფლავზე და რაიმე არ მოუვიდეს-მეთქი.

ბოლო წერტილი დაისვა ჩვენს ურთიერთობაში. **„მერაბ,** — ვუთხარი მე, — **ამ ათი წლის განმავლობაში მე რაც შემეძლო, გვერდში გედექი. ახლა მე თვითონ ისე მიჭირს სიცოცხლე, პირიქით, სხვისგან ველი გამხნევებას. შენ ამას ვერ გააკეთებ. შენ კიდევ ზვიადთან გააგრძელებ მეგობრობას. მისი პოლიტიკური ავტორიტეტის აღდგენას შეეცდები. მე ეს დაუშვებლად მიმაჩნია. მაგრამ ზვიადთან ომის და ბრძოლის ძალა ნამდვილად არა მაქვს. მოდი, თითოეულმა საკუთარი ცხოვრებით ვიცხოვროთ“.**

არ შემკამათებია.

საღამოს მახარაძეში წავედი. სადგურზე მთვრალი მერაბი მოვიდა და მთხოვა, მატარებლიდან ჩამოვსულიყავი, იქნებ კიდევ გვეცადა ურთიერთობის აწყობა. მე უარი ვუთხარი...

●

ყველაფერი, რაც იყო, მაქსიმალურად პატიოსნად დავწერე. არ დავინდე არც საკუთარი თავი, არც მერაბი. აღვწერე მოვლენები ისე, როგორც აღვიქვამდი მაშინ. მოვიყვანე ყველა ჩემი წერილი, რომელიც მქონდა. არ შემიცვლია არცერთი სიტყვა, თუმცა, ბევრ წერილში საკუთარი თავი არ მომწონს.

მე ეს ყველაფერი დღევანდელი დღისთვის არ დამიწერია. არც წიგნის გამოცემას ვაპირებ. მინდა, ეს ყველაფერი დავტოვო, ჩემი სიკვდილის შემდეგ, შეიძლება, მომავალი თაობებისთვის ეს საინტერესო იყოს.

●

**მერაბის ჩამოსვლის შემდეგ საქართველოში აქტიური პოლიტიკური ცხოვრება დაიწყო. შეიქმნა ილია ჭავჭავაძის საზოგადოება, რომლის გამგეობის წევრები იყვნენ მერაბი, ზურაბ ჭავჭავაძე, თამრიკო ჩხეიძე** და სხვები. ზვიადი ამ ორგანიზაციაში არ შესულა, უფრო სწორად, მერაბის დაჟინებული თხოვნის მიუხედავად, არ მიიღეს. ამ პერიოდში მერაბმა **თამრიკო ჩხეიძე** გაიცნო და, ვფიქრობ, სერიოზულად იყო გატაცებული თამრიკოთი.

**თამრიკო ჩხეიძე მართალი, პატიოსანი და პრინციპული ადამიანია. განათლებული და გონიერი ქალია. გარეგნულად ძალიან ულამაზო იყო და, ცხადია, მერაბის გატაცებამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ქალაქში** (ასეთი შემთხვევა მოხდა: ირაკლის მეგობრებმა სთხოვეს ელიკოს, მიგვიყვანე ირაკლის მამასთანო. იმ დღეს თამრიკოც იყო სტუმრად მერაბთან. ჯერ მათი რომანი დაწყებული არ იყო. მერაბმა ირაკლის მეგობრები საკმაოდ ცივად მიიღო, ამიტომ ამის შემდეგ არცერთი მათგანი აღარ მისულა მერაბთან. საუბარში უთხრა ბიჭებს, რატომ ცოლებს არ ირთავთო? **აი, ასეთი ქალი უნდა შეირთოთ, როგორიც თამრიკოაო. შეხედეთ, რა ლამაზი თვალები აქვს, რა წმინდა და უბიწოაო.**

გარეთ რომ გამოვიდნენ, ირაკლის ერთმა მეგობარმა იხუმრა: **„რა „ჭკვიანური“ რჩევა მოგვცა მერაბმა — თვითონ რუსიკო ბერიძე ჰყავდა ცოლად, ჩვენ თამრიკო ჩხეიძის შერთვას გვთავაზობსო“.** თამრიკო ჩხეიძე მერაბის და ზვიადის ურთიერთობის კატეგორიული წინააღმდეგი იყო. ხმამაღალ სკანდალებს უწყობდა მერაბს ამასთან დაკავშირებით სახლშიც და ქუჩაშიც. **მერაბი ორ ცეცხლს შუა აღმოჩნდა. ზვიადი ძალიან ძვირფასი იყო მისთვის და, ეტყობა, თამრიკოსაც ანგარიშს უწევდა.**

●

საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა აზვირთებას იწყებს. **1988 წლის 6 მაისს** მოეწყო პირველი დიდი დემონსტრაცია, რომელიც ვაკის გავლით იპოდრომზე მივიდა. იქ გვიან ღამემდე გრძელდებოდა მიტინგი. დემონსტრაციას მერაბი და ზვიადი მიუძღოდნენ. ახალგაზრდობას ქართული დროშები და ქაქუცა ჩოლოყაშვილის პორტრეტები მოჰქონდა. მოახლოებული თავისუფლების სურნელმა ყველას თავბრუ დაგვახვია და ერთმანეთში აირია სიხარული, ცრემლები...

**ილია ჭავჭავაძის საზოგადოებამ იმ დღეს თავისი მიტინგი მოაწყო. მერე თავისი ჟურნალი გამოუშვა და შიგ ზვიად გამსახურდიას მონანიების მთელი ტექსტი და მოსკოვში სასამართლოს სტენოგრამა გამოაქვეყნა.** ეს ჩანასახი იყო ამბიციათა იმ ჭიდილისა, რომელმაც საბოლოოდ ქვეყანა უმძიმეს ტრაგედიამდე მიიყვანა.

მაგრამ მაშინ ამაზე არავინ არ ფიქრობდა. სრული ეიფორია სუფევდა...

**მერაბი საქართველოში ამ პერიოდში ყველაზე პოპულარული ადამიანი გახდა. მას აღიქვამდნენ როგორც გმირს და თან როგორც მხსნელს და მშველელს.** ათასობით ადამიანი მიდიოდა მასთან ჯავახიშვილის ქუჩაზე და დახმარებას სთხოვდა. მერაბიც დაჰყვებოდა ამ ადამიანებს „მაღალ“ ინსტანციებში. ამ ინსტანციებში უკვე გრძნობდნენ, რომ დრო იცვლებოდა და მერაბის თხოვნას ყველგან ანგარიშს უწევდნენ (ერთი კახელი ქალი ჩამოვიდა და დაკარგული ძროხის მოძებნაში სთხოვა, თურმე, დახმარება...).

**რუსი დისიდენტების წრე ამრეზით უყურებდა ზვიად გამსახურდიას, ქართული ინტელიგენცია არ პატიობდა ზვიადს მის მონანიებას.** ერთი მხრივ, ზვიადის, მეორე მხრივ,



ჯუმბერ პატიაშვილი და მედეა ჯაფარიძე

**ქალბატონი მედეა ჯაფარიძე მივიდა ცეკას მაშინდელ პირველ მდივანთან ჯუმბერ პატიაშვილთან და მერაბის განთავისუფლება სთხოვა. ნიადაგი ამისთვის უკვე მომზადებული იყო პოლიტიკური სიტუაციით და ჯ. პატიაშვილი დაჰპირდა ქალბატონ მედეას, რომ მერაბს გაათავისუფლებდნენ!**

# უცნობი დღიურები



მერაბ კოსტავა და თამრიკო ჩხეიძე

გია ჭანტურიას **დაჟინებული თხოვნით მერაბმა დაწერა წერილი, რომელშიც ადასტურებდა, რომ ზვიადის მონანიება მათი მოლაპარაკების შედეგი და ტაქტიკური მანევრი იყო, რომ ქართულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას ლიდერი ჰყოლოდა ზვიადის სახით, ხოლო მერაბი უნდა დარჩენილიყო მტკიცედ თავის აზრზე.** წერილში ასეთი პასაჟიც იყო, რომ ზვიადის „მისსია“ გაცილებით ძნელი იყო, ვიდრე მერაბის.

ამაზე ადრეც ვწერდი. ახლაც ვიმეორებ. **არ იყო მერაბი ის კაცი, რომელსაც ტყუილის თქმა ადვილად შეეძლო. ეს წერილი მან, ალბათ, უდიდესი შინაგანი ბრძოლის შედეგად დაწერა. მერაბი, ალბათ, ბოლომდე დარწმუნდა, რომ საქართველოს ზვიადი სჭირდება, მისი შემცვლელი ფიგურა არ არსებობს და თვითონ ზვიადის, მერაბის და, რაც მთავარია, საქართველოს საუბედუროდ ეს წერილი დაიწერა.**

1987-89 წლების მღელვარე პერიოდს თავისი აღმწერი გამოუჩნდება. მე ამ მოვლენების აქტიური მონაწილე და შემოქმედი არ ვყოფილვარ. არც პრეტენზია მაქვს, ეს ყველაფერი გავაანალიზო.

●

შეიქმნა სახალხო ფრონტი, 1988 წლის ნოემბერში ჩატარდა შიმშილობის გრანდიოზული აქცია, თითქმის ყოველდღე ტარდებოდა მიტინგები. ამბიციების ჭიდილი გრძელდებოდა. მოძრაობის ლიდერები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. მერაბი მათ შერიგებას ცდილობდა. დღეს ერთ ბანაკში გაერთიანებული ლიდერები, ხვალ მოსისხლე მტრები ხდებოდნენ. ალბათ, ამან ათქმევინა მერაბს, ციხეში ყოფნა სჯობდა ამის ცქერას, რაც აქ ხდებაო.

მერაბი ხშირად გამოდის მიტინგებზე **(კარგად გამოდის)**, ტელევიზორში **(სუსტად)**, ინტერვიუს სთხოვენ ჟურნალისტები.

ეს პერიოდი მე არავითარი კონტაქტი მერაბთან არა მაქვს, არც პირადი, არც სატელეფონო. მე მხოლოდ მონაწილე ვარ ქალაქის „სამიტინგო“ ცხოვრების, მეც ვოცნებობ ჩემი ქვეყნის თავისუფლებაზე, მეც მაქვს იმედი, რომ თავისუფალ საქართველოს მოვესწრები, იქ, ხალხში, მეც საერთო ეიფორიას ვუერთდები, **მაგრამ სახლში დაბრუნებულს მეშინია, რომ ტრაგედია მოხდება, მეშინია, რომ, როგორც ჩემი ირაკლი წინასწარმეტყველურად წერდა ერთ თავის ლექსში „ჯარისკაცები ლესავენ მახვილს,/ დააყენებენ სისხლის მდინარეს“.**

ჰო, ერთხელ ირაკლის საფლავზე შევხვდით მე და მერაბი შემთხვევით. მითხრა, რომ ძალიან მშვიდდება სასაფლაოზე და ფიქრობს იმაზე, რომ თვითონ მასაც აქ, ირაკლის გვერდით, დაასაფლავებენ.

**9 მარტს ირაკლის დაბადების დღეს, ცოცხალი რომ იყო, მაშინაც ყოველ წელს ვუხდიდი და გარდაცვალების შემდეგაც ყოველ წელს ვუხდი. ეს დღე დღესაც ძალიან მიყვარს, ამ დღეს დაიბადა ირაკლი და ეს ჩემი ცხოვრების უბედნიერესი დღე იყო. 23 წელი ხომ მქონდა ბედნიერება, ხომ მყავდა ირაკლი... 1988 წელს 9 მარტს სასაფლაოზე მერაბიც მოვიდა. სასაფლაოს ჭიშკართან** თამრიკო ჩხეიძე **ელოდებოდა და სწრაფად წავიდა.**

ამ პერიოდში ოფიციალურად დაუშვეს წიგნის საკუთარი ხარჯით გამოცემა. საქართველოში ჯერ კიდევ ეშინოდათ ამ უფლების გამოყენება. **ჯანსუღ ჩარკვიანთან** მივედი, **გურამ გვერდწითელს** სთხოვა და „მერანში“ დასაბეჭდად ჩავუშვით **ირაკლის ლექსების კრებული.** მხატვრობა ირაკლის მეგობრის **გია მირზაშვილის** იყო. ძალიან დამეხმარნენ „მერანში“ მომუშავე რედაქტორები, განსაკუთრებით **მზია ჩხაიძე,** რომელთანაც იმის შემდეგ თბილი და მეგობრული ურთიერთობა და დიდი მადლიერების გრძნობა მაქვს.

გურამ გვერდწითელისგან ირაკლის ლექსების დაბეჭდვის თანხმობა რომ მივიღე და გახარებული რუსთაველის პროსპექტზე რომ მოვდიოდი, ამდენი ხნის შემდეგ პირველად შევხვდი მერაბს. შორეული ნაცნობებივით გადავკოცნეთ ერთმანეთი. ჩემი სიხარული გავუზიარე. მას ეტყობა, სხვა ფიქრები აწუხებდა და უგულოდ მომისმინა. ცივად დავშორდით.

ახლა, როცა დრო გავიდა და უფრო შემწყნარებელი გავხდი, მესმის, რომ სასაფლაოზე ნასროლი ფრაზა, რომელმაც მე მაშინ თავზარი დამცა, არ ნიშნავდა იმას, რომ **მერაბს** ირაკლი არ სტკიოდა, არც მისი ირაკლის ლექსების გამოცემისადმი გულგრილობა იყო გასაკვირი. მერაბი თავისი მისსიისთვის ცხოვრობდა და მთლიანად ამით იყო მოცული და პირად ფიქრებს გაურბოდა **(მერაბის სიკვდილის შემდეგ ვაჟა ადამია და რუდიკო შაუთიძე მომიყვნენ, რომ ხშირად ღამის სამოთხ საათზე მიდიოდა ირაკლის საფლავზე და საათობით იჯდა იქ...).**

1989 წლის აპრილის დასაწყისში დაიწყო მიტინგები აფხაზეთში მომხდარ ქართველთა და აფხაზთა დაპირისპირების მოვლენებთან დაკავშირებით, მიტინგი ვაკის პარკში დაიწყო, მერე მთავრობის სასახლესთან გაგრძელდა. მიტინგი რამდენიმე დღე და ღამე გრძელდებოდა. ლოზუნგი საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნა იყო. მთელი ქალაქი მონაწილეობდა ამ მიტინგებში. ხალხის ნაკადები მიდიოდა და მოდიოდა. იქ, მთავრობის სასახლის წინ, თავისუფლების თავბრუდამხვევი შეგრძნება იყო, გვეჩვენებოდა, რომ ცოტაც და დამოუკიდებლები გავხდებოდით. 8 აპრილს ტანკებმა რომ დაიწყეს ქალაქის ქუჩებზე გრუხუნი, მაინც ვფიქრობდით, რომ მშვიდობიანი მიტინგის დარბევას „გლასნოსტის“ და „პერესტროიკის“ სიტუაციაში ვერავინ გაბედავდა.

**ჯუმბერ პატიაშვილს, სამწუხაროდ, არ ეყო არც პოლიტიკური ალღო და არც გონიერება, სიტუაციისთვის მოევლო. ამბობენ, მომიტინგეებთან ჩამოსვლა უნდოდა, მაგრამ არ გამოუშვესო. ეს შეიძლება მისი უმოქმედობის ახსნა იყოს, მაგრამ გამართლება ნამდვილად არ არის.** 9 აპრილს ღამით საქართველოს პატრიარქი მივიდა მიტინგზე და მომიტინგეებს დაშლა სთხოვა. არავინ დაუჯერა.

9 აპრილის ღამეს მიტინგი დაარბიეს. დაარბიეს გაუგონარი სისასტიკით. ბარებს ურტყამდნენ და ჩეხდნენ მომიტინგეებს, გაუშვეს მომწამლავი გაზი. 20 ადამიანი დაიღუპა, 4 000-მდე გაზით მოიწამლა. დაღუპულები, ძირითადად, გოგონები და ქალები იყვნენ. რუსთაველის გამზირი სისხლით მოირწყო. დილით ქუჩა გარეცხილი იყო, მიცვალებულები — მორგში, მოწამლულები — საავადმყოფოში წაყვანილები, თბილისი — მგლოვიარე. ქალაქში სამხედრო მდგომარეობა გამოცხადდა. ტანკები. რუსი ჯარისკაცების გამოციებული მზერა ტანკებიდან. შემართული ავტომატები. ქალაქში დაქროდნენ ავტომობილები შავი დროშებით. ახალგაზრდობა შავებით შეიმოსა და გლოვის ნიშნად ყველას შავი ლენტი ჰქონდა გაკრული შუბლზე.

10 აპრილს **მერაბი, ზვიადი, გია ჭანტურია და ირაკლი წერეთელი** დააპატიმრეს. იმავე დღეს მოსკოვიდან სსრკ საგარეო საქმეთა მინისტრი **ედუარდ შევარდნაძე** ჩამოვიდა. შეხვედრები ჰქონდა აკადემიაში, უნივერსიტეტში, კინოსტუდიაში. ბევრი მწარე სიტყვა უთხრეს. საზოგადოებას ე. შევარდნაძე დაჰპირდა, რომ სამხედრო მდგომარეობას გააუქმებდა. 11 აპრილს სამხედრო მდგომარეობა გაუქმდა. **ჯუმბერ პატიაშვილი** გადადგა. ცეკას პირველ მდივნად უშიშროების კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე **გივი გუმბარიძე** დაინიშნა.

სამშაბათს დილით დედაჩემმა დამირეკა მახარაძიდან: **„შვილო, ისე მოიქეცი, როგორც წესიერი ადამიანი უნდა მოიქცეს, მაგრამ, გეხვეწები, ცოცხალი დარჩი“.** მეორე დილით დამირეკეს, რომ დედაჩემი ცუდადაა და მახარაძეში წავედი. ათი დღე იავადმყოფა. ცოტა ხნით მოდიოდა ხოლმე გონზე, წუხდა, გაწვალებო. როგორც გამორჩეულად, ღირსეულად იცხოვრა, ისეთივე ღირსებით კვდებოდა. ბოლო დღე გონზე აღარ მოსულა. **სიკვდილამდე რამდენიმე საათით ადრე ლაპარაკი დაიწყო. მოვდივარო, ეუბნებოდა გარდაცვლილებს.** ერთხელ მამაჩემი ახსენა, ერთხელ თავისი ძმისშვილები **ალიოშა და გივი გოგუაძეები,** ერთხელ **გიგა** ახსენა, ჩემი ძმა და მერე ძალიან ბევრჯერ გაიმეორა: **ირაკლი, მოვდივარ, ირაკლი, მოვდივარ...**

დედაჩემი დავასაფლავე. უამრავი ხალხი მოვიდა. მოსწავლეთა მრავალმა თაობამ გაიარა დედაჩემის ხელში და ყველას მისდამი რიდი, მოკრძალება და სიყვარული დარჩა. ხალხი 9 აპრილის ტრაგედიით შეძრწუნებული და აღშფოთებული იყო.

**მერაბს ციხეში შეატყობინეს დედაჩემის გარდაცვალება. მოითხოვა, სიდედრი გარდამეცვალა და დაკრძალვაზე გამიშვითო. არ გამოუშვეს.**

დაპატიმრებულები გაათავისუფლეს. **1989 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღის ზეიმი ჩატარდა. იმავე დღეს მერაბს 50 წელი შეუსრულდა.** მიტინგი უნივერსიტეტის ეზოში ჩატარდა. მერაბს დიდი ზარ-ზეიმით მიულოცეს დაბადების დღე. მიტინგის მერე ერთმანეთს შევხვდით. მომისამძიმრა დედაჩემის გარდაცვალება, ორმოცის დღე მკითხა. ვუთხარი, რომ თვის ბოლოს მახარაძეში გადავიხდი ორმოცს. ჩამოვალო, მითხრა.

**დედაჩემის ორმოცზე ჩამოვიდა. მთელი ჩემი ნათესაობა ძალიან თბილად შეხვდა. ვაჟა ადამია და ირაკლი ბათიაშვილი ახლდნენ.** მერაბის ჩამოსვლა ელვის სისწრაფით გაიგო ქალაქმა. უამრავი ადამიანი მოვიდა ჩვენს სახლთან. მერაბი წაიყვანეს და ქალაქის მთავარ მოედანზე ხალხმრავალი მიტინგი მოეწყო.

**ამის შემდეგ ჩვენი მეგობრული ურთიერთობა აღდგა. მირეკავდა, ჩიოდა, რომ საკუთარ თავთან დარჩენის არავითარი საშუალება არ ჰქონდა, სახლი მუდამ ახლობელი თუ შორეული ადამიანებით იყო სავსე.**

აგვისტოს ბოლოს ირაკლის ლექსების კრებული გამოვიდა 5000-იანი ტირაჟით. 4000 მე წამოვიღე და გასაყიდად მხოლოდ 1000 ეგზემპლარი გაიცა (კონტრაქტი გულისხმობდა, რომ გამოცემის ხარჯებს მე გადავიხდიდი და მერე, ტირაჟი რომ გაიყიდებოდა, იმ თანხას მე მომცემდნენ, ამდენად მე უფლება მქონდა, არ გამეყიდა და თითქმის მთელი ტირაჟი მე წამეღო და ვისთვისაც საჭიროდ ჩავთვლიდი, მიმეცა. ის 1000 ცალი 2-3 საათში გაიყიდა. ამიტომ გამომცემლობამ ტირაჟი ერთ თვეში გაიმეორა და ახლა უკვე მთელი ტირაჟი გაიყიდა, ისიც ძალიან სწრაფად).

მერაბს წიგნები გავუგზავნე. ძალიან გაიხარა, დამირეკა და მადლობა მითხრა. ირაკლის ლექსების კრებულზე დაიბეჭდა ჯერ **ჯანსუღ ჩარკვიანის** მშვენიერი რეცენზია „ლიტერატურულ საქართველოში“ და სექტემბრის ბოლოს — **ტარიელ ჭანტურიას** არაჩვეულებრივად ღრმა და სერიოზული წერილი გაზეთ „მამულში“.

ტარიელ ჭანტურიას წერილი წინა დღის გამოსული იყო, ვაჟა ადამია მოვიდა ჩემთან, მერაბმა გთხოვა, ირაკლის სურათი გამომიგზავნე, გაზეთის კორესპონდენტმა მთხოვაო. რამდენიმე წუთის შემდეგ ზარი დაირეკა და მერაბი მოვიდა. მანაც მოსვლის მიზეზად ირაკლის სურათი დაასახელა. ვაჟა დაიბნა და უთხრა, კი მაგრამ, მერაბ, შენ მე არ გამომგზავნეო. მერე გაჩერდა. **მე მერაბს ვკითხე, თუ ჰქონდა წაკითხული ტარიელ ჭანტურიას წერილი. არა, არ წამიკითხავსო. მაშინ მე წაგიკითხავ-მეთქი. კითხვა რომ დავამთავრე, მერაბს შევხედე, ნიკაპი უცახცახებდა, თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე. „რუსუდან, გეხვეწები, მომეცი ეგ გაზეთი“,** — აკანკალებული ხმით მითხრა. უსიტყვოდ გადავეცი.

ეს ჩვენი ბოლო შეხვედრა იყო. რატომ დაიწყო ჩვენმა ურთიერთობამ დათბობა? მე ჩემი აზრი მაქვს ამაზე, შეიძლება, სწორი ვარ, შეიძლება — არა. **მე ვფიქრობ, მერაბს მოახლოებული ბედისწერის წინათგრძნობა ჰქონდა, შეიძლება, გაუცნობიერებელი იყო ეს, მაგრამ დასასრულის სიახლოვეს გრძნობდა და რო-**

## თამრიკო ჩხეიძე მერაბის და ზვიადის ურთიერთობის კატეგორიული წინააღმდეგი იყო. ხმამაღალ სკანდალებს უწყობდა მერაბს ამასთან დაკავშირებით სახლშიც და ქუჩაშიც!



ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა დედა ტერეზასთან ერთად

გაგრძელება 28-ე გვერდზე

# მერაბ კოსტავას მეუღლის უცნობი დღიურები



მერაბ კოსტავა და რუსუდან ბერიძე

*დასაწყისი 26-ე გვერდზე*

**გორც ყოველთვის ცხოვრების მძიმე წუთებში რაღაცა ძალა ჩემკენ იზიდავდა ისევ...**

ოქტომბრის პირველ რიცხვებში ორჯერ დამირეკა. 10 ოქტომბერს ჩემი ნაცნობი ებრაელი მწერალი ჩამოვიდა გერმანიიდან და მთხოვა, მერაბს და ზვიადს შემახვედრეო.

მერაბს დავურეკე. მითხრა — ჩემთან იმდენი ხალხი არის ყოველთვის, მოდი, შენთან სახლში შევხვდები, მყუდროდ დავსხდებით და ვისაუბრებთო. შევთანხმდით, რომ პარასკევს, 12 საათზე, მოვიდოდა მერაბი ჩემთან. მე ვუთხარი, რომ სტუმარს ზვიადის ნახვაც უნდოდა და იქნებ ზვიადიც წამოიყვანო-მეთქი. უცებ ხმა გაუცივდა და მითხრა, ზვიადი სადაც უნდა, თვითონ ნახოსო. **ამ დროისთვის მე უკვე გაგონილი მქონდა, რომ მერაბის და ზვიადის ურთიერთობა ძალიან დაძაბული იყო, მერაბს არ მოსწონდა ზვიადის კონფლიქტები ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სხვა ლიდერებთან, გაუთავებელი ბრალდებები, რომ ყოველი მათგანი სუკის აგენტია და ა.შ. მანანა არჩვაძესთან ურთიერთობა კიდევ უფრო ადრე გაუფუჭდა და ბოლო წელს მერაბი ზვიადთან სახლში აღარ დადიოდა. მისმა პასუხმა დამარწმუნა, რომ, რასაც ხალხი ამბობდა, სიმართლესთან ახლოს იყო.**

პარასკევს, დილით, სუფრა გავაწყვე. სტუმარს დავურეკე, რომ, როგორც კი მერაბი მოვიდოდა, დავურეკავდი. პირველი საათი ან ოდნავ უფრო გვიანი იქნებოდა, **დამირეკეს, რომ ქალაქში ხმები დადის, რომ მერაბი ავარიაში მოხვდა და დაიღუპაო.** გავვარდი ჯავახიშვილის ქუჩაზე. ხალხი უკვე მოგროვილიყო მერაბის სახლის წინ. ოლიკოს ვერავინ ეუბნებოდა, რა უბედურება ტრიალებდა მის თავს. **ოლიკომ თან გაიხარა, რომ დამინახა, თან შეშინდა. რაღაცა დრო მეც არაფერი მითქვამს. ვეფერებოდი მხოლოდ. მერე გამიხმეს მეორე ოთახში და მითხრეს, უკვე მერაბის ჩამოსასვენებლად არიან წასულები და იქნებ შენ უთხრა ოლიკოს სიმართლეო.** ირაკლის უბედურება ოლიკომ პირველმა მომატირა, მერაბის უბედურება მე ვუთხარი...

**მერაბი ჩამოასვენეს და №1 საავადმყოფოში (არამიანცის) წაასვენეს. გაკვეთას ნათესავები უნდა დაესწრონო და ავთო ბერიძე და ომარ ციკოლია დაესწრნენ.** მერაბი იმ ტახტზე ესვენა, რომელზედაც ოთხი წლის წინათ ირაკლი დაასვენეს. თითქოს ბედის დაცინვა იყო, რომ ისევ **ავთო ბერიძე** ესწრებოდა მერაბის გაკვეთას...

•

**მერაბის დაღუპვა დღემდე საიდუმლოებით არის მოცული. არც კომუნისტურ ხელისუფლებას, არც ზვიადის ხელისუფლებას გამოძიება ბოლომდე არ მიუყვანია.** მეტიც, ზვიადის ხელისუფლების დროს გამომძიებელი, რომელსაც გამოძიების მასალები ჰქონდა, სამაჩაბლოში დაიღუპა, როგორც ითქვა, გამოძიების მასალები თან ჰქონდა (?) და ეს მასალები დაიწვა. მერე თითქოს **თენგიზ კიტოვანმა** ითავა მერაბის სიკვდილის გამოძიება, მაგრამ ამასობაში ქვეყანაში ისეთი უბედურება დატრიალდა, ამის თავი ვის ჰქონდა.

მე რაც ვიცი ამის შესახებ. **ოთხშაბათ საღამოს თამრიკო ჩხეიძე მივიდა მერაბთან სახლში და კატეგორიულად მოსთხოვა, ქუთაისში წაჰყოლოდა ზურაბ ჭავჭავაძესთან ერთად აქციის ჩასატარებლად.** მერაბი თვითონ ხელმძღვანელობდა თბილისში რაღაც აქციას, ამიტომ უარი უთხრა. თამრიკოს საშინელი ჩხუბი აუტეხავს და დიდი ომის შემდეგ მერაბი დასთანხმებია, წასულიყო ქუთაისში. **ხუთშაბათ დილით ქუთაისში წასულან თამრიკოს მანქანით.** „ნივა“ ჰყავდა თამრიკოს. ძალიან ცუდად ატარებდა, საერთოდ, მანქანას. რამდენჯერმე ავარია მოუვიდა, ორი მანქანა უკვე დამტვრეული ჰყავდა და ეს „ნივა“ მესამე იყო. ქუთაისში აქცია ჩატარდა. შემდეგ სუფრასთან მიიპატიჟეს სამივე. **მერაბმა დაიჟინა, თურმე, დილით თბილისში საქმე მაქვს, ამ საღამოსვე წავიდეთო. მერაბი და ზურაბი ორივე ნასვამი იყო. მასპინძლებმა არ გამოუშვეს და პარასკევს დილით ადრე თბილისისკენ აიღეს გეზი.** საჭესთან თამრიკო იჯდა. მერაბი გვერდით ეჯდა და საბედისწერო ადგილს რომ მიუახლოვდნენ, ეძინა. **ზურაბი** უკანა სავარძელში იჯდა და ნახევრად მძინარე იყო ისიც. **სოფელ ბორითთან მანქანას წინ ან რაღაცამ გადაურბინა, ან რაღაც ბორბლისმაგვარი გამოგორდა და სრულიად სწორ ადგილას, სადაც მანქანის ავარია ძალიან ძნელი წარმოსადგენია, მანქანა გადაბრუნდა.** მერაბი ადგილზე გარდაიცვალა, ზურაბმა ავარიის შემდეგ 40 დღე იცოცხლა, თითქოს გამოკეთდა კიდეც, მაგრამ **შემდეგ გაურკვეველ ვითარებაში ბოტკინის დაავადება შეეყარა და გარდაიცვალა. თამრიკო ჩხეიძეს** რამდენიმე განაკაწრი და ტვინის მსუბუქი შერყევა ჰქონდა.

**ზურაბ ჭავჭავაძის** დაღუპვა უმძიმესი დანაკარგი იყო ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისთვის. ნიჭიერი, განათლებული, დახვეწილი ინტელიგენტი, ბუნებით შემწყნარებელი პიროვნება — ზურაბს იქნებ ძალა აღმოჩნდოდა, შემდეგ შექმნილ ქაოსში რაიმე სინათლე შეეტანა. იქნებ...

**ზვიად გამსახურდიას** ინტერპრეტაცია აბსურდამდე მიდიოდა. **თითქოს რეზო ჩხეიძეს სუკმა დაავალა, ხოლო რეზომ თამრიკოს დაავალა, რომ ავარია მოეხდინა და მერაბი მოეკლა. მანანა არჩვაძის** მეთაურობით ჩატარდა დედაკაცების მიტინგი თამრიკოს სახლთან, მკვლელი და სუკის აგენტი უძახეს, ლინჩის წესით გასამართლებას ემუქრებოდნენ. **გაზეთებში ზვიადი მოითხოვდა თამრიკოს დაპატიმრებას და გასამართლებას.**

ეს, ცხადია, აბსურდი იყო. წმინდა ლოგიკურად, **ისეთი ცუდი მძღოლი, როგორიც თამრიკო იყო, როგორ მოახდენდა ისეთ ავარიას, რომ მერაბი და ზურაბი დაიღუპებოდნენ და თვითონ გადარჩებოდა?** რაც შეეხება გასამართლებას, მე ვფიქრობდი, რომ

**თამრიკო ისედაც ძალიან დაისაჯა და მისი დაპატიმრების მომხრე არ ვიყავი, მაგრამ თვითონ მას სასამართლო აუცილებლად უნდა მოეთხოვა. თამრიკო რეზო ჩხეიძის შვილი რომ არ ყოფილიყო, ნებისმიერ სხვა ადამიანს ხომ გაასამართლებდნენ?**

**მე დღესაც ასე ვარ დარწმუნებული, რომ მერაბის მოშორება სუკის მიერ განხორციელდა, რადგან ზვიადის ხელისუფლებაში მოყვანა იყო დაგეგმილი, მერე — ეროვნული ხელისუფლების დისკრედიტირება და საზოგადოებაში ეროვნული გრძნობის სრული დაჩლუნგება.** ამ გზაზე მერაბი თავისი უზარმაზარი ავტორიტეტით ხელის შემშლელი იქნებოდა და მოიშორეს კიდეც (იმ პერიოდში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის რამდენიმე ლიდერი დაიღუპა ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, ასევე საიდუმლო ვითარებაში. ჟურნალ „ოგონიოკში“ წერილიც კი დაიბეჭდა, როგორ მკვიდრდებოდნენ სუკის აგენტები ახლად შექმნილ პოლიტიკურ პარტიებსა და ორგანიზაციებში).

რაც შეეხება ჭორს, რომელსაც ზვიადის ისტერიული მოძღვრები ავრცელებდნენ, **რომ ზვიადის ხელდასხმით მოხდა მერაბის მოშორება,** ის ისეთივე აბსურდია, როგორც თამრიკოს მიერ „სპეციალურად“ მოწყობილი ავარია. თუ სუკს ეს ჩაფიქრებული და დაგეგმილი ჰქონდა, ზვიადს როგორ აუხსნიდნენ ამ გეგმას. **თან, რაც არ უნდა დავაბრალოთ ზვიადს, რაშიც არ უნდა დავადანაშაულოთ, მერაბი უყვარდა და თავისი სულის თანამოზიარედ მიაჩნდა.**

**თამრიკო ჩხეიძე** შეიძლება ამ ავარიაში ისევე დაღუპულიყო, როგორც მერაბი და ზურაბი დაიღუპნენ, მაგრამ ჩემთვის გასაოცარი ის იყო, რომ **არსად, არასოდეს თამრიკოს ერთხელაც არ წამოსცდენია, რომ ნებსით თუ უნებლიეთ ამ ორი მზესავით ვაჟკაცის დაღუპვის მიზეზი გახდა და როგორ უჭირს ამ ცოდვის ზიდვა.** მე ახლა, ალბათ, უსამართლო ვარ. იქნებ გულში რამხელა ტკივილს ატარებს, იქნებ, უბრალოდ, არ მიაჩნია საჭიროდ თავის ტკივილზე საუბარი. „ნუ განიკითხავთ...“

•

საქართველოში არცერთი ადამიანი არ დაკრძალულა ისეთი პატივით, როგორც მერაბი დაიკრძალა.

შაბათს, დილით, რომ დაიწყო ხალხმა დინება, 6 დღე-ღამის განმავლობაში არ შეწყვეტილა. არ დარჩენილა ქალაქი, დაბა და სოფელი, საიდანაც ხალხი არ ჩამოვიდა. მოდიოდნენ მოხუცები, ხეიბრები, დედებს ძუძუთა ბავშვები მოჰყავდათ, ტიროდნენ და მოთქვამდნენ სრულიად უცხო ადამიანები...

**ზვიადმა მერაბის მთაწმინდაზე დაკრძალვა მოინდომა. მერაბს ჩემთვის, ავთო ბერიძისთვის და ელიკო გოგუაძისთვის ცალ-ცალკე ჰქონდა ნათქვამი, რომ ირაკლის გვერდით უნდოდა დასაფლავებულიყო.** ნათქვამიც რომ არ ჰქონოდა, განა გასაგები არ არის, რომ ირაკლის გვერდით ენდომებოდა ყოფნა? არ შეუსრულეს მერაბს დანაბარები. მაშინ ისიც ვუთხარი **ვაჟა ადამიას,** დრო გავა და საფლავის მიწას ვიღაც დაამადლის-მეთქი. ასეც მოხდა...

**მერაბის ცხედარს დასაფლავების დღეს 600 000 ადამიანი მიჰყვებოდა.** საფლავთან სიტყვები წარმოთქვეს **აკაკი ბაქრაძემ, ნოდარ ნათაძემ, ზვიად გამსახურდიამ** და სხვებმა.

**არ მეგონა, თუ მერაბის გარდაცვალება ასეთი დარტყმა იქნებოდა ჩემთვის. ყველაზე მეტად ის მაწვალებდა, რომ ვფიქრობდი, მე რომ მასთან ვყოფილიყავი, იქნებ ცოცხალი დარჩენილიყო-მეთქი. თუმცა, გონებით მესმოდა, რომ ეს მისი ბედისწერა იყო და ამას ვერავინ შეცვლიდა.**

ახლა უკვე მთლიანად დაცარიელდა ჩემი წილი სამყარო. ყველა, ვინც მიყვარდა, ვისთანაც ბედისწერით ვიყავი დაკავშირებული, სამუდამოდ წავიდა ჩემი ცხოვრებიდან.

**ჩემი და მერაბის უცნაური კარმული კავშირი ახლა ნამდვილად გაწყდა.**

**საბოლოო წერტილი სიკვდილმა დასვა...**

**ირაკლის, მერაბის და დედაჩემის შემდეგ...**

ალბათ, მკითხველს დააინტერესებს, როგორ ვიცხოვრე დარჩენილი წლები.

•

1989 წელი. ჩემი წილი სამყარო დაცარიელდა. **წავიდა ირაკლი. წავიდა დედაჩემი. აღარ არის მერაბი.** შემდეგ წლებში რამდენჯერმე მომიხდა კადრების აღრიცხვის ფორმის შევსება (მაშინ ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდიდან შემორჩენილი ფორმა არსებობდა). ამ ფორმაში გრაფები იყო ნათესაური კავშირების შესახებ: დედა, მამა, მეუღლე, შვილი, დები, ძმები. ჩემს ფორმაში ეს გრაფები ცარიელი რჩებოდა. **აღარავინ აღარ მყავდა იქ შესატანი...**

*გაგრძელება შემდეგ ნომერში*



თამრიკო ჩხეიძე



მერაბ კოსტავა და ზურაბ ჭავჭავაძე

**თამრიკო ჩხეიძე შეიძლება ამ ავარიაში ისევე დაღუპულიყო, როგორც მერაბი და ზურაბი დაიღუპნენ, მაგრამ ჩემთვის გასაოცარი ის იყო, რომ არსად, არასოდეს თამრიკოს ერთხელაც არ წამოსცდენია, რომ ნებსით თუ უნებლიეთ ამ ორი მზესავით ვაჟკაცის დაღუპვის მიზეზი გახდა და როგორ უჭირს ამ ცოდვის ზიდვა!**

*საკეისრო კვეთა ისევე, როგორც ნებისმიერი ქირურგიული მანიპულაცია, გარკვეულ რისკებთან არის დაკავშირებული. როგორია საკეისროს შემდგომ მოსალოდნელი გართულებები და რატომ არის მნიშვნელოვანი ინფექციის კონტროლის სტანდარტების ზედმიწევნით დაცვა? აღნიშნულის შესახებ მეან-გინეკოლოგი, სამშობიარო სახლის და პედიატრიული სავადმყოფო „იმედის კლინიკის“ კლინიკური მენეჯერი, მედიცინის აკადემიური დოქტორი **ბუკა კობეშავიძე** გვესაუბრება.*




## ბუკა კობეშავიძე:

# მსოფლიოში საკეისრო კვეთის გართულებების საერთო მაჩვენებელი დაახლოებით 10 პროცენტიდან 20 პროცენტამდეა!

**— ბატონო ბუკა, ბოლო წლებში გაიზარდა ორსულთა რიცხვი, ვინც მშობიარობის საუკეთესო და კომფორტულ გზად საკეისრო კვეთას მიიჩნევს. რამდენად გამართლებულად მიგაჩნიათ აღნიშნული პოზიცია?**

— ფიზიოლოგიურ მშობიარობას ალტერნატივა არ გააჩნია. საკეისრო კვეთა უნდა ჩატარდეს მხოლოდ გამოუვალ შემთხვევაში, როცა ფიზიოლოგიური მშობიარობა საფრთხეს უქმნის დედის ან ახალშობილის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

**— რა შემთხვევაში შეიძლება ჩატარდეს საკეისრო კვეთა?**

— არსებობს საკეისრო კვეთის აბსოლუტური და კომპლექსური ჩვენებები. აბსოლუტური ჩვენებაა პლაცენტის სრული წინმდებარეობა ან ნაყოფის არასწორი მდებარეობები, ვიწრო მენჯი... კომპლექსური ჩვენებაა, როდესაც ორსულს გარდა სამეანო პათოლოგიისა, აქვს საყრდენ-მამოძრავებელი, ნერვული, გულ-სისხლძარღვთა, მხედველობის სისტემის და სხვა პათოლოგიები.

**— რა გართულებები შეიძლება მოჰყვეს საკეისრო კვეთას?**

— მსოფლიოში საკეისრო კვეთის გართულებების საერთო მაჩვენებელი დაახლოებით 10%-დან 20%-მდეა! საკეისრო კვეთას შეიძლება მოჰყვეს თრომბო-ემბოლიური და სეპტიური გართულებები. შეიძლება ჭრილობა დაჩირქდეს, დაიწყოს საშვილოსნოს ლორწოვანის ანთება, განვითარდეს ნაკერის უკმარისობა, საშვილოსნო დაინფიცირდეს და მისი ამოკვეთა გახდეს საჭირო. გართულებები შეიძლება დაიწყოს ოპერაციის დროსაც. კერძოდ, განვითარდეს სისხლდენა, სადაც გამოსავალს მხოლოდ საშვილოსნოს ამოღება წარმოადგენს. **თუნდაც ყველაფერი კარგად დასრულდეს, საკეისრო კვეთის შემდგომ 2-3 წელი ორსულობა რეკომენდებული აღარ არის. ასევე შეზღუდულია შვილოსნობა, რადგან საშვილოსნოს კუნთის რეგენერაცია დაუსრულებლად არ ხდება.** ნაკეისრალ ქალს ნაწიბუროვანი საშვილოსნო რჩება. ნაწიბუროვან საშვილოსნოზე კი გართულებები გაცილებით მეტია.

როგორც ხედავთ, საკეისრო კვეთის პროცესში წარმოქნილი ან შემდგომი გართულებების ჩამონათვალი საკმაოდ დიდია. ოპერაციის შემდგომ განვითარებულ ინფექციებს მოჰყვება ისეთი სიმპტომები, როგორიცაა სიწითლე, შეშუპება ან გამონადენი ჭრილობიდან. ინფექციის სისტემური ნიშნები შეიძლება მოიცავდეს ცხელებას და გაძლიერებულ ტკივილსაც ნაწიბურის არეში.

საკეისრო კვეთის შემდეგ შესაძლოა, ასევე განვითარდეს ღრმა ვენის თრომბოზი და ფილტვის ემბოლია. ქალებს, რომლებსაც უტარდებათ საკეისრო კვეთა, აქვთ სისხლის შედედების განვითარების გარკვეული რისკი ისეთი ფაქტორების გამო, როგორიცაა გამოჯანმრთელების დროს უმოძრაობა და სისხლის შედედების ცვლილებების ფაქტორები. შესაძლოა, იყოს ანესთეზიასთან დაკავშირებული გართულებები, როგორიცაა ალერგიული რეაქციები, რესპირატორული პრობლემები ან ნერვის დაზიანება.

**— შესაძლებელია, რომ საკეისრო კვეთის შემდეგ განვითარდეს საშარდე გზების ინფექციები?**

— საშარდე გზების ინფექციები შეიძლება განვითარდეს მშობიარობის, მათ შორის, საკეისრო კვეთის შემდეგ ისეთი ფაქტორების გამო, როგორიცაა კათეტერიზაცია ან მშობიარობის შემდგომ ინფექციისადმი მგრძნობელობის გაზრდა. **ფიზიოლოგიურ მშობიარობასთან შედარებით, საკეისრო კვეთის შემდეგ გამოჯანმრთელების პროცესი გაცილებით უფრო ხანგრძლივია. საკეისრო კვეთამ შეიძლება გაზარდოს გართულებების რისკი შემდგომ ორსულობებზეც.**

**— ცნობილია, რომ ინფექციები ნებისმიერი ქირურგიული პროცედურის, მათ შორის, საკეისრო კვეთის პოტენციური გართულებაა. რამდენად ხშირია საკეისრო კვეთის შემდგომ სეფსისის განვითარების რისკი?**

— მძიმე სეფსისი ან სეპტიური შოკი საკეისრო კვეთის შემდეგ შედარებით იშვიათ გართულებას წარმოადგენს. საკეისრო კვეთის შემდეგ სეფსისის სიხშირე გლობალურად განსხვავდება და მასზე გავლენას ახდენს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა, ინფექციის კონტროლის ზომები და მოსახლეობის ზოგადი ჯანმრთელობა.

მსოფლიო გამოცდილებისა და კვლევების მიხედვით, განვითარებულ ქვეყნებში, სადაც კარგად არის განვითარებული ჯანდაცვის სისტემები და მკაცრი ინფექციის კონტროლის პროტოკოლები არსებობს, სეფსისის სიხშირე საკეისრო კვეთის შემდეგ უფრო დაბალია. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით და საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული კვლევების მიხედვით, მძიმე სეფსისის სიხშირე საკეისრო კვეთის შემდეგ განვითარებულ ქვეყნებში 0,5%-დან 2%-მდე მერყეობს, ხოლო განვითარებად ქვეყნებში სეფსისის შემთხვევების უფრო მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება. კვლევებმა აჩვენა, რომ ზოგიერთ განვითარებად ქვეყანაში მძიმე სეფსისის სიხშირე საკეისრო კვეთის შემდეგ შეიძლება 5%-დან 10%-მდე იყოს.

**— რა ზომების მიღებაა აუცილებელი სეფსისის პროფილაქტიკისათვის?**

— სეფსისის შემთხვევების შემცირების მცდელობები საკეისრო კვეთის შემდეგ მოიცავს გაუმჯობესებულ ქირურგიულ ტექნიკას, სტერილიზაციის მაღალ სტანდარტს, ანტიბიოტიკების სათანადო გამოყენებას, პოსტოპერაციული ინფექციების ადრეულ გამოვლენას და მართვას. ეს ძალისხმევა მიზნად ისახავს გართულებების რისკის მინიმუმამდე შემცირებას და შედეგების გაუმჯობესებას როგორც დედებისთვის, ასევე ჩვილებისთვის.

**— როგორი მიდგომებია ამ კუთხით ჩვენი ქვეყნის ჯანდაცვის სამინისტროს მხრიდან და რა კეთდება კონკრეტულად თქვენს კლინიკაში ინფექციების კონტროლის თვალსაზრისით?**

— საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში პრიორიტეტს წარმოადგენს სამედიცინო დაწესებულებებში ნოზოკომიური ინფექციების ეპიდზედამხედველობა, პრევენცია და კონტროლი, რომელიც საქართველოს თითოეული მოქალაქის ჯანმრთელობისთვის უმნიშვნელოვანესია.

„იმედის კლინიკაში“ ინფექციის კონტროლი ხორციელდება კომპლექსურად და მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: **ინფექციის კონტროლის ძირითადი ღონისძიებები** (სტანდარტული და დამატებითი უსაფრთხოების ზომები), **სამედიცინო პერსონალის განათლება და ტრენინგები, სამედიცინო პერსონალის დაცვა სხვადასხვა ინფექციისაგან** (იმუნიზაცია), ინფიცირების საფრთხის იდენტიფიცირება და რისკის მინიმუმამდე დაყვანა, ინფექციური კონტროლის რუტინული პრაქტიკა — **ასეპტიკა,** ერთჯერადი ხელსაწყოების გამოყენება, სამედიცინო ინსტრუმენტების სტერილიზაცია, ანტიმიკრობული პრეპარატების გამოყენება, სამედიცინო მასალების სტერილობაზე ბაქტერიოლოგიური კონტროლი, სისხლის და მისი პროდუქტების შენახვა და მოხმარება, სამედიცინო ნარჩენების მენეჯმენტი.

საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად, ინფექციური კონტროლის სწორად და ეფექტურად წარმართვისათვის კლინიკაში ჩამოყალიბებულია ინფექციის კონტროლის კომიტეტი.

**— რაში მდგომარეობს კომიტეტის საქმიანობა?**

— კომიტეტი მონიტორინგის გზით ზედამხედველობას უწევს ინფექციურ პროცესებს და ინციდენტებს, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიონ ინფექცია. შემთხვევების სტატისტიკის განხილვა კომიტეტს საშუალებას აძლევს, განსაზღვროს პრობლემური საკითხები, განახორციელოს მაკორექტირებელი ქმედებები და მინიმუმამდე დაიყვანოს რისკები. ინფექციების შემთხვევაში კომიტეტი ატარებს გამოკვლევას პრობლემური მიზეზების აღმოსაჩენად და ამზადებს რეკომენდაციებს არსებულ პროტოკოლში ცვლილებების შესატანად. კონკრეტული ინციდენტობის მონიტორინგთან ერთად კომიტეტი ასევე მუდმივად ცდილობს, შეაფასოს დაგეგმილი პროცესები და პროცედურები კონტროლის სრულყოფის მიზნით.

კლინიკაში სწორად გატარებულმა ეპიდემიოლოგიურმა ღონისძიებებმა მინიმუმამდე დაიყვანა ნოზოკომიური ინფექციების რიცხვი.

**— დაბოლოს, რა დადებითი შედეგები მოგცათ აღნიშნულმა მიდგომამ?**

— აღნიშნული მიდგომისა და ინფექციის კონტროლის სტანდარტების ზედმიწევნით დაცვის ფონზე



**იმედის კლინიკაში“ ქირურგიული ჩარევის მიდამოს და ნოზოკომიური ინფექციების რაოდენობა მინიმუმამდეა დაყვანილი.**

*ესაუბრა **მეგი საჯაია***

იმედის კლინიკა
თბილისი, დიდი დიღომი, მირიან მეფის 10ა
imediclinic.com
* ორსულ ქალთა კონსულტაცია
* სამშობიარო სახლი
* პედიატრიული კლინიკა
* გინეკოლოგიური დეპარტამენტი
პროფესიონალიზმი, უახლესი აპარატურა, ოჯახური გარემო
სამშობიარო:
032 229-56-50
პედიატრიული კლინიკა:
032 223-85-80





# მიხეილ ცაგარელი:
# ზოდიაქოს ნიშნების მფარველი ანგელოზები და დემონები

*ქალწულის ნიშნით დაბადებულებს ყველაზე მეტად რა აცდუნებს, რა თვისებები უწამლავს სულს და რა აშორებს საყვარელ ადამიანს? რაში ეხმარება ქალწულებს მათი მფარველი ანგელოზი ქადმიელი და რა თვისებების გაღვიძებას ცდილობს მათში? სასწორების მაცდუნებელი დემონი რას ცდილობს, რა თვისებებს თესავს, რას აიძულებს მათ. რას ცდილობს ასწავლოს, რაში ეხმარება სასწორებს მათი ზოდიაქალური მფარველი ანგელოზი? ღრიანკალის ნიშნით დაბადებულებში რა თვისებები ეწყებათ და რა ახსენდებათ, როდესაც ილვიძებს მათში დემონი? როდის უნდა გაიგოს ღრიანკალმა მფარველი ანგელოზის ხმა და რისგან იცავს მათ მფარველი ანგელოზი გაბრიელი? — ამ და სხვა საკითხებზე ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი გვესაუბრება.*

## 8-14 აპრილის ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** (21.03-20.04)
თუ დროებით დაივიწყებთ ამბიციებს და შეეგუებით გარემოებებს, ადვილად და უდანაკარგოდ გადაიტანთ რთულ პერიოდს. ცოდნისა და გამოცდილების ნაკლებობისას არ მოგერიდოთ პროფესიონალების შეწუხება. ახალი ნივთები გაგამხიარულებთ და მომავალი შემოქმედების ხალისს გაგიჩენთ. ახლო მოგზაურობისა და დასვენებისას შესაძლოა, ახალი სასიყვარულო ურთიერთობის დაწყებაც კი გადაწყვიტოთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას და უარი თქვით მძიმე ფიზიკურ ვარჯიშზე.

**კურო** (21.04-20.05)
სამსახურებრივ საქმეებში გაუგებრობებს ადვილად მოაგვარებთ. ოჯახში ცვლილებები კი ჯობს, გადადოთ, რადგან ამ დროს თქვენი ენერგოპოტენციალი დაბალია და შესაძლოა, ამან გაგიუარესოთ ჯანმრთელობის მდგომარეობა. ბავშვებთან ურთიერთობა სტიმულს მოგცემთ პირადი ცხოვრების მოსაწესრიგებლად და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებაზე ფიქრისათვის. მოგზაურობა და შეხვედრები შესაძლოა, პრობლემებს დაუკავშირდეს და სრულად ჩაიშალოს.

**ტყუპი** (21.05-22.06)
მიუხედავად ენერგიული განწყობისა, მიმდინარე მოვლენებმა შესაძლოა, საოცრად დაგღალოთ და მელანქოლიურ განწყობაზე დაგაყენოთ. ინფორმაციის უკმარისობის გამო შესაძლოა, დაუშვათ შეცდომა პირად, საქორწინო ან სასიყვარულო ურთიერთობებში და აღმოჩნდეთ სხვა ადამიანებზე დამოკიდებული. მოერიდეთ ფულის უყაირათოდ ხარჯვას და მეტად გაუფრთხილდით ჯანმრთელობას. კარგი იქნება, თუ სადმე გაემგზავრებით, დაისვენებთ და შეიცვლით გარემოს.

**კირჩხიბი** (23.06-22.07)
მხოლოდ იმ საქმეებს მოჰკიდეთ ხელი, რომელსაც ნამდვილად გაუმკლავდებით. გადაღლა შეუძლოდ ყოფნის მიზეზი შეიძლება გახდეს. შეამცირეთ კონტაქტების რაოდენობა. ეცადეთ, მეტი დრო დაუთმოთ ოჯახს, სახლსა და საყვარელ ადამიანს. კარგია სტატიკური ვარჯიშების ჩატარება, ლოცვა. მეგობრები დახმარებას გაგიწევენ, მაგრამ დაქვეითებული ენერგია არ მოგცემთ ჩანაფიქრის განხორციელების საშუალებას. დაღლილობა ბუნებაში გასეირნებით მოიხსენით.

**ლომი** (23.07-23.08)
ახალი იდეები და შემოთავაზებები არასიცოცხლისუნარიანი და არარეალური იქნება და შეიძლება, მიზანმიმართულად მუშაობაში შეგიშალოთ ხელი. კარგი იქნება, თუ ყოფილ მეგობრებსა და ახლობლებს აპატიებთ შეცდომებს და აღადგენთ კავშირებს. შესაძლოა, დიპლომატიის როლშიც მოგიწიოთ ყოფნა. ხშირად დაისვენეთ და შეიმუშავეთ საქმეებისა და საკუთარი ბიზნესის დარეგულირების უმოკლესი გზები. მოგზაურობები და უცხოელებთან კონტაქტები ჯობს, დროებით გადადოთ.

**ქალწული** (24.08-23.09)
ილუზიებს ერიდეთ და მეტად პრაქტიკულად მიუდექით პირად და საქმიან მოვალეობებს. მეუღლე ან საყვარელი ადამიანი დახმარებას გაგიწევთ საქმეების წარმოებაში, თუმცა, ამისათვის აუცილებელი იქნება, მასთან გულახდილი იყოთ. ნუ მიენდობით უცხო ადამიანებსა და ახალ ნაცნობებს. ცუდი არ იქნება თუ სადმე გაემგზავრებით დასასვენებლად. ჯანმრთელობის მდგრადობის შესანარჩუნებლად დაიცავით დიეტა და ნუ მიეტანებით სპირტიან სასმელებს.

**— განვაგრძოთ საუბარი თანავარსკვლავედების მთავარი მფარველი ნათელი ძალებისა და ბნელი ძალების შესახებ. რას გვეტყვით ქალწულის, სასწორის, ღრიანკალის ზოდიაქოების და ამ ნიშნით დაბადებულთა მფარველი ანგელოზის და მაცდუნებელი დემონის შესახებ?**

— 6. **ქალწულებს ყველაზე მეტად აცდუნებს ყველაფრით უკმაყოფილებისა და შურის დემონი.** სწორედ ეს თვისებები უწამლავს სულს ამ ადამიანებს, უძლიერებს გარშემო მყოფების მიმართ უნდობლობას, აშორებს მეგობრებსა და საყვარელ ადამიანებს. **ქალწულებში ამ დემონს შეუძლია, ყველასა და ყველაფრის მიმართ გულგრილობა გამოიწვიოს, რაც შემდგომ შეიძლება ავადმყოფობაშიც კი გადაიზარდოს.** ამავე დროს, **ქალწულებს დახმარებას უწევს ერთგულების, სიმყარის, დაცვისა და მფარველობის ანგელოზი, რომელიც ცდილობს, გააღვიძოს მათში სულით ძლიერი, მზრუნველი ადამიანი.** ქალწული კლდესავით ძლიერი იქნება და ყველას ენდომება ურთიერთობა ბრძნული რჩევის მისაღებად, იმედიანობის შეგრძნების გასაძლიერებლად. **თავისი ასტროლოგიური მისიის შესრულებაში ქალწულებს დახმარებას უწევს ანგელოზი ქადმიელი,** რომელიც არამარტო დაიცავს და გზას დაანახვებს, არამედ ინტუიციასაც გაუძლიერებს.

**7. სასწორების მაცდუნებელი დემონი ცდილობს, გახადოს ისინი ჭირვეულები, ხასიათსა და განწყობაზე დამოკიდებულები. მფარველი ანგელოზი კი უძლიერებს ზომიერების შეგრძნებასა და გაწონასწორებულობას.** დემონი მათ საქმეებში, ურთიერთობებში, გრძნობებში, სიყვარულში, პარტნიორობასა და მეგობრობაში თესავს მერყეობას, ეჭვებს. იგი აიძულებს მათ, ითამაშონ ადამიანების გრძნობებზე, მათ სისუსტეებზე, არც ბოლომდე არ თქვან უარი ურთიერთობაზე, მაგრამ არც ახლოს მოუშვან. მუდმივად დაიკავონ მაცდური დისტანცია და იფიქრონ მარტო ანგარებაზე, ხეირზე, გამორჩენაზე, რასაც ამ ურთიერთობიდან მიიღებენ. **სასწორებს მაცდური დემონი აიძულებს, მეტად გაიპრანჭონ, თავი მოიკატუნონ, რათა რაც შეიძლება მეტი საწინააღმდეგო სქესის ადამიანი აცდუნონ და მოატყუონ. მათი მფარველი ანგელოზი კი პირიქით, ცდილობს, ასწავლოს ზომიერება, გახადოს სულითა და ხორცით მშვენიერები, რათა შინაგანად მუდამ იგრძნონ სიმშვიდე, თავდაჯერებულობა და ჰარმონია.** თანაგრძნობისა და შინაგანი ძალის მოპოვებაში სასწორებს ეხმარება მათი ზოდიაქალური მფარველი ანგელოზი ბარქიელი. მისი დახმარებით ამ ნიშნის წარმომადგენლებს შეუძლიათ, ნებისმიერ რთულ სიტუაციაშიც კი გაიუმჯობესონ ცხოვრება და იპოვონ შინაგანი წონასწორობა.

## 8-14 აპრილის ასტროლოგიური პროგნოზი

**სასწორი** (24.09-22.10)
არაერთგვაროვანი დროა, ამიტომ ყურადღება გმართებთ წვრილმანების მიმართ. ფინანსური საკითხების მოგვარება ბევრ დროსა და ენერგიას მოითხოვს. გართობისა და დასვენებისათვის ბევრი ფული დაგჭირდებათ, თუმცა, ამის გამო ნუ ინერვიულებთ, რათა არ გადაღალოთ ორგანიზმი. გადაადგილებების დროს ფრთხილად იყავით, რათა არ დაშავდეთ. გადაწყვეტილებების მიღებისას დიდხანს არ იყოყმანოთ, რათა გაუგებრობებმა ზიანი არ მიაყენოს თქვენს ნერვულ სისტემას.

**ღრიანკალი** (23.10-22.11)
თავი შეიკავეთ ემოციებისგან, რადგან კონფლიქტები ცუდად იმოქმედებს პირად ურთიერთობებზე. ფარული საქმიანობა, მოლაპარაკებები თუ გარიგებები წარმატებას არ მოგიტანთ. ერიდეთ მასობრივი თავშეყრის ადგილებს, ზღვარგადასულ დროსტარებასა და არაფხიზელ ცხოვრების წესს და მეტი დრო დაჰყავით სახლში, რათა შეინარჩუნოთ ორგანიზმის ჯანსაღი მდგომარეობა და თავი აარიდოთ კონფლიქტებს. კარგი იქნება, თუ აიღებთ შესვენებას და ქალაქგარეთ გაემგზავრებით.

**მშვილდოსანი** (23.11-21.12)
ამ დღეებმა შეიძლება არასასიამოვნო შეგრძნება დაგიტოვოთ. ბევრი რამ გაურკვეველი იქნება. თქვენი გეგმების განსახორციელებლად დაგჭირდებათ ახალი თანამოაზრეები, მაგრამ ყველა ნაბიჯი ზუსტად უნდა გათვალოთ. გამჭრიახობა დაგეხმარებათ ინტელექტუალურ და გონებრივ საქმიანობაში. ოჯახში მიმდინარე მოვლენების გამო რთული იქნება საწადელის მიღწევა და ახალი საქმეების დაწყება. მოგზაურობა დროებით რეკომენდებული არაა.

**თხის რქა** (22.12-19.01)
მიუხედავად დაღლილობისა და პასიური განწყობისა, ბოროტად არ გამოიყენოთ ძალაუფლება და არ დახარჯოთ სამუშაო დრო გართობასა და პირად ინტერესებზე. იმპულსური და გაუაზრებელი ქცევები მომავალში ნეგატიურად აისახება თქვენს კარიერასა და მთლიანად ცხოვრებაზე. მიუხედავად დაბალი სასიცოცხლო ტონუსისა, თქვენ არაერთ პრობლემას მოაგვარებთ, თუმცა, აუცილებელი იქნება ხშირად დასვენება და ძალების აღდგენა. მოგზაურობა კი წარმატების მომტანი არ იქნება.

**მერწყული** (20.01-18.02)
თქვენ საკმაოდ ენერგიული და აქტიური იქნებით. მიუხედავად ამისა, შინაგანი კომფორტის გარეშე ბევრ ცხოვრებისეულ სფეროში შეიძლება შეგექმნათ პრობლემა. ამიტომ იზრუნეთ ურთიერთობების ჰარმონიზაციასა და სახლში მშვიდ გარემოზე. ყურადღებით მოეკიდეთ მიღებულ ინფორმაციას და გადაამოწმეთ იურიდიული და ფინანსური საბუთები. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას და ეცადეთ, არ გადაიღალოთ. მოგზაურობისას კი სიფრთხილე გამოიჩინეთ, რათა გზაში პრობლემა არ შეგექმნათ.

**თევზები** (19.02-20.03)
ბიზნესის, ფინანსური ან სამსახურებრივი სირთულეების გადალახვისას გაითვალისწინეთ ყველა შესაძლო სიტუაცია და მხოლოდ შემდგომ იმოქმედეთ. მოერიდეთ კრედიტების აღებას და სხვისი ფულის გამოყენებას. ემიგრაცია, საცხოვრებელი ადგილის გამოცვლა ან ცხოვრების წესის შეცვლა სასურველ შედეგს ვერ გამოიღებს. მოუთმენლობა კი პირად და სასიყვარულო ურთიერთობებს მეტად გაართულებს. ყურადღება მიაქციეთ ჯანმრთელობასაც, ხშირად დაისვენეთ და კარგად იძინეთ.

**8. ღრიანკალის ნიშნით დაბადებული ადამიანები შურისძიების დემონისა და სიმართლის ანგელოზის დაპირისპირების ობიექტები არიან. როდესაც იღვიძებს მათი ზოდიაქალური დემონი, ღრიანკალებს ეწყებათ დიდი უნდობლობა და ეჭვიანობა, მუდამ ჰგონიათ, რომ ატყუებენ ან რამეს უმალავენ.** ამის გამო ეუფლებათ დიდი ბრაზი და განრისხება. ახსენდებათ ყველა, ვინც ვერ გაამართლა მათი იმედები. ღრიანკალი იწყებს შურისძიებას, უვითარდება პათოლოგიური ეჭვიანობა, განსაკუთრებით პირად და სასიყვარულო ურთიერთობებში. ეს კი მათ თვითგანადგურებას იწვევს. ამიტომ ისინი **უნდა ეცადონ, დროულად გაიგონ მფარველი ანგელოზის ხმა, რომელიც დაიცავს მათ თვითგანადგურებისაგან. მითუმეტეს, რომ ღრიანკალს მფარველობას უწევს ერთ-ერთი უძლიერესი ანგელოზი გაბრიელი.** სწორედ მისი ხელშეწყობით შეიძლება ღრიანკალის ცხოვრებაში დაიწყოს სასიკეთო ცვლილებები და შეიქმნას საუკეთესო პირობები ჩანაფიქრების განსახორციელებლად.

*რუბრიკას უძღვება*
***მარინა მერკვილაძე***




## მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია 8, 9, 10 და 12 აპრილი

**8 აპრილი — ახალმთვარეობა, მზის სრული დაბნელება; 24 აპრილი — სავსემთვარეობა.**

## 8 აპრილი, ორშაბათი

**მზე** იმყოფება ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 05.32 საათზე. ჩადის 18.34 საათზე. **მთვარე** ვერძის ზოდიაქოშია. ამოდის 05.19 საათზე, ჩადის 18.21 საათზე (მთვარის 29-ე დღე იწყება 06.46 საათზე. I ფაზა. **ახალმთვარეობაა.** პიკი 22.23 საათზე. **მზის დაბნელება** — პიკი 22.18 საათზე). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები.** დღეს ახალმთვარეობა და მზის დაბნელებაა. მძიმე ენერგიებისა და მოვლენების დღეა, იყავით ყურადღებით. მზის და მთვარის ენერგიათა შეერთება ვერძის ზოდიაქოშია. გამახვილდება კონფლიქტების ესკალაცია ყველა დონეზე. ამავდროულად, რეტროგრადული პლანეტა მერკური გაართულებს მოლაპარაკებებს, ურთიერთობებს. მოიმატებს მუქარის, წყენის, აგრესიის, დეპრესიის, შეცდომების, ცდუნებების, ტრავმების, ავარიების, ჯანმრთელობის გაუარესების ალბათობა. ამავდროულად, პლანეტების — **მარსისა და სატურნის** შეერთება **თევზების** ზოდიაქოში განაპირობებს საქმიან პარტნიორებთან და ხელმძღვანელ პირებთან კონფლიქტს. დაიცავით სიმშვიდე, ნუ აჰყვებით პროვოკაციებს. მოიმატებს თავის ტკივილის შეგრძნება, აკონტროლეთ ხედვა. მოერიდეთ ფულის სესხება-გასესხებას, კაპიტალდაბანდებას. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია თავი, სისხლძარღვები, ცხვირი, გრძნობათა ორგანოები. **ქვები:** გიშერი დაგიცავთ აურის ენერგოდაბინძურებისაგან. **პოზიტიური დღეა** თხის რქისთვის, სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, ლომისთვის, ტყუპებისთვის.

## 9 აპრილი, სამშაბათი

**მზე** იმყოფება ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 05.30 საათზე, ჩადის 18.35 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს კუროს ზოდიაქოში. ამოდის 05.43 საათზე, ჩადის 19.40 საათზე (მთვარის მე-2 დღე იწყება 06.54 საათზე, I ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** გუშინდელი მზის დაბნელების შემდეგ დღევანდელი დღეც მშვიდად გაატარეთ, არ აჰყვეთ პროვოკაციებს, ახალი საქმე არ დაიწყოთ. კარგია შეცდომების გააზრება, განმარტოება, პარტნიორულ ურთიერთობაში ნუ იკამათებთ და ურთიერთობებს ნუ გაარკვევთ. ეფექტიანია სუნქვითი ვარჯიშების ჩატარება, თირკმლების, კანის, შარდსასქესო სისტემის დაავადებათა მკურნალობა. დღე ტრავმულ-ავარიულია. იყავით ყურადღებით. მოერიდეთ ქორწინებას, საფინანსო ოპერაციებს, კაპიტალდაბანდებას, ხელშეკრულების დადებას, აკონტროლეთ საფულე. კარგი დღეა შემოქმედებისთვის, ვაჭრობისთვის, მოქმედებისთვის პრინციპით „ასჯერ გაზომე, ერთხელ გაჭერი“. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია თავი, სისხლძარღვები, გრძნობათა ორგანოები, ყელი, ენდოკრინული სისტემა. **ქვები:** ლალი, წითელი იასპი, ძოწი. **საღამოს** — აქატი, მალაქიტი. **პოზიტიური დღეა** თხის რქისთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპისთვის.

## 10 აპრილი, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 05.29 საათზე. ჩადის 18.37 საათზე. **მთვარე** კუროს ზოდიაქოშია. ამოდის 06.11 საათზე, ჩადის 21.01 საათზე (მთვარის მე-3 დღე იწყება 07.04 საათზე. I ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები.** კარგი დღეა ახალი საქმეების და გეგმების რეალიზაციისთვის, შემოქმედებითი მუშაობისთვის, სამშენებლო მასალების, ცხოველების, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვისთვის, მშენებლობისა და რემონტისთვის, მცენარეების დარგვა-გადარგვისთვის. პარტნიორულ უსაფრთხოებაში ნუ იქნებით ზედმეტად ხისტი და ჯიუტი. მეტი ტაქტი გამოავლინეთ. ეფექტურია შარდსასქესო სისტემის მკურნალობა, სუნთქვითი ვარჯიშების ჩატარება. იყავით ყურადღებით — დღე ტრავმულ-ავარიულია, მოერიდეთ პაპილომების მოშორებას, კისრის მკვეთრ მოძრაობებს, ორპირ ქარს, აკონტროლეთ საფულე. კარგი დღეა ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, პარფიუმერია-კოსმეტიკის, მუსიკალური აპარატურის შესაძენად, ქორწინებისთვის, მგზავრობისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, სწორი ნაწლავი. **ქვები:** აქატი, მალაქიტი, ონიქსი, მარჯანი, ზურმუხტი, ყვითელი იასპი. **პოზიტიური დღეა** კირჩხიბისთვის, ლომისთვის. **ნეგატიურია** თხის რქისთვის, მერწყულისთვის.

## 11 აპრილი, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 05.27 საათზე, ჩადის 18.38 საათზე. **მთვარე** ტყუპების ზოდიაქოშია. ამოდის 06.43 საათზე, ჩადის 22.19 საათზე (მთვარის მე-4 დღე იწყება 07.18 საათზე. I ფაზა). **ტენდენციები:** დღეს მოერიდეთ იდეების პრეზენტაციას, სარისკო მოქმედებებს, სულსწრაფ გადაწყვეტილებებს, ორპირ ქარს, ცივ და გაზიან სასმელებს. აკონტროლეთ საფულე. შესაძლებელი იქნება საფინანსო საკითხების გადაჭრა, ხელსაქმე, იატაკის დაგება, ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, ცხოველების, პარფიუმერია-კოსმეტიკის, უძრავი ქონების, სამშენებლო მასალების შეძენა. დღე ტრავმულია — იყავით ყურადღებით. პარტნიორულ ურთიერთობებში შესაძლებელია მნიშვნელოვანი საკითხების განხილა. პოზიტიური დღეა ქორწინებისთვის, ახალი ნაცნობობისთვის, მშენებლობისთვის, მცენარეების დარგვა-გადარგვისთვის, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის, მგზავრობისთვის, ვაჭრობისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია, ყელი, ენდოკრინული და სასუნთქი სისტემები, სწორი ნაწლავი. **ქვები:** აქატი, მალაქიტი, ქრიზოპრაზი, მარგალიტი. **საღამოს** — ტოპაზი, აქვამარინი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, ტყუპებისთვის. **ნეგატიურია** სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის.

## 12 აპრილი, პარასკევი

**მზე** იმყოფება ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 05.25 საათზე, ჩადის 18.39 საათზე. **მთვარე** ტყუპების ზოდიაქოშია. ამოდის 07.22 საათზე, ჩადის 23.32 საათზე (მთვარის მე-5 დღე იწყება 06.39 საათზე. I ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** კარგი დღეა ახალი ნაცნობობისთვის, კონტაქტებისა და მოლაპარაკებებისთვის, ინფორმაციის საძიებლად, შუამავლობისთვის, ახლობლებთან, შვილებთან ურთიერთობისთვის, მგზავრობისთვის, პარტნიორულ ურთიერთობაში მოიმატებს ზედაპირულობა, ფლირტისადმი მიდრეკილება, სულსწრაფობა. შედეგიანია ღვიძლის, ნაღვლის ბუშტის, საზარდულის, მენჯ-ბარძაყის ძვლის მკურნალობა. მოერიდეთ სიმძიმეების აწევას, თამბაქოს, ტვინის ზედმეტი ინფორმაციით გადაღლას, ქორწინებას, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვას. სასიკეთო დღეა რეკლამისა და აუქციონებისთვის, კონფერენციებისთვის, ტელევიზორის, ტელეფონის და სხვა საკომუნიკაციო აპარატურის შესაძენად, სწავლისთვის, საბანკო ოპერაციებისთვის, მშენებლობისთვის. ახალ საქმეს ნუ დაიწყებთ. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ფილტვები, ბრონქები, ხელები, მხრები, კუჭი. **ქვები:** ტოპაზი, აქვამარინი, ნეფრიტი, ლაბრადორიტი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, ტყუპისთვის, თხის რქისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის, ლომისთვის.

## 13 აპრილი, შაბათი

**მზე** იმყოფება ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 05.24 საათზე, ჩადის 18.40 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს კირჩხიბის ზოდიაქოში. ამოდის 08.09 საათზე, ჩადის 23.59 საათზე (მთვარის მე-6 დღე იწყება 08.14 საათზე. I ფაზა). **ტენდენციები:** ახალ, სასიკეთო პოზიციებზე გადასვლის დროა. პარტნიორულ ურთიერთობებში მოსალოდნელია ყალბი დაპირისპირება, ცრუ საუბარი, ზედაპირულობა, ფლირტი, მერყეობა. მოერიდეთ უჰაერო სივრცეებს, თამბაქოს, სიმძიმეების აწევას, გადაღლას. გაძნელებულია სუნთქვა-ქოშინი. ცუდი დღეა სიყვარულისა და ქორწინებისთვის, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვისთვის, ახალი თანამშრომლის მისაღებად, რემონტისა და ახალი საქმის დასაწყებად. მაღალია დაცინვის, ჭორების, ინტრიგების ალბათობა. კარგი დღეა ხელშეკრულებისა და საბანკო ოპერაციებისთვის, მშენებლობისთვის, საკანცელარიო ნივთების შესაძენად. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ფილტვები, ბრონქები, ხელები, კუჭი, მკერდი. **ქვები:** ტოპაზი, ამაზონიტი, ლაბრადორიტი, აქვამარინი, ზურმუხტი. **პოზიტიური დღეა** სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, თევზებისთვის.

## 14 აპრილი , კვირა

**მზე** იმყოფება ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 05.22 საათზე, ჩადის 18.41 საათზე. **მთვარე** კირჩხიბის ზოდიაქოშია. ამოდის 09.05 საათზე, ჩადის 00.36 საათზე (მთვარის მე-7 დღე იწყება 09.07 საათზე. I ფაზა). **ტენდენციები:** მეტი დრო დაუთმეთ ოჯახს, ახლობლებს, საყოფაცხოვრებო საკითხებს, ეროვნულ ტრადიციებს. ინტუიციაზე დაყრდნობით იმოქმედეთ. მოერიდეთ ფორიაქს, ცუდ აზრებს, ჭორაობას, ტყუილუბრალო დაპირებების გაცემას. აკონტროლეთ თქვენი სიტყვები, ემოციები. კარგი დღეა საყოფაცხოვრებო ტექნიკის შესაძენად, პარტნიორულ ურთიერთობაში მეტი ზრუნვის გასამყარებლად, სიყვარულის ასახსნელად. ცუდი დღეა ქორწინებისთვის, სახლის მშენებლობის დასაწყებად, ადგილსამყოფლის (ბინის) შესაცვლელად, სესხის ასაღებად. სასიკეთო დღეა საყიდლებისა და ვაჭრობისთვის, ხალხური შემოქმედების ნიმუშების შესაძენად, ბავშვის ჩასახვისთვის, დაავადებების სამკურნალოდ, ხეხილის, კენკროვანი მცენარეების, ვაზის დარგვისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია კუჭი, მკერდი, ნაღვლის ბუშტი. **ქვები:** ზურმუხტი, რაუხტოპაზი, აქატი, ოპალი, მარჯანი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, თხის რქისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ლომისთვის, ღრიანკალისთვის.

## საეკლესიო კალენდარი




8 აპრილი –
კრება
მთავარანგელოზისა
გაბრიელისა

✝ 8 აპრილი. ორშაბათი. **წარგზავნა ღმრთისმშობლის ხარების დღესასწაულისა. კრება მთავარანგელოზისა გაბრიელისა;** მღვდელმოწამისა ირინეოსისა, სირმიელი ეპისკოპოსისა; მოწამეთა: ბათუსი და ვერკი ხუცესთა, არპილე მონაზონისა.

✝ 9 აპრილი. სამშაბათი. მოწამისა მატრონა თესალონიკელისა; მოწამეთა მანუელისა და თეოდოსისა; ღირსისა იოანე წინამხედველისა, ეგვიპტელისა.

✝ 10 აპრილი. ოთხშაბათი. **განზოგება დიდი მარხვისა.** იოანესი, მანგლელი ეპისკოპოსისა; ღირსისა ილარიონ ახლისა, პელიკიტელი იღუმენისა; ღირსისა სტეფანე სასწაულმოქმედისა, აღმსარებელისა, ტრიგლიელი იღუმენისა;.

✝ 11 აპრილი. ხუთშაბათი. მოწამეთა: მარკოზისა, არეთუსიელი ეპისკოპოსისა, კირილე დიაკონისა და სხვათა მრავალთა; ღირსისა იოანე მეუდაბნოისა; ევსტათი აღმსარებელისა, ბითვინიელი ეპისკოპოსისა.

12 აპრილი. პარასკევი. **ღირსისა იოანე სინელისა;** წინასწარმეტყველისა იოადისა; მოციქულთა, სამოცდაათთაგანთა: სოსთენისა, აპოლოსისა, კეფასი, კესარისა და ეპაფროდიტესი.

✝ 13 აპრილი. შაბათი. **მიცვალებულთა ხსენება.** მღვდელმოწამისა იპატისა, ღანგრელი ეპისკოპოსისა; მღვდელმოწამეთა.

✝ 14 აპრილი. კვირა. **დიდმარხვის მე-4 კვირა. ღირსისა იოანე სინელისა. ღირსისა მარიამ მეგვიპტელისა;** ღირსთა: იოანე შავთელისა და წინასწარმეტყველისა ევლოგი სალოსისა.



**„ასავალ-დასავალის“ რედაქცია** თანაუგრძნობს „იმედის კლინიკის“ დამფუძნებელსა და დირექტორს **დავით კობეშავიძეს** დედის —

# ცირა კობეშავიძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახსა და ახლობლებს.

***პანაშვიდი:*** *9, 10 აპრილს.* ***მისამართი:*** *თბილისი, ავლაბარი, სათემოს ქუჩა №8.*

***გამოსვენება:*** *11 აპრილს, 14 საათზე, წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიიდან (საბურთალო, უნივერსიტეტის ქუჩა, ველოტრეკის უკან, ასახვევი „გრინვეისთან“).*



**მაღაზია «ბუკვიცა»**

ყიდულობს და ყიდის რუსულ და ქართულ ანტიკვარულ წიგნებს, დაბეჭდილს 1945 წლამდე

574-73-46-96, 243-01-17, 555-68-82-90

მისამართი: დ.უზნაძის №15, ქურდიანის №2.

ლეგენდარული **დიმიტრი ალავიძე**
ლეგენდარული **ვასილ მჟავანაძის**
პირველი სტუმრობიდან **57-ე წელია,**

**მცხეთის სალობიეში გეპატიჟებათ!**




### 32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. ფლამინგო; 6. კაფია; 11. ფეოლა; 12. რომბი; 13. კრიმინალი; 14. ბელგა; 15. ჯვარი; 16. მარკა; 17. ალიზარინი; 22. ნანტი; 23. რიგა; 25. სტიუარდესა; 26. ნარიყალა; 30. მდადე; 31. კინემატიკა; 36. ზინინი; 37. გუნება; 38. სალამანდრა; 40. ლეიბი; 42. ეგრისი; 45. ორატორია; 50. ჭადრაკი; 52. ბეტა; 53. ლეი; 55. კლირინგი; 57. კალატოზი; 61. ლიტავრა; 62. სენეგალი; 63. დიროლი; 64. ლირა; 65. კანი; 66. კირასირი; 67. ბუ; 68. ატიპია.

შვეულად: 1. ფუკუა; 2. აშიკი; 3. ირიდა; 4. გრამი; 5. მორალი; 6. კაბინა; 7. ფალანგა; 8. არამისი; 9. ამერიკა; 10. პირანია; 11. ფიჯი; 18. ლიტრი; 19. ზღუდე; 20. რურუა; 21. ნოე; 23. რამა; 24. გრადუსი; 26. ნეკერი; 27. როზალია; 28. ყანწი; 29. ლანდი; 31. კასკო; 32. ნალია; 33. მამაო; 34. ტანკი; 35. კარე; 39. აგიტატორი; 41. ბრავო; 43. სულ; 44. რიხი; 46. რელიეფი; 47. ტერტერა; 48. რონსარი; 49. აბილილი; 50. ჭია; 51. დეა; 54. ეკალა; 56. თვე; 58. ლიდია; 59. ტორსი; 60. ზელცი; 65. კუ.

**კაპიტალინიპელიკანიბალისტადიალოგიკამორავია**
**ფარდაგიდელიბისტროფითრითინასოკარინაპალმირა**

| ქონება, სიმდიდრე, ფული | მილების გადასაბმელი მილაკი | კატიჭამია ველური | რისამე განვითარების საფეხური | შინაგანი კანონზომიერება | იტალიელი მწერალი („ჩოჩარა“) | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კაუჭი | ესტონეთის დედაქალაქი | წყლის ფრინველი, ვარხვი | ლოდსატყორცნი მანქანა (ძვ.) | საუბარი ორ პირს შორის | იტალიელი ბანდიტების ორგანიზაცია | მუსიკალური ჯგუფის სინონიმი |



თარაზულად: 1. წყლის დიდი ფრინველი; 6. ექსპრომტი; 11. ფილმი ი. ხვიჩიას მონაწილეობით; 12. ტოლგვერდა და ირიბკუთხა პარალელოგრამი; 13. სისხლის სამართლის დანაშაული; 14. ნიშნობის ბეჭედი (ძვ.); 15. ქრისტიანობის სიმბოლო; 16. საფოსტო ნიშანი; 17. წითელი საღებავი ნივთიერება; 22. ქალაქი საფრანგეთში. 23. ლატვიის დედაქალაქი; 25. თვითმფრინავის ბორტგამცილებელი ქალი; 26. თბილისის ციხე კალას ძველი სახელი; 30. პატარძლის მაყარი ქალი; 31. თეორიული მექანიკის დარგი; 36. რუსი ქიმიკოსი; 37. ხასიათი, განწყობილება; 38. კუდიანი წყალხმელეთა ცხოველი; 40. ლოგინის ნაწილი; 42. ისტორიული ქალაქი დასავლეთ საქართველოში; 45. დრამატული ხასიათის მუსიკალური ნაწარმოები; 50. თამაში 64 უჯრედიან დაფაზე; 52. ბერძნული ბ-ს სახელი; 53. ფრანგი კომპოზიტორი; 55. უნაღდო ანგარიშსწორების ფორმა სახელმწიფოებს შორის; 57. აგურის, ქვის სახლის მშენებელი ხელოსანი; 61. სარტყმელი მუსიკალური საკრავი; 62. აფრიკის სახელმწიფო; 63. ერთგვარი საღეჭი რეზინი; 64. ფულის ერთეული იტალიაში; 65. კინოსაფესტივალო ქალაქი საფრანგეთში; 66. მძიმე კავალერიის მხედარი (ძვ.); 67. ღამის ფრინველი; 68. არატიპურობა.

შვეულად: 1. ამერიკელი რეჟისორი და პროდიუსერი; 2. ნ. ლორთქიფანიძე — „სოფლის ...“; 3. ცისარტყელას ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში; 4. წონის ერთეული; 5. ზნეობა; 6. მძღოლის სათავსი ავტომობილში; 7. ქვეითი ჯარის საბრძოლო წყობა ძველ საბერძნეთში; 8. ა. დიუმას ერთ-ერთი მუშკეტერი; 9. ერთ-ერთი კონტინენტი; 10. მტაცებელი თევზი; 11. სახელმწიფო წყნარ ოკეანეში; 18. სითხის საზომი ერთეული; 19. ბარიერი; 20. ქართველი ფალავანი; 21. ბიბლიური პერსონაჟი. 23. ინდური ეპოსის „რამაიანას“ მთავარი პერსონაჟი; 24. ტემპერატურის საზომი ერთეული; 26. კვირტებიანი ხის ნორჩი ტოტები; 27. ბრაზილიური მაიმუნი; 28. რქის სასმისი; 29. აჩრდილი; 31. ტვირთის გადასაზიდი საშუალებების დაზღვევა; 32. სასიმინდე; 33. ლოცვა ... ჩვენო; 34. საბრძოლო ჯავშნიანი მანქანა; 35. თმის ვარცხნილობა; 39. აგიტაციის გამწევი; 41. მოწონების, აღტაცების გამომხატველი შეძახილი; 43. მთლიანად, ერთიანად; 44. აპლომბი; 46. ამობურცული გამოსახულება სიბრტყეზე; 47. სომეხთა მღვდელი; 48. ფრანგი პოეტი; 49. ხვიარა, დეკორატიული მცენარე; 50. ფუნაგორია — ნეხვის ...; 51. გიუნპლენის სატრფო („კაცი, რომელიც იცინის“); 54. მცენარე, რომლის ფოთლებს მხლად ხმარობენ; 56. წელიწადის 1/12; 58. მცირე აზიის ძველი სახელი; 59. ადამიანის ტანი კიდურების გარეშე; 60. ერთგვარი ძეხვი; 65. ჯავშნიანი ცხოველი.

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 31-ე გვერდზე*

| მსხვილი მატყლის ძაფის ქსოვილი | ფრანგი კომპოზიტორი | ლექსის ნაწილი | კვერნისებრი ცხოველი, დედოფალა | აზერბაიჯანული ნავთობკომპანია | ლაბისებრი საწვავი პროდუქტი | ... სად, როდის? |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფანჯრის საფარი | მოგრძო გოდორი | „სწრაფი“ კაფე | ნახევრად პარაზიტი მცენარე | ე. გაბაშვილი „....ლეკური“ | თიხის პატარა ჩასაბერი საკრავი | სანქტ-პეტერბურგის პოეტური სახელი |

## ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...

სასიამოვნო, სასიკეთო დღე.

პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.

მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.

ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.

მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.

მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.

მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.

მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.

რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.

ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.




რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.

შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.

კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.

მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.

წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.

სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.

ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.

შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.

შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.

გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.

იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.

დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს
დამოუკიდებელი და ზღვაარგიული
ასავალ დასავალი
2024 წლის 8 – 14 აპრილი №16 (1534)
გამოდის ორშაბათობით

მეღიაჰოლჰოლდინგი "ასავალ-დასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"
მთავარი რედაქტორი ლაშა ნადარეიშვილი

*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*

წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ ფოსტაზე:
mail@asavali.com
„ასავალ-დასავალის“ ვებ-გვერდი ინტერნეტში: www. asavali.com
ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე: www. facebook.com/Asavali.com

გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის“ სტამბაში.**

